# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 16 დეკემბერი, 2008 წელი.
№ 234 (6091)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge   ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika   ფასი 50 თეთრი.

## საქართველო აზიური ევროპაა თუ ევროპული აზია, კბილთაკბილი დავა რომ არის, ვიცი... მაგრამ სამშობლო თუ ტუალეტიდან იწყებოდა, ნამდვილად არ მეგონა...

6



ღია ბარათივით პროფესორ გიგი თევზაძესა და კიდევ ზოგიერთებს

ზურაბ აბაშიძე:



## ქართულ-რუსული ურთიერთობების მოწესრიგება რთული პროცესი იქნება და ჩვენ ნემსის ყუნწში მოგვიწევს გაძრომა

2

## სააკაშვილი ერის გენოციდს აგრძელებს

## გვიშველეთ, მონოპოლიებმა შეგვჭამეს!

9

ნესტან კირთაძე:

## გარწმუნებთ, სააკაშვილი უკვე ჩვენი ქვეყნის წარსულია,

მას გაჰყავს დრო, რომელიც ამოწურულია



3



12

## იცის ქალაქის მერიამ, რა დღეშია ქართული პოეზიის დედოფლის საფლავი?!

პირველი თოვლი თბილისში




11

## თბილისში მანიაკი დადის?!

11



ინფორმაცია

## ფსოუს საზღვარი ზუგდიდამდე ჩამოაქვთ

**აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ნაწილებისა და ტექნიკის უპრეცედენტო ზრდა, სავარაუდოდ, ე.წ. საზღვრის მოწყობას უკავშირდება. ამის შესახებ გალის რაიონიდან ინფორმირებული წყარო იტყობინება.**



მისი თქმით, სეპარატისტები დე ფაქტო საზღვრის გამაგრების დასრულებას მარტამდე გეგმავენ, რის შემდეგაც ფსოუს საზღვარს გალისა და ზუგდიდის რაიონების ადმინისტრაციულ საზღვარზე გადმოიტანენ.

წყაროს თქმით, რუსული სამხედრო ტექნიკით გალის რაიონში დიდი რაოდენობით ხის მორები შეიტანეს.

ამ მასალით საზღვარზე თხრილებს მოაწყობენ და გაამაგრებენ. მთელი საზღვრის სიგრძეზე მავთულხლართის გავლებასაც აპირებენ. საზღვარზე რუსული და აფხაზური ძალები ერთად ჩადგებიან. თუმცა, აფხაზები გვიცხადებენ, რომ წინა ხაზზე გალელ ქართველებს ჩაგვაყენებენ, რათა პროვოკაციისა თუ საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში პირველი მსხვერპლი სწორედ ჩვენ ვიყოთ, — განაცხადა წყარომ.

მისი თქმით, რუსული სამხედრო ტექნიკისა და ცოცხალი ძალის უპრეცედენტო კონცენტრირება სოხუმშიც მიმდინარეობს.

## რუსები ჟენევაში მომავალ პროვოკაციაზე ისაუბრებენ

**ჟენევის მოლაპარაკებების მომდევნო რაუნდზე რუსული მხარე აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოების მყარი გარანტიის საკითხს დააყენებს.**

ამის შესახებ ინფორმაციას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი აქვეყნებს.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ზონებში ქართული მხარის სახიფათო ქმედებებთან, კერძოდ კი ჯარებისა და საპოლიციო ძალების კონცენტრაციასთან, ბატონი სააკაშვილის მონაწილეობით ახალ პროვოკაციებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, ჟენევის დისკუსიაზე ახალი პროვოკაციების თავიდან აცილების კონკრეტული მექანიზმები შეთანხმდეს, — აცხადებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

რუსული მხარის ინფორმაციით, მოსკოვმა წინა შეხვედრებზე უსაფრთხოების მექანიზმების ვარიანტი და დევნილთა დაბრუნების შესახებ საკუთარი ხედვა წარმოადგინა.

ამასთან, განცხადების მიხედვით, მოსკოვი აღიარებს, რომ 1990-1992 წლების კონფლიქტებიდან მოყოლებულ ყველა დევნილს აქვს უფლება, დაბრუნდეს უსაფრთხო და ღირსეულ პირობებში.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო იმედოვნებს, რომ დეკემბრის რაუნდის მიმდინარეობისას უსაფრთხოებისა და დევნილთა შესახებ კონკრეტული შეთანხმებების გაფორმება მოხერხდება.

**ინტერპრესნიუსი**

პარტიებსა და მოძრაობებში

## სააკაშვილი ერის გენოციდს აგრძელებს

**ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა სოსო შატბერაშვილმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა თემაზე „სააკაშვილი ერის გენოციდს აგრძელებს“, სადაც საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებზე დაყრდნობით, მოსახლეობის სიკვდილიანობა-შობადობის დემოგრაფიის სავალალო მდგომარეობაზე ისაუბრა. მისი თქმით, მთავრობამ თავისი, გასული წლის 17 დეკემბრის განკარგულება, რომელიც ყოველ ახალშობილზე, ხუთი წლის განმავლობაში ათასლარიან დახმარებას ითვალისწინებდა, 5 დეკემბრის 234-ე დადგენილებით გააუქმა, რაც მომდევნო წლებში ერის გენოფონდს კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს.**



— „სააკაშვილის და მისი ხელისუფლების საქართველოში ყოფნის ყოველი დღე კიდევ და კიდევ ახალი დანაშაულია, რასაც ქვეყანა უფსკრულისკენ მიჰყავს და თუ დროზე მშველელი არ ვიპოვეთ, შეიძლება საბოლოოდ დავიღუპოთ. მოგეხსენებათ, ბოლოდროინდელი გამოკვლევებით, გაერომ ქართველობა მომაკვდავ ერთა სიაში შეიყვანა, რადგან ბოლო რამდენიმე წლების მანძილზე აქ სიკვდილიანობა ბევრად სჭარბობს შობადობას და ამავე ორგანიზაციის მონაცემებით, თუ დემოგრაფიული პროცესები ასე გაგრძელდება, 2018 წელს საქართველოს მოსახლეობა სამასი ათასით შემცირდება; ხოლო 2050 წელს უკვე ქვეყნის ნაცუმცირესობაში აღმოვჩნდებით...

...უბედურების სათავე ის არის, რომ სააკაშვილის მთავრობა არა თუ არ ცდილობს მდგომარეობის გამოსწორებას, არამედ ხელს უწყობს ერის დაკნინებას. ხელისუფლებამ გააუქმა ყველა დახმარება, რომელიც ეკუთვნოდა ახალშობილებს, გააუქმა ყველა დადგენილება, რომელიც შობადობის მატებას სტიმულს აძლევდა და შედეგად გვაქვს უმძიმესი დემოგრაფიული ვითარება, რაც მომავალში კიდევ უფრო დამძიმდება — დასძინა შატბერაშვილმა.

კონფერენციის დასასრულს მან ხელისუფლებას მოუწოდა, მიბაძოს რუსეთს, სადაც მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა, უამრავი სოციალური პროგრამა მოქმედებს მოსახლეობის მატებისთვის.

**ჯაბა ჟვანია**

განსჯა

## ზურაბ აბაშიძე: ქართულ-რუსული ურთიერთობების მოწესრიგება რთული პროცესი იქნება და ჩვენ ნემსის ყუნწში მოგვიწევს გაძრომა

**საქართველოს პატრიაქრის მოსკოვში ვიზიტსა და ქართულ-რუსული ურთიერთობების პერსპექტივაზე მოსაზრებები „ინტერპრესნიუსს“ რუსეთში საქართველოს ყოფილმა ელჩმა ზურაბ აბაშიძემ გაუზიარა.**

**— ბატონო ზურაბ, რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობის ფონზე, თქვენ საქართველოს პატრიარქს მოსკოვში ვიზიტისას ახლდით. გაგვიზიარეთ თქვენი მოსკოვური შთაბეჭდილებები...**

— პატრიარქის ვიზიტი მოსკოვში ნამდვილად ისტორიული მნიშვნელობისაა. ვიზიტი სამწუხარო ფაქტთან, რუსეთის პატრიარქის ალექსი მეორის გარდაცვალებასთან იყო დაკავშირებული.

რუსეთის პატრიარქს უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორესთან თბილი, ქრისტესმიერი და ძმური ურთიერთობები აკავშირებდა. ცნობილია, რომ პატრიარქი ალექსი მეორე საქართველოს მიმართ ძალიან კარგად იყო განწყობილი. მან პრინციპული პოზიცია დაიკავა საქართველოში მომხდარ ბოლო მოვლენებთან დაკავშირებით, მხედველობაში მაქვს რუსეთის ეკლესიის მიერ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის დადასტურება.

საქართველოს პატრიარქი მოსკოვში ხაზგასმული პატივისცემით მიიღეს. მას აეროპორტში მიტროპოლიტი კირილი დახვდა, რომელიც, სავარაუდოდ, რუსეთის მომავალი პატრიარქია. მეორე დღეს ილია მეორემ მაცხოვრის ტაძარში წირვა ქართულ ენაზე აღავლინა, შემდეგ კი მრევლსა და საზოგადოებას რუსულად მიმართა. რუსულმა პრესამ და ტელევიზიამ ფართოდ გააშუქეს მოსკოვში საქართველოს პატრიარქის ვიზიტი.

ბუნებრივია, დიდი ინტერესი გამოიწვია მისი უწმინდესობის შეხვედრამ რუსეთის პრეზიდენტთან, რომელმაც პატრიარქს მოსკოვში ჩაბრძანებისთვის მადლობა გადაუხადა. შედგა შეხვედრები ქართულ დიასპორასთან, ამჟამად მოსკოვში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ჩვენს თანამემამულეებთან. ასე რომ, პატრიარქის ვიზიტი მოსკოვში საკმაოდ დატვირთული გახლდათ.

ვიზიტი მნიშვნელოვანი იყო, უპირველეს ყოვლისა, ქართულ-რუსულ ურთიერთობათა ფონის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ერთ ვიზიტს, თუნდაც ასეთ წარმატებულსაც კი, რადიკალური ცვლილებების შეტანა რთულ პოლიტიკურ ურთიერთობებში არ შეუძლია. თავისთავად, ეკლესიის შესაძლებლობები შეზღუდულია და მას ზედმეტი პოლიტიკური ტვირთი არ უნდა ავკიდოთ. უიმედობა დაუშვებელია, მაგრამ ზედმეტი მოლოდინიც არ უნდა შევუქმნათ საზოგადოებას. საჭიროა ალმასრულებელი და საკანონმდებელი ხელისუფლების მუშაობა და რუსეთთან დიალოგის აღსადგენად შეუქცევადი პროცესის უზრუნველყოფა.

**— პატრიარქმა თბილისში დაბრუნების შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრეზიდენტი მედვედევი მზადყოფნას გამოთქვამს რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დევნილთა დაბრუნებასა და ორ ქვეყანას შორის მიმოსვლის განახლებაზე. მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა საკმაოდ ძნელი იქნება, ვიდრე რუსეთი სრულად არ შეასრულებს სარკოზი-მედვედევის შეთანხმებას და 7 აგვისტომდე არსებულ პოზიციებს არ დაუბრუნდება; რაც შეეხება დევნილთა დაბრუნებას, ასევე, ძნელად წარმოსადგენია „დამოუკიდებელ“ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დევნილთა დაბრუნებაზე საუბარი. თუ იცით, ამ საკმაოდ რთულ საკითხებთან მიმართებაში, რეალურად, რაზეა საუბარი?**

— ამ ტიპის შეხვედრაზე დეტალები არ შეიძლება ყოფილიყო განხილული. რუსეთის პრეზიდენტმა პრინციპულად დაადასტურა, რომ მხარს უჭერს დევნილთა დაბრუნებას, მაგრამ თუ როგორ მოხდება ეს, ამ პოზიციის დაკონკრეტება, რა თქმა უნდა, სხვა დონეზე და სხვა უწყებების დასაზუსტებელი საკითხებია.



დევნილთა პრობლემების განხილვა ამჟამად ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატით ხდება. სწორედ ჰუმანიტარული პრობლემატიკა და უსაფრთხოების საკითხები ჟენევის მოლაპარაკებათა მთავარი თემები, მაგრამ ამას, შეიძლება, დაემატოს ორმხრივი კონტაქტების გააქტიურება შესაბამის უწყებებს შორის.

რაც შეეხება დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას, გეთანხმებით, ვიდრე რუსეთის მხრიდან აღებული საერთაშორისო ვალდებულებები არ შესრულდება, ამ ნაბიჯის გადადგმა მართლაც არ იქნება იოლი. საერთო ჯამში, პატრიარქის ვიზიტის შედეგად გაჩნდა პოზიტივი და არის დიალოგის აღდგენის მცდელობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

**— უდავოა, რომ პატრიარქის ვიზიტი მოსკოვში წინგადადგმული ნაბიჯია. პატრიარქმა მოსკოვში ბრძანა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება, თბილისში აქცენტი დევნილთა დაბრუნებაზეც გააკეთა...**

— საქართველოს პატრიარქი ყოველთვის ამბობდა, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა აღდგება. თუ როდის მოხდება ეს, სხვა საკითხია. პატრიარქისგან ხშირად გვსმენია, რომ მას ამის ღრმად სწამს და ამისთვის ლოცულობს, ძალიან ბევრსაც აკეთებს. მისი კურთხევით საპატრიარქოს დელეგაციის წინა ვიზიტიც მოსკოვში ამ მიზანს ემსახურებოდა.

რაც შეეხება დანარჩენ საკითხებს, რუსეთის პრეზიდენტის მხრიდან დადასტურდა მათი მოგვარების პოლიტიკური ნება და ეს, თავისთავად, დადებითი მოვლენაა. ამის გამო იყო პატრიარქი ყმაყოფილი და, საერთოდ, შეხვედრის ტონი იყო კეთილგანწყობილი.

**— რუსეთში ქართული სათვისტომოს პრეზიდენტმა მიხეილ ხუბუტიამ ჩვენთან საუბარში დაადასტურა, რომ საქართველოს პატრიარქის მოსკოვში ვიზიტით კმაყოფილებას გამოთქვამენ რუსეთის პოლიტიკურ წრეებში. მისივე მტკიცებით, კრემლს საქართველოსთან დაკავშირებით კიდევ ერთი, ამჯერად თბილისისთვის მისაღები „домашняя заготовка“ აქვს მომზადებული და ყველაფერი კარგად იქნება... ხომ არა ხართ საქმის კურსში, კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით რა გეგმებზეა საუბარი? სხვათა შორის, ხუბუტიამ არ გამორიცხა მედვედევ-სააკაშვილის შეხვედრაც...**

— კონფლიქტებთან დაკავშირებით რუსეთის ახალი ინიციატივების შესახებ ჯერ არაფერი მსმენია. რაც შეეხება მოსკოვში ქართულ საზოგადოებას, მათ პატრიარქს ძალიან კარგი შეხვედრა მოუწყვეს. ეს ნამდვილი ზეიმი იყო. საერთოდ, ჩვენებურები რუსეთში, გასაგები მიზეზების გამო, საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ისინი ელოდებიან, რომ სწრაფად მოხდება რუსულ-ქართული ურთიერთობების გაუმჯობესება. ხშირად სურვილი და ადამიანის ოცნება ისეთ ფრთებს შეისხამს ხოლმე, რომ მერე რეალობად ეჩვენება.

სწრაფად და უცბად, ჩემი აზრით, მდგომარეობა არ გამოსწორდება. ქართულ-რუსული ურთიერთობების მოწესრიგება იქნება რთული პროცესი და ჩვენ ნემსის ყუნწში მოგვიწევს გაძრომა. ჩვენ ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ საქართველოდან მოსკოვში ვინმე ჩავა და მას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს ლამაზ ქაღალდში გაუხვევენ და გამოატანენ.

ის, რომ გაჩნდა პოზიტივი და საქმე გვაქვს საერთო ფონის შეცვლის მცდელობასთან, ნამდვილად მისასალმებელია. თუ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დიდ ძალისხმევას მოჰყვება ხელისუფლების გააზრებული და კონსტრუქციული ნაბიჯები, მაშინ ეს მცდელობები ტენდენციის სახეს მიიღებს, ყოველივე ეს კი, შედეგებსაც გამოიღებს.

**კობა ბენდელიანი**

გულის ბუხარი

# ამერიკელ მეცნიერებს ბარაკ ობამას იმედი აქვთ, მაგრამ ჩვენ რა გვიშველის?

***ბრიტანელი** ბიოქიმიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი, როკფელერის უნივერსიტეტის (ნიუ-იორკი) პრეზიდენტი **პოლ ნერსი** ვარაუდობს, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მეცნიერება ამერიკაში ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ.*

***ბრიტანული გაზეთის „დეილი ტელეგრაფის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიაში, მეცნიერი წერს:***

„8 წლის განმავლობაში მეცნიერებისადმი უგულისყურო დამოკიდებულების შემდეგ ამერიკელ მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ ბარაკ ობამა თავის დანაპირებს შეასრულებს. არჩეულმა პრეზიდენტმა პირობა დასდო, რონ 150 მილიარდ დოლარს მიმართავს იმ ეკონომიკის განვითარებისთვის, რომელიც გარემოს არ აბინძურებს, გააუმჯობესებს საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებას სკოლაში, გადახედავს არსებულ შეზღუდვებს ბიოტექნოლოგიაში, მიმართავს ინვესტიციას ბირთვულ ენერგეტიკაში და „სუფთა ნახშირის“ ტექნოლოგიაში, გააორმაგებს სამეცნიერო კვლევების ფედერალურ დაფინანსებას ფიზიკასა და გამოყენებით მეცნიერებებში, აღადგენს აშშ-ს ლიდერობას კოსმოსურ კვლევებში.

თანამედროვე ისტორიაში აშშ პირველ ადგილზე იყო მსოფლიოში მეცნიერული აღმოჩენების მხრივ, მაგრამ 2000 წლიდან დაწყებული, ქვეყანაში ისეთი პროცესები დაიწყო, რომელსაც შეიძლება ეწოდოს რესეცია მეცნიერებაში. ხუთი წლის განმავლობაში მეცნიერების სახელმწიფო დაფინანსება განუხრელად ეცემოდა, რამაც მეცნიერული აზროვნების სტაგნაციამდე მიგვიყვანა და ამერიკელ მეცნიერთა შორის დეკადანსური განწყობილება შექმნა. ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციაში მეცნიერთა აზრს უყურადღებოდ სტოვებდნენ და მას მხოლოდ მაშინ ითვალისწინებდნენ, როდესაც ხანგრძლივი პოლიტიკური მანიპულაციები სჭირდებოდათ.



ექსპერტები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა გლობალური დათბობა, ბიოტექნოლოგია, ევოლუციის თეორია, მარგინალები გახდნენ, მათ იგნორირებდნენ და თანამდებობებიდანაც კი ათავისუფლებდნენ.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს რესპუბლიკელებმა გვიჩვენეს, რომ მეცნიერებისადმი მათი მიდგომა არ შეცვლილა. ამდენად, არაფერია გასაკვირი, რომ **76 ამერიკელმა ნობელის პრემიის ლაურეატმა ბარაკ ობამას ღიად დაუჭირა მხარი** და მრავალ ჩემს ნაცნობს ნიუ-იორკში არჩევნების შემდეგ გუნება-განწყობილება გამოუსწორდა. ობამას ესმის, რომ მეცნიერებას ძირეულად შეუძლია შეცვალოს ჩვენი ცხოვრება. ის ასევე აცნობიერებს, რომ სახელმწიფო, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის მაღალკონკურენტულ გარემოში წარმატებას აღწევს, ტექნოლოგიურ პროგრესს უჭერს მხარს და ნაციის ინტელექტუალურ პოტენციალზე ზრუნავს“.

მახსენდება სააკაშვილის გასაოცარი წინასაარჩევნო გამოსვლა უნივერსიტეტის დიდი საბჭოს წინაშე 2003 წლის დეკემბერში. მან ბრძანა, რომ მისი მთავარი პრიორიტეტი განათლების ხელშეწყობა და მეცნიერების განვითარებაა, რადგან მეცნიერება საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი განძია. დიდი საბჭო აღფრთოვანებით შეხვდა მის გამოსვლას და ისიც სიამოვნებით პასუხობდა შეკითხვებს. დაპირებებიც მრავალი იყო, ხელფასიდან დაწყებული, მეცნიერებისა და განათლების პრიორიტეტული დაფინანსებით დამთავრებული. მან თავი წარმოგვიდგინა, როგორც უკიდურესმა „ანტიშევარდნაძისტმა“ და არც სალანძღავი სიტყვები დაიშურა მისთვის, ვინც ხელისუფლება საკმაოდ უნიჭოდ დადგმული „სპექტაკლის“ მეშვეობით გადასცა. ლანძღვაც სწორედ ამ „სპექტაკლის“ შემადგენილი ნაწილი ყოფილა არჩევნებზე „ხმების“ მისაპოვებლად. მართლაც, პრაქტიკულად სააკაშვილის მიერ მოპოვებული ყოველი „ხმა“ შევარდნაძისთვის მიცემულ „უარყოფით ხმას“ ნიშნავდა.

ბარაკ ობამაც ბევრს ჰპირდება მეცნიერებს:

— გაზრდის ფინანსირებას მეცნიერებისა და ტექნიკის ფედერალური ბიუჯეტიდან, რომლის წილი 1970 წელთან შედარებით 2-ჯერ შემცირდა.

— მომდევნო ათწლეულში გააორმაგებს ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტის ბიუჯეტს, ნაციონალურ სამეცნიერო ფონდს და სხვა მთავარ სააგენტოებს, რათა წარმართონ კვლევები მაღალი რისკ-ფაქტორის მქონე კომპიუტერულ ტექნოლოგიებში, ბიოტექნოლოგიებში, ნანოტექნოლოგიებში და ა.შ.

— ინვესტირებას განათლებაში, რათა სტუდენტებმა შეძლონ საბუნებისმეტყველო დისციპლინების შესწავლა და გაუმჯობესდეს ისეთი სასკოლო საგნების მნიშვნელობა, როგორიცაა მათემატიკა და ფიზიკა.

— ეკოლოგიურად სუფთა ეკონომიკაზე გადასვლა. 10 წლის განმავლობაში 150 მილიარდი დოლარის ინვესტირება და 5 მილიონი ახალი სამუშაო ადგილის შექმნა. შეიქმნება პროგრამა გლობალური დათბობის წინააღმდეგ. გაიზრდება ინვესტიცია ბირთვულ ენერგეტიკაში და ეკონომიკის ენერგოეფექტურობის ამაღლებაში.

— გაიზრდება ინვესტიციები აშშ-ს კოსმოსურ პროგრამაში და მოწინავე სამხედრო საკვლევ პროექტებში.

თუმცა, ორიოდე დღის წინათ ბარაკ ობამამ თანამემამულეები გააფრთხილა, რომ სანამ ეკონომიკის აღმავლობა დაიწყება, სიტუაცია ალბათ გაუარესდება. ასეთი განცხადების მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ ნოემბერში ამერიკული კომპანიები იძულებული გახდნენ, 533 ათასი სამუშაო ადგილი შეემცირებინათ, რაც უკანასკნელი 34 წლის მანძილზე ყველაზე უარესია.

იხ. 4 გვ.

ოპოზიცია

***ქვეყანა** ხან ომის, ხან გარდაუვალი ვადამდელი არჩევნების მოლოდინშია.*

*რაც შეეხება, პრეზიდენტის გამოსვლებს, ის იმდენად ოპტიმისტურია, რომ პრეზიდენტზე წაქირქილების სურვილი გიჩნდება. ოღონდ, ასეთი რიგითი მოქალაქის განწყობა შეიძლება იყოს, ხოლო თუ ყველაზე რადიკალურ ლეიბორისტებს მოვუსმენთ...*

*ლეიბორისტი **ნესტან კირთაძე** გვესაუბრება.*



# ნესტან კირთაძე: გარწმუნებთ, სააკაშვილი უკვე ჩვენი ქვეყნის წარსულია,

## მას გაჰყავს დრო, რომელიც ამოწურულია

**— ქალბატონო ნესტან, როგორ ფიქრობთ, რა პროცესები მიმდინარეობს დღეს ქართულ პოლიტიკაში, ვითარება რა ფაზაშია?**

— თქვენი ეს ზოგადი კითხვა, მოითხოვს შევაფასოთ არა ხელისუფლებისა და ოპოზიციის პოზიციები და ურთიერთობა, არამედ ისტორია. ვითარება კი ასეთია: დღეს საქართველოში არ არსებობს სახელმწიფოებრიობა, არის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისი, ტერიტორია დაშლილ-დაქუცმაცებულია და ერთი საქართველოს ტერიტორიაზე უკვე სამი სახელმწიფოა, იმის მიუხედავად, თუ ვინ ცნო განდგომილნი. ჩვენს ქვეყანას არა აქვს დამოუკიდებლობა, პრაქტიკულად, სუვერენიტეტი ნულის ტოლია. ისტორიის მანძილზე საქართველოს ასეთი მძიმე დღეები ჰქონია, თუმცა თანამედროვეობისთვის ეს რთული გასაგები და მძიმე ასატანია.

**— ანუ სააკაშვილის მტკიცება, რომ სახელმწიფო არ „ჩამოიშალა“, ბლეფია?**

— ძალიან ვწუხვარ, რომ ჩვენი მოსახლეობის ნაწილი ამ გაუწონასწორებელ, უპასუხისმგებლო კაცს აქამდე უგდებდა ყურს, მაგრამ თუკი დღეს მისი სიტყვების კომენტარი მაინცდამაინც საჭიროა, მინდა იმ ადამიანებს, ვისაც სჯერა მისი, ვუთხრა, რომ სრულიად ბლეფია სააკაშვილის მხრიდან იმის მტკიცება , რომ სახელმწიფო შედგა.

მაშინ, როდესაც ვისმენდი ბურჯანაძის გამონათქვამებს, რომ თურმე საჯაროდ ვერ ბედავდა, მაგრამ კულისებში კრიტიკულად ესაუბრებოდა სააკაშვილს, როცა საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კიწმარიშვილმა განაცხადა, სახელმწიფოებრიობის საკითხებთან დაკავშირებით როგორ მესიჯობდნენ პრეზიდენტთან, შინაგან საქმეთა მინისტრთან, შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფო არც არსებობდა. რადგან სახელმწიფო რომ შედგეს, უნდა იმუშაოს პრეზიდენტის, პარლამენტის, დიპლომატიის, სასამართლოს ინსტიტუტებმა და ამით განისაზღვროს სახელმწიფოებრიობის ხარისხი. ამას თუ დავამატებთ იმასაც, რომ სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა დაშლილია და კიდევ არსებობს უარესის საფრთხე, დღეს საქართველოში სახელმწიფოებრიობა პრაქტიკულად არ არის.

**— თქვენ, სხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან ერთად შეხვდით ეუთოს გენერალურ მდივანს. კონკრეტულად რა საკითხებთან დაკავშირებით ესაუბრეთ მას?**

— შეხვედრა, რომელიც დიდხანს გაგრძელდა, სხვა შეხვედრებისგან გამოირჩეოდა გულახდილობით, პირდაპირობით, პრინციპულობით და არგუმენტაციით. პირველი სიტყვა მე მერგო, რომ ზოგადად შემეფასებინა საქართველოში არსებული სიტუაცია...

**— და, თქვენი შეფასება, რა თქმა უნდა, საკმაოდ კრიტიკული იქნებოდა.**

— დიახ. პირველი, რაც ვთქვი, ის იყო, რომ არ ვაპირებდი სააკაშვილზე საუბარს დიდხანს, ვინაიდან ის არის ჩვენი ქვეყნის წარსული და უმჯობესია, მომავალზე ვისაუბროთ-მეთქი. არა მხოლოდ მე, არამედ ყველა ოპოზიციის წარმომადგენელი იყო მკაცრი და არავის დაუფარებია სააკაშვილისთვის ხელი, რისი მცდელობაც და ნიშნებიც ადრინდელ შეხვედრაზე იყო ხოლმე.

**— მაშინ ვინ ცდილობდა სააკაშვილის გამართლებას?**

— საპარლამენტო ე. წ. ოპოზიცია. ამ შეხვედრაზე არც მათ დაუკლიათ ხელი სააკაშვილის კრიტიკისთვის. ეუთოს გენერალურ მდივანს გავაცანი ლეიბორისტების საერთაშორისო ინიციატივა. მას ვუთხარი, რომ ვინაიდან არჩევნების შედეგების აღიარების შემდეგ ეუთო ყოველთვის გამოირჩევა თავისი ობიექტური დასკვნებით (1999 წელს არჩევნებზე, როცა ლეიბორისტულმა პარტიამ გადალახა ბარიერი და ის უნდა გამხდარიყო საპარლამენტო პარტია, მაშინდელმა რეჟიმმა არ შეუშვა. თუმცა 2000 წლის დასაწყისში ეუთომ კრიტიკული დასკვნა გამოაქვეყნა და აღნიშნა, რომ ლეიბორისტებმა გადალახეს საპარლამენტო ბარიერიძ, ამიტომ ვთქვი, რომ რადგან ეუთო არჩევნებზე „დაგვიანებული სასწრაფოს“ როლს ასრულებს, ლეიბორისტული პარტიის ინიციატივით, იქნებ იფიქროთ ეუთოს სივრცეში შექმნან საერთაშორისო საარჩევნო ტრიბუნალი-მეთქი. ეს ინიციატივა ყველა სტუმარმა ჩაინიშნა და ყურადღებით მოისმინა.

იხ. 4 გვ.

№ 234. სამშაბათი, 16 დეკემბერი, 2008 წელი.

ოპოზიცია

# ნესტან კირთაძე: გარწმუნებთ, სააკაშვილი უკვე ჩვენი ქვეყნის წარსულია,

## მას გაჰყავს დრო, რომელიც ამოწურულია

(მესამე გვერდიდან)

**— ეს, ალბათ, მხოლოდ საქართველოს თუ დასჭირდება.**

— დიახ. ასევე ვთქვი, რომ ჩვენ გვინდა ეუთოსთან თანამშრომლობა და მისი მანდატის გაგრძელება საქართველოში. საუბარი გვქონდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე. უცხოურ პრესაში, კერძოდ, საფრანგეთის პრესაში აქტიურად წერენ ევროკავშირის და სარკოზის დამსახურებაზე აგვისტოს ომის დროს, მაგრამ იმასაც ვხედავთ, რომ „ძველი ევროპა“ ლოიალურია რუსეთთან დამოკიდებულებაში და ის ამითაც იხდის ენერგეტიკული რესურსების საფასურს. ევროპა პრაგმატულია რუსეთთან ურთიერთობაში და საქართველოც ასევე უნდა მოიქცეს. ლეიბორისტები კი პირველები ვიყავით, ვინც ვთქვით, რომ საჭიროა დიალოგის აღდგენა რუსებთან.

უკვე აწარმოებენ სტრატეგიულ კვლევებს ოპოზიციურ ძალებში, ხელისუფლებაში და საზოგადოებაში, თუ რა აზრის იქნებიან ჟენევაში მოლაპარაკებები წარმოებდეს და ხელშეკრულება დაიდოს საქართველო-აფხაზეთსა და საქართველო-ე. წ. სამხრეთ ოსეთს შორის ცეცხლის განუახლებლობის შესახებ. ეს ემოციური თვალსაზრისით ძალიან ეფექტიანად ჟღერს, მაგრამ აქ ფარსი, მზაკვრობაა დამალული, რადგან ეს ნიშნავს მათ აღიარებას და არაფერი რჩება უკვე იურიდიულ აღიარებამდე. სააკაშვილს კი როგორც ავთვისებიანი სიმსივნე, ისე უნდა მოიშოროს ეს კონფლიქტური რეგიონები, ხოლო შემდეგ შეინარჩუნოს ძალაუფლება დანარჩენ საქართველოზე.

**— მათ მოგისმინეს მხოლოდ, თუ შეგეკამათნენ, ან კომენტარები გააკეთეს?**

— როგორც ყოველთვის, დიპლომატები კომენტარებისგან თავს იკავებენ ხოლმე. თუმცა მათი დამოკიდებულება გამოიკვეთა: თუ დადგება ახალი პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევნების საკითხი, ისინი დაგვეხმარებიან. ყოველ შემთხვევაში, მათ ინფორმაცია საკმაოდ აქვთ, იმაზე მეტიც კი, ვიდრე ჩვენ გვგონია.

**— მაგრამ სააკაშვილმა თავის გამოსვლაში არჩევნების საკითხი გამორიცხა და ამას ლოგიკური ახსნა მოუძებნა, რომ იხარჯება უამრავი ფული, რომელიც შეიძლება არა პოლიტიკური, არამედ სოციალური მიზნებისთვის გაიხარჯოს.**

— გასაგებია, მაგრამ ქვეყანას არჩევნების ხარჯებზე ძვირი უჯდება სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნა, არა რამდენიმე მილიონად ან მილიარდად, არამედ — ქვეყნის დაშლად. არჩევნები იქნება ადრეულ გაზაფხულზე, რადგან ყველაფერს აქვს დასასრული. ის ექსცენტრიული კაცია და შეიძლება რაიმე პროვოკაცია მოიმოქმედოს ძალაუფლების შესანარჩუნებლად, მაგრამ გარწმუნებთ, ის უკვე ქვეყნის წარსულია, მას გაჰყავს დრო, დრო, რომელიც ამოწურულია.

**— არჩევნებს თუ დავუშვებთ, რა შეუძლია მან შეცვალოს? ხელისუფლებაში ნამყოფი ოპოზიციონერების ლამის ბუმია. გაერთიანდნენ რესპუბლიკელები და მემარჯვენეები და მათი მომავალი ლიდერის, ხელისუფლებისგან განდგომილი ირაკლი ალასანიას მოლოდინში ვართ, „გაერთიანებულმა ოპოზიციამ“ ჭირი მოგვჭამა... რა ხდება ოპოზიციურ პოლიტიკურ ფლანგზე, ვინ ვის დაუპირისპირდება? ლეიბორისტები ამ დროს რას აპირებთ?**

— ლეიბორისტები პრინციპულები ვართ. ჩვენ ამ რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში ამაგი, თავგანწირვა, თავდადება ჩავდეთ არა 2003 წლიდან, არამედ 1996 წლიდან.

**— ანუ ხელისუფლებაში სააკაშვილის გამოჩენიდან?**

— როცა მე მაშინ დავუპირისპირდი სააკაშვილს, პარლამენტის ტრიბუნიდან ასეთი განცხადება გავაკეთე: ფრთხილად, საქართველოში მოდის პოლიტიკური ექსტრემიზმი, რომელიც ძვირად დაუჯდება ქვეყანას-მეთქი.

ეს არის წყალგამყოფი ჩვენსა და სხვა ოპოზიციას შორის. უკვე მოქალაქეთა კავშირის დროიდან დაიწყო პოლიტიკური იმპორტირება პიროვნებებისა, რომელიც უცხო ქვეყნებიდან მოდიოდნენ, ეს იყო პოლიტიკური ინტერვენცია. ეს ადამიანები პირდაპირ ეკვეთნენ ქართულ იდეოლოგიას, სახელმწიფოებრიობას. თავის დროზე დღევანდელი ე. წ. ოპოზიციის წარმომადგენლები სწორედ მაშინ სააკაშვილის მხარდამხარ იბრძოდნენ.

რაც შეეხება პოლიტიკურ გაერთიანებებს, ალიანსებს, ეს არ არის ახალი. გარდა ლეიბორისტული პარტიისა, თქვენ ნახეთ გაერთიანებები, გადაჯგუფებები და ალიანსები, მერე გაყრები, გამოყოფები, გაბუტვები, ამიტომ ამ ნაწილს უკომენტაროდ დავტოვებ. ირაკლი ალასანია ჩამოვა და თვითონ იტყვის, რა გახდა მისი გადაწყვეტილების საბაბი.

**— ხომ არ იცით წვრილმანი, მაგრამ საინტერესო „საიდუმლოებანი“ მის შესახებ?**

— ჩვენ ძალიან ბევრი „საიდუმლო“ ვიცით, მაგრამ უმჯობესია, ჯერ მას მოვუსმინოთ. ვინც ამბობს, რომ ქართველ ხალხს მოუნდა ახალი „ტიპაჟი“, ეს არის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება. აქ უმთავრესია ლეიბორისტების ფაქტორი, ჩვენ პოლიტიკაში ჩვენი ამაგი გვაქვს. საიდანაც არ უნდა ჩამოვიდნენ პოლიტიკური ავანტიურისტები, ვაშინგტონიდან, ბრიუსელიდან თუ ნიუ-იორკიდან, ჩვენ ადვილად არ გავუკეთებთ ხელდასხმას, რომ ის არის ოპოზიციონერი და გულანთებული პატრიოტი. მით უმეტეს, რომ ისინი ვინც დღეს ოპოზიციას უწოდებენ თავიანთ თავს, სააკაშვილის გაგრძელებები არიან. ჩვენ არავისთან არ ვაპირებთ ალიანსს და თუ ვინმეს უნდა გაერთიანება, გაერთიანდეს ჩვენ გარშემო. ჩვენ ყველასთან კოორდინირებული ვიქნებით, თუკი ეს საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის აუცილებელი იქნება.

ესაუბრა
**თეა მოსია**

გულის ბუხარი

# ამერიკელ მეცნიერებს ბარაკ ობამას იმედი აქვთ, მაგრამ ჩვენ რა გვიშველის?



(მესამე გვერდიდან)

„ჩვენ საშუალება გვეძლევა, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ. აშშ XXI საუკუნის პირველივე წლებში გახდა მეცნიერების სტაგნაციის სახელმწიფო, მაგრამ პროცესი ჯერ კიდევ შეიძლება შევაბრუნოთ, თუ წინასაარჩევნო დამაჯერებელ რიტორიკას შესაბამისი ქმედებანი მოჰყვება. თუ ობამა თავის დანაპირებს შეასრულებს, ამით მთელი მსოფლიო მოიგებს“, — წერს პოლ ნერსი.

მაგრამ, თუ ობამა დანაპირებს სააკაშვილივით შეასრულებს, ამერიკაც განადგურდება და ამით უკვე მთელი მსოფლიო წააგებს.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც ორი ატომური ბომბის აფეთქებით განადგურებული ხიროსიმასა და ნაგასაკის იაპონია მიწასთან იყო გასწორებული, ისეთი შიმშილი იყო ქვეყანაში, რომ იაპონელები გარდაცვლილების ხორცით იკვებებოდნენ, როდესაც დამხმარე არსაიდან ჩანდა, იაპონიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ მთელი ბიუჯეტის 60 % განათლებისკენ მიემართა და სულ ორიოდე ათეული წელი დასჭირდათ, რომ იაპონია მსოფლიოს ერთ-ერთ ეკონომიურად ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულიყო.

როდესაც აფხაზეთსა და ზემო ქართლში საკუთარი ხალხის წინააღმდეგ საკუთარი თავის გამანადგურებელი ორი ომი დავიწყეთ, ეს იაპონიის თავზე აფეთქებულ ორ ატომურ ბომბზე დამანგრეველი აღმოჩნდა. ჩვენ მორალურადაც გავნადგურდით...

ახლა კი განათლებისა და მეცნიერების გადარჩენა ბატონ ნიკა რურუას მიანდეს, რომელიც განათლებისგან ისევე შორსაა, როგორც მეცნიერებისგან. ვითომ ახალი მინისტრი შესძლებს ქვეყნის ბიუჯეტის თუნდაც 6 %-ის განათლებისკენ მიმართვას და დამღუპველი განათლების კანონის შეცვლას?

კატასტროფა უკვე მოხდა. ხელისუფლებაც უუნარო აღმოჩნდა და ხალხიც — პასიური. ერთმა ხალხს პატიება უნდა სთხოვოს და წავიდეს, მეორემ კი თვითონ ჩაატაროს და აკონტროლოს სამართლიანი არჩევნები. ორივე განწირულია მათხოვრობისთვის და ჰუმანიტარული დახმარების იმედით სულდგმულობს.

და ველით დაპირებულ ოთხნახევარ მილიარდ დახმარებას. რაში დაიხარჯება ის ფული, თუ ჩვენამდე მოაღწია? ალბათ ძირითადად ისევ იმ შეიარაღების აღდგენას მოხმარდება, რომელიც რუსებმა წაგვართვეს ან გაგვინადგურეს.

ერთხელ პრეზიდენტმა უცხოელ კორესპონდენტს განუცხადა, რომ ათამდე მილიარდერი გვყავსო. სულ ცოტა ათჯერ მეტი მილიონერიც იქნება და რატომაა ხალხი ასე გაღატაკებული? იქნებ სწორედ იმიტომ, რომ ეს მილიონერები გამოვზარდეთ?

ნუთუ ამერიკელებსა და ევროპელებს ჩვენს მილიარდერ-მილიონერებზე მეტად შესტკივათ საქართველოზე და ქართველ ხალხზე გული? ნუთუ იმდენად კეთილები არიან, რომ სულ ჩვენს აღორძინებაზე ფიქრობენ? რაში გვაძლევენ ამდენ ფულს?

ჯერ არ ვიცით, მაგრამ აუცილებლად გვეტყვიან, თუ როგორ უნდა დავხარჯოთ!

სამაგიეროდ, აქაურ მილიარდერებს თურმე სულაც არ აღელვებთ საქართველოს ბედი, მაგრამ იმ ოთხნახევარი მილიარდი დოლარის ქვეყანაში შემოსვლა კიდევ რამდენ ახალ მილიონერს დაბადებს?

თუ ბუშმა საკუთარი ქვეყნის მეცნიერებას და განათლებას დიდი ზიანი მიაყენა, მისი ადმინისტრაციის რჩევები ჩვენს განათლებას და მეცნიერებას კარგ დღეს დააყრიდა?

ამ რამდენიმე თვის წინათ სათაურით **„მეცნიერები პოლიტიკოსების წინააღმდეგ“** — ინტერნეტში გამოქვეყნდა ინფორმაცია, სადაც ნათქვამია, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებმა ხელი მოაწერეს საპროტესტო განცხადებას მეცნიერებაში პოლიტიკური ჩარევის საწინააღმდეგოდ. ჩათვალეს, რომ მათ მიერ სამეცნიერო კვლევებში მიღებულ მეცნიერულ მონაცემებს და შედეგებს ხშირად პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებენ. ეს პროტესტის პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც აპროტესტებენ პოლიტიკოსების მეცნიერებაში ჩარევას. განცხადებას ხელი მოაწერა დაახლოებით ათი ათასმა მეცნიერმა, მათ შორის — ორმოცდათორმეტმა ნობელის პრემიის ლაურეატმა“.

ბუშის ადმინისტრაციის გადაყენებაზე, ეტყობა, ამერიკელ მეცნიერთა პროტესტებმაც იმოქმედა. ჩვენთან კი, აპროტესტე რამდენიც გინდა: უნივერსიტეტი უკვე აღარ არსებობს, მეცნიერები გარეთ გამოყარეს და აკადემიის ინსტიტუტებს ჯერ ჯგუფ-ჯგუფად გააერთიანებენ, შემდეგ კი ერთბაშად მიახურავენ, რადგან თურმე „პოლიტიკური ნებაა“ ასეთი.

ამიტომ ჩვენთან, სწორედაც რომ, პირიქითაა: **პოლიტიკოსები მეცნიერების წინააღმდეგ!**

და ეს არცაა გასაკვირი, რადგან რაც გასაკეთებელია, ყველაფერს უკულმა ვაკეთებთ. აღარც ისაა გასაკვირი, რომ ყველაფერი ეს სწორედ ამერიკელების კარნახით ხდება. სწორედ მათმა ორგანიზაცია RTI-მ მოგვახვია თავს ის განათლების რეფორმა, რომლის „გამარჯვებით“ უნივერსიტეტები დაიხურა, (თუმცა სახელწოდებები შეუნარჩუნეს), და საშუალო სკოლებიც (მათ სახელად უკვე საჯარო სკოლა დაარქვეს, თუმცა სწავლის დონე ძველ მეშვიდე კლასის დონეს ვეღარ აღწევს).

ეს რომ ასე უნდა ყოფილიყო, ჩვენმა პოლიტიკოსებმა ჩვენზე უკეთ იციან, რადგან მეცნიერების განადგურება ამ ხელისუფალთა მთავარი პოლიტიკური ამოცანაა, ხოლო სხვათა მოჯამაგირე ერისთვის დაწყებითი განათლება სრულიად საკმარისი უნდა იყოს. ასეთი განათლება ჯარისკაცებად და პოლიციელებად გამწესებული ახალგაზრდებისა და რესტორნებსა და სასტუმროების მომსახურე გოგონებისთვის ზედმეტიცაა და აპროტესტე რამდენიც გინდა: **არიქა, გონი და სულიერება გვიკვდება, გვიშველეთ, ხალხი არა ხართ?**

მღაღადებელთა გოდებას არავინ ისმენს არც აქ და არც იქ.

**მერაბ ჯიბლაძე.**
**„ქართული აკადემია“**

ეს ყველამ უნდა წაიკითხოს!

ზურაბ ავალიშვილი

# საქართველოს შეერთება რუსეთთან

V.

1.

საქართველოს შემოერთების საკითხი ერთ-ერთი პირველი იყო იმ საკითხთაგან, რომელთა განხილვაც მოუხდა იმპერატორ ალექსანდრე I-თან ახლად შექმნილ სახელმწიფო საბჭოს; ამავე საკითხის შესახებ მსჯელობდნენ იმპერატორ პავლეს საბჭოს ბოლოსწინა სხდომაზეც. და, თუმცა საქართველოს ბედი პავლესაგან უკვე გადაწყვეტილი იყო, ალექსანდრემ მხოლოდ ის არ იცოდა, როგორ მოჰკიდებოდა უკვე მომხდარ ფაქტს; მაგრამ ორჭოფობაში ჩავარდნილი იმპერატორის დიდებულებმა მეტი ყურადღება გამოიჩინეს და უფრო სერიოზულად შეხედეს საქმეს, ვინემ გამბედავი პავლე იმპერატორის მრჩევლებმა.

მანიფესტის ხელმოწერის წინ, 1800 წლის 17 დეკემბერს საბჭოში წაიკითხეს გრაფ მუსინ–პუშკინის წარდგინება „რუსეთის სახელმწიფოსთან საქართველოს შემოერთების მარჯვეობისა და სარგებლიანობის შესახებ“. საბჭო სავსებით იზიარებდა ასეთი ნაბიჯის „მარჯვეობას“ და არ უარყოფდა „სარგებლიანობას“. უფრო მეტიც, მან მიიჩნია, რომ „იმ მიწა-წყლის მფარველის“ წოდება იმპერატორს ანიჭებს უფლებას, მიიღოს მხარის უსაფრთხოებისთვის საჭირო ღონისძიებანი — ამიტომ, **ხელმწიფეზეა დამოკიდებული, როგორ მიაღწიოს ამას: საქართველოს საშინაო საქმეებში თავისი გავლენის ზრდის, თუ რუსეთთან მისი მთლიანად შემოერთების გზით.** იურიდიულად საბჭო ასაბუთებს საქართველოს შემოერთების უფლებას (სწორედ, როგორც პროტექტორატიდან გამომდინარეს sicძ, და შემდეგ ვრცლად აშუქებს, რა სარგებლობას მოუტანს ეს რუსეთს. აღნიშნავს, რაოდენ ბევრია იმ მხარის მდიდარ წიაღში მოქცეული განძეულობანი, გიორგი მეფე რომ გადმოსცემს რუსეთს; შემდეგ რომ იქიდან „გაცილებით უფრო მარჯვედ შეძლებენ მოთარეში მთიელთა ალაგმვას; და, ბოლოს, მოჰყავს სახელგავარდნილი არგუმენტი „არა მარტოოდენ მეზობლებთან, არამედ აგრეთვე ინდოეთის ხალხებთან“ ვაჭრობის თაობაზე, და სტრატეგიული სარგებლობა პორტასთან ან სპარსეთთან ომის შემთხვევაში (სახელმწიფო საბჭოს არქივი, ტ.II, გვ.881-882. ბუტკოვი იმოწმებს ვეიდემეიერის, სახელმწიფო საბჭოს კანცელარიის მაშინდელი მმართველის სიტყვებს, და იუწყება, რომ საკუთრივ, საბჭოს წევრთა უმრავლესობამ შეერთების წინააღმდეგ მისცა ხმა, მაგრამ სანამ ამის შესახებ საოქმო ჟურნალი იწერებოდა, გენერალ–პროკურორმა ობოლიანინოვმა გამოაცხადა, რომ საქართველოს შემოერთების შესახებ უკვე არსებობს უმაღლესი ნება, და ამის შესაბამისად უნდა შედგეს ჟურნალი. სწორედ ასე, „შესაბამისად“ შეადგინა კიდეც. Матеріалы, ტ.III, გვ.333. ობოლიანინოვი იყო წმიდა წყლის პავლესდროინდელი — „მაამებელი“, არხაროვთან, არაქჩეევთან ერთად etc. შდრ. პანინი, Общественное движение при Александре Iძ.

თავისთავად ცხადია, რომ იმპერატორი ალექსანდრე, ჯერ კიდევ ბატონიშვილობისას, იცნობდა საქართველოს საკითხს; და ზემოთ ნახსენებ საბჭოს სხდომის საოქმო ჟურნალს სწრედ მან მოაწერა ხელი.

ტახტზე ასვლისას, მართალი რომ ვთქვათ, საქართველო უკვე შემოერთებული დახვდა, ანუ მისი შემომტკიცების ნება უკვე გამოთქმული იყო, თანაც, მანიფესტის ავტორიტეტული ფორმით. ჩვენ გიჩვენეთ, რომ, ამას გარდა, გადაიდგა გადამწყვეტი ნაბიჯიც ამ ნების შესასრულებლად, ე.ი. არ დაუშვეს ახალი მეფის გამოცხადება.

თუმცაღა, ძველი წესებიდან ბევრი რამ კიდევ ინარჩუნებდა ძალას. საჭირო იყო კიდევ მთელი რიგი ღონისძიებანი, რათა იმპერატორ პავლეს გადაწყვეტილებას შეესხა ხორცი. მაგრამ მისი შვილის უწესობისმოზიზღარ სულს ერთგვარი ორჭოფობა დაეუფლა.

ალექსანდრე, ეს საკვირველი და ჭირვეული მონარქი, რომელსაც მაშინ უკეთილშობილეს და ასრულების ბედის არმქონე ზრახვათა ხანა დასდგომოდა, დააეჭვა ამ აქტის მართლზომიერებამ, რომლის საფუძველზეც შემოიერთა რუსეთმა საქართველო. იგი ამ აქტში ხედავდა უსამართლობას საქართველოს ტახტის კანონიერ მემკვიდრეთა მიმართ.

საგულისხმოა, რომ ვერც პავლე იმპერატორი, და ვერც მისი მრჩევლები ვერ ხედავდნენ, რომ, აუქმებდნენ რა ბაგრატოვანთა ტახტს, ისინი ცხადზე უცხადესად არღვევენ პრინციპს, რომლის გულისთვისაც მზად არიან, მტერს შეაწყვიტონ არმიები და აღმართონ ჩინეთის გალავანი ევროპასა და რუსეთს შორის, — ლეგიტიმურობის პრინციპს, თუმცა, შეიძლება, უადგილო ეჩვენებოდეთ „სააზიატო“ საქმეთა განხილვა მონარქების ღვთივცხებულობაზე „ევროპიულ“ შეხედულებათა თვალსაზრისით.

იმპერატორის ეჭვებისა გამო, დააყენეს წინადადება, საქართველოს საკითხი გაეტანათ ახლად შექმნილი სახელმწიფო საბჭოს განსახილველად. მის წევრებს შორის ახლა იყვნენ პირნი, ვინც ახლოს იცნობდა საქმეთა ვითარებას აზიის ამ ნაწილში, გამოცდილებით და პირადი როლით პოლიტიკაში — სახელდობრ, პლატონ და ვალერიან ზუბოვები. ასეთ პიროვნებში, სარგებლიანობის საკითხების გვერდით სამართლიანობის საკითხის აღძვრისას, უკვე ვეღარ იკმარებდი მოთარეში მთიელების და „ინდოეთთან“ ვაჭრობის დამოწმებას. მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთებამ სახელმწიფო საბჭოში ნამდვილი დებატი გამოიწვია საგარეო პოლიტიკის საკითხის გამო, იშვიათი მაგალითია საბჭოს ამ საუკუნის ისტორიაში.

პირველად იმპერატორ ალექსანდრე I-ის დროს საბჭო საქართველოს საკითხის განსახილველად შეიკრიბა 1801 წლის 11 აპრილს.

წაიკითხეს, ქაღალდები შემოერთების შესახებ, და საბჭომ ჩათვალა, რომ ამ შემოერთებას ჰქონდა ორი მიზეზი, ჯერ ერთი, გრ. მუსინ-პუშკინის მოხსენება უხვი მადნების შესახებ; მეორეც, გიორგი მეფის წარმოგზავნილთა მიერ განცხადებული სურვილი, რომ სამეფო უშუალოდ რუსეთის ქვეშევრდომობაში გადასულიყო და ამით თავიდან აეცილებინა დაღუპვა გარდაუვალი შუღლისა და ქიშპის შედეგად. ელჩები საქართველოში გაგზავნეს, რათა საჭირო რწმუნებებით დაბრუნებულიყვნენ — საზეიმო ფიცის დასადებად.

ჩვენ დაწვრილებით ვილაპარაკეთ იმაზე, თუ რაში მდგომარეობდა ქართველ რწმუნებულ მოციქულთა „განცხადება“ (ე.ი. სათხოვნელი პუნქტებიძ, ჩვენთვის ცნობილია ისიც, თუ რა მიზნით გაგზავნეს უკან (საპასუხო სიგელის და იმ რწმუნებების ჩამოსატანად, რომლებიც საჭირო იყო „ორთავემხრითი“ აქტის დასადებადძ. როგორც ჩანს, საბჭოში წაკითხული „ქაღალდებს“ შორის არ აღმოჩნდა ყველაზე მთავარნი! ამის შედეგად, სიტყვაც არ თქმულა რწმუნებულ მოციქულთა მისიაზე, კრინტიც არ დაძრულა ვალდებულებებზე 1783 წლის ტრაქტატიდან, 1799 წელს რომ დადასტურდა.

საბჭოს აზრით, აუცილებელია „დაიტოვონ“ საქართველოს რუსეთის სკიპტრის ქვეშ შემდეგი მოსაზრებებით: 1ძ რათა თავიდან აიცილონ დაუძლურებულ სამეფოს დამღუპველი შინაომები; 2ძ სამეფოს ოდინდელი მფარველის, იმპერიის საკუთარი ღირსება მოითხოვს, მთლიანად შეინარჩუნონ (და ამიტომ, შემოიერთონძ საქართველო; 3ძ ამასვე მოითხოვს საზღვრების სიმშვიდე. და აუცილებელია, არა მარტო დატოვონ საქართველოში შეყვანილი ჯარები, არამედ შეუდგნენ კიდეც დროებითს ხელისუფალთა ორგანიზაციის, მტკიცედ მოიკიდონ იქ ფეხი, — ვინაიდან საქართველოს დაკავებასთან უნდა იყოს დაკავშირებული 1796 წლის ეკატერინესეული გეგმების შესრულება.


З. АВАЛОВЪ

ПРИСОЕДИНЕНІЕ ГРУЗІИ КЪ РОССІИ

С.-ПЕТЕРБУРГЪ

1901

მსჯელობის კილოზე ეტყობათ, რომ ეკატერინეს თანამოსაგრეები არიან.

სახელმწიფო საბჭო, რომელმაც გააუკუღმართა შეერთებისადმი თვით საქართველოს დამოკიდებულების საკითხი, დაუშვა ისეთი მსჯელობა, როგორიც არის: საქართველოს სამეფო უნდა შევინარჩუნოთ დაუძუცმაცებლად — ამიტომ უნდა რუსეთს შემოვუერთოთო, — ვერ იდგა იმ ამოცანის მოწოდების სიმაღლეზე, მონარქმა რომ დააკისრა.

ალექსანდრეს არ უკითხავს: ხელსაყრელია, თუ არა საქართველოს შემოერთება? იგი კითხულობდა: ხომ არ არისო ამაში უსამართლობა, ანუ ხომ არ ირღვევაო ამით მემკვიდრეთა დინასტიური უფლება? რომ ყოფილიყო რაიმე აქტი, რომ გიორგი მეფე ან მისი მემკვიდრენი უარს ამბობენ სამეფო უფლებაზე რუსეთის ხელმწიფის სასარგებლოდ, მაშინ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს აქტი ეცოდინებოდა მონარქს; და არაფერი ექნებოდა საორჭოფო და დასაეჭვებელი, რა უფლება გააჩნია საქართველოზე. მაშინ შეიძლებოდა საუბარი ყოფილიყო მიზანშეწონილებაზე, იმაზე, თუ რამდენად ხელსაყრელია ეს, ღირს კია ამ ტვირთის კისრადღება? მაგრამ ასეთი აქტის მსგავსი არაფერი ყოფილა; ალექსანდრესთვის ვერსაიდან ვერ გახდებოდა ცხადი, რომ საქართველო ნამდვილად კეთილნებობით შემოდის ქვეშევრდომობაში; ან კი, საიდან უნდა გამხდარიყო, როდესაც ერთობლივი აქტი, რომელიც ასე ეწადათ ქართველებს, არ დადებულა, ხოლო მანიფესტი შემოერთების შესახებ უკვე გამოცხადებულია. მაშასადამე, ხელმწიფეს შველა სჭირდებოდა, რომ დაეძლია შემოწოლილი ეჭვები. ნაცვლად იმისა, რომ ეჩვენებინა საკითხის მართლზომიერი გადაწყვეტის ერთადერთი შესაძლო გზა — ურთიერთშეთანხმების გზა, „ორთავემხრითი“ აქტის გზა, თითქოსდა, ჯერ კიდევ პავლემ რომ აკურთხა, ნაცვლად იმისა, რომ გაეწიათ ანგარიში საქართველოს რწმუნებული მოციქულებისათვის, ასევე ეშურებოდნენ საქმის უფრო მართლზომიერ გადაწყვეტას, — სახელმწიფო საბჭომ, შემოერთების მომხრე დიდებულთა კვალდაკვალ, უგულებელყო, საკუთრივ, ქართველთა სურვილები, თუმცა მთელი ლაპარაკი სწორედ ამ სურვილებს ეხებოდა.



რაკი ერთობლივი განხილვის გზას უარყოფდნენ, მაშინ ის–ღა დარჩენოდათ, რომ ან ემტკიცებინათ, ყველა ქართველი უშუალო ქვეშევრდომობის თავგადაკლული მოსურნეაო, ანდა, დაეჩემებინათ, შემოერთება დიდ სარგებლობას მოუტანს ქართველებსაც და რუსეთსაცო. საბჭო ასეც მოიქცა: ყოვლად უსაფუძვლოდ ამტკიცებდა, ქართველები რუსეთის ქვეშევრდომობას არიანო მოწადინებულნი, და არ იშურებდა სალებავებს, რათა ორივე მხარისათვის შეერთებით განმზადებული სარგებლიანობისა და გამოსადეგობის თვალწარმტაცი სურათი დაეხატა.

3.

4 დღის შემდეგ, 1801 წლის 15 აპრილის სხდომაზე, კვლავ დაიწყო საქართველოს საქმეთა განხილვა. გენერალ-პროკურორმა ბეკლეშოვმა დამსწრეთ აუწყა, რომ „ხელმწიფეს რუსეთის ქვეშევრდომად საქართველოს მიღების გაგონებაც არ სურსო“, ვინაიდან, იგი, ხელმწიფე „უსამართლობად მიიჩნევს სხვათა მიწა-წყლის მითვისებასო“.

15 აპრილის სხდომაზე ბევრი რამ საინტერესო ითქვა; არგუმენტები სულ უფრო დამაჯერებელი ხდება. მაგრამ, „სამართლიანობის“ ე.ი. მართლზომიერების საკითხი კვლავ და კვლავ, არცთუ დამაჯერებლად წყდება.

საბჭო თავის თავდაპირველ აზრზედ დარჩა. ჯერ ერთი, ამტკიცებდა, რომ მთელი ხალხისაგან გამოთქმული სურვილი, ყოფილიყვნენ რუსეთის ქვეშევრდომნი, საკმარისად ამართლებს შემოერთებას, ვინაიდან „აცილებს ამ წამოწყებას ყოველგვარი სახის უსამართლობას“. მაგრამ, **როგორი** ქვეშევრდომობა სურდათ, — ამას საბჭო არ შეხებია.

შემდეგ, მოსაზრებათა მეორე სერია ეხება იმ შედეგებს, რომლებიც მოჰყვებოდა ქვეშევრდომობაში არმიღებას. ეს შედეგები ორგვარია: aძ ქვეშევრდომობაში არმიღება — საქართველოსთვის „საბოლოო დაღუპვა“ იქნება. სპარსელები ყოველთვის ემტერებოდნენ ქართველებს, და ახლა ერთი სული აქვთ, იხელთონ დრო და თავს დაატეხონ შურისგება რუსეთთან დაკავშირებისათვის. შეეხო რა ამ სანიადაგო საფრთხეს, საბჭომ გამოთქვა თვალსაზრისი, რომელმაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა საქმის ბედზე.

მისი აზრით, თუ უნდა დაეხმარონ საქართველოს, მაშინ ორში ერთი უნდა აირჩიონ: ან სრულიად ჩამოშორდნენ მას, ანდა, სრულ ქვეშევრდომობაში მიიღონ. ან საკუთარი ბედის ანაბარა დატოვება,— ანდა სრული ოკუპაცია. სხვა გამოსავალი არ არის. Tertium non datur.

„მფარველობას, რომელსაც აქამდე უწევდა რუსეთი საქართველოს, იმდენი „ორთავემხრითი“ უმარჯვეობა აქვს, რომ ამ უკანასკნელის სრულიად მიტოვებასა და მის პირველის ქვეშევრდომობაში მიღებას შუა ზღვარი არ არის“.

იმისათვის, რომ საქართველოს მშვიდობიანობა დაუმკვიდრო, — იქ მუდამ უნდა გყავდეს ისეთი რაოდენობის ჯარი, რომ ეს ძალიან ძვირი დაგიჯდება; ხოლო თუ შემოიფარგლები დახმარების გაგზავნით მხოლოდ საჭიროების კვალობაზე, მაშინ მიზანი მიუღწეველი დაგრჩება. კავკასიის ხაზს საქართველოსგან ძნელად გადასალახავი მთები ჰყოფს, სპარსელებს კი შეუძლიათ, სულ რაღაც ერთ დღე-ღამეში მიადგნენ თბილისის გალავანს. ხძ მაგრამ თვით რუსეთსაც საქართველოს არშემოერთება უდიდეს ვნებას უქადის. საკუთარი ბედის ანაბარა დატოვებული საქართველო განადგურდება, და ქრისტიანული სამფლობელოს ნაცვლად, ჩვენს საზღვარზე თავს ამოყოფენ დაუძინებელი მტრები — მაჰმადიანები, არადა, საქართველო სულ ბოლო დღემდე იმ სამსახურს უწევდა რუსეთს, რომ არ ანებებდა გაერთიანებას ჩვენდამი მტრულ ძალებს მხარეში, ხოლო მთიელები ისე არხეინად ვერ პარპაშებდნენ, რაკი ზურგში საქართველო ჰყავდათ.

მაგრამ ეს სამეფო რომ არ შემოვიერთოთ, ქართველები, რა იცი მათი თავი და ტანი, ოსმალეთს ეყმევებიან, და მაშინ! მაშინ ეს საშინელ შედეგებს მოუტანს რუსეთს. იგი იძულებული შეიქნება, 800 ვერსი საზღვრის მანძილზე საქმე იქონიოს კავკასიის მტრულ ძალებთან, ოსმალეთი რომ გააერთიანებს. დაუყოვნებლივ გაჩნდება აქ სხვა სახელმწიფოების გავლენა; და მაშინ — იმის გაფიქრებაც კი შემზარავია, რა მოხდება მაშინ. ხოლო ყოველივე ამის გამო, აუცილებელია, რუსეთმა საქართველო შემოიერთოსო.

მაგრამ საორჭოფო რომ არაფერი დარჩეს, სახელმწიფო საბჭო იმპერატორს სთავაზობს ჭეშმარიტების მოკვლევის შემდეგ, გადამწყვეტ ხერხს, დაე, მისცენ საიდუმლო ბრძანება გენერალ კნორრინგს, გაემგზავროს საქართველოში და „გამოავლინოს“ ადგილზე: 1ძ შეუძლია, თუ არა, საქართველოს, იყოს დამოუკიდებელი სამეფო, რომელიც საკუთარი ძალებით გაუმკლავდება მტერს, შფოთიანობას etc? 2ძ ნამდვილად ემყარება, თუ არა, ქვეშევრდომობაში მიღების თხოვნა მთელი ხალხის სურვილს?

**თარგმნა**
**არჩილ მანჯგალაძემ**

**(გაგრძელება იქნება)**

**იბეჭდება შემოკლებით**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 203-230.**

ჭირი დანახული ჯობს

# საქართველო აზიური ევროპაა თუ ევროპული აზია, ძველთაძველი დავა რომ არის, ვიცი... მაგრამ სამშობლო თუ ტუალეტიდან იწყებოდა, ნამდვილად არ მეგონა...

## ღია ბარათივით პროფესორ გიგი თევზაძესა და კიდევ ზოგიერთებს



ბოდიში, პატივცემულო, თავად ფილოსოფოსი, ფილოსოფოსის ვაჟი ბრძანდებით და ვეცდები, რომ მეც მოკლედ წავიფილოსოფოსო.

სხვა ენა თქვენ მაინც არ გესმით.

რაც გონიერმა ადამიანმა ცხოვრების გაუმჯობესებაზე ფიქრი დაიწყო, იმის მერე მომხდარ აჯანყებებსა და რევოლუციებს, აბა, ვინ მოთვლის... მაგრამ, როგორც განვლილმა ხუთმა წელიწადმა დაგვანახვა, ვარდების რევოლუციასთან სუყველა აჯანყებასა თუ რევოლუციას ფეხი მოუსხლტება, ანუ ვერც ერთი იმასთან ვერ მოვა. იმიტომ მოუსხლტება და იმიტომ ვერ მოვა, რომ „ვარდებიანი“ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი წყობილება, რომ გვეგონა, პირველად საქართველოში დამყარდაო, ახლა უკვე ირკვევა, რომ მარტო საქართველოში კი არა, თურმე მთელ დედამიწის ზურგზე დამყარებულა პირველად, რადგან ყველა ის წესწყობილება, რაც კაცობრიობას დღემდე გამოუვლია, ანუ მონათმფლობელობა, ფეოდალიზმი, სოციალიზმი თუ კაპიტალიზმი, კონგლომერატულად თავმოყრილა ჩვენს პატარა მიგლეჯილ-მოგლეჯილ, აწ კი კარგა გვარიანად ამპუტირებულ მიწა-წყალზე...

ღმერთი, რჯული მე ამდენი ფილოსოფია არ ვიცი, ისევ თქვენი ბოლოდროინდელი წერილებიდან და ინტერვიუებიდან ნასესხები არაკონტრრევოლუციური აზრებით ნახელმძღვანელები გელაპარაკებით. აი, თუნდაც თქვენი ის ინტერვიუ ავილოთ, ოფიციოზმა „24 საათმა“ ახლახან რომ გამოაქვეყნა და სათაურად „კონტრრევოლუციის ნიშნები“ რომ ჰქონდა.

ამ ფრიად ანტიეროვნული, მაგრამ სამაგიეროდ საკაცობრიო პროგრესის სულისკვეთებით განმსჭვალული ინტერვიუს გამო ჩემმა მეგობრებმა, დიდად განსწავლულმა ფილოლოგებმა რევაზ სირაძემ და გრივერ ფარულავამ იმავე გაზეთით უსტარიც კი მისწერეს „აგვისტოს ომში გამარჯვებული ქვეყნის პრეზიდენტს“ (კარგა ბლომად სირცხვილნაჭამ, დამარცხებულ რუსეთს აგრე მოუხდება!ძ, რომელსაც ერთ-ერთ თავის გამოსვლაში თურმე მკაცრად გაუკრიტიკებია (ეტყობა, ყასიდად!ძ ის ტუტუცი საჯარო მოხელეები, ვის „ავადმყოფურ ფანტაზიებშიც“ დაბადებულა ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის იდეა.

საინტერესოა, გიგი თევზაძე და მისი თანამოაზრეები შეგნებულად ეწინააღმდეგებიან საქართველოს პრეზიდენტის პოზიციას და ცდილობენ, რომ საზოგადოება აღაშფოთონ თუ ეს, მართლაც, სახელმწიფო პოლიტიკაა და ჩვენ თვალებს გვიბამენო, – ეკითხებიან ზემოხსენებული ჩემი მეგობრები თქვენს ინტერვიუში განვითარებული ფილოსოფიის გამო პატივცემულ მიხეილს.

ამ ჩემმა უთუოდ დიდად გონიერმა მამულიშვილმა მეგობრებმა განა არ იციან, რომ თევზი თავიდან ყროლდება და თევზაძე თავის მოაზრეებთან ერთად არც საქართველოს პრეზიდენტის პოზიციას უწევს წინააღმდეგობას და არც კიდევ საზოგადოების აღშფოთებას ცდილობს, მაგრამ არ უნდათ დაიჯერონ (ან იქნებ სჯერათ კიდეც, მაგრამ განგებ აყრიან კედელს ცერცვს!ძ, რომ ყოველივე, რაც დღეს ჩვენს აწეწილ-დაწეწილ ქვეყანაში ხდება, სახელმწიფო პოლიტიკაა და სწორედაც პრეზიდენტის ცხადი თუ ფარული დასტურითა და თანხმობით ხდება.

ამიტომაც გიწოდათ თქვენ და თქვენს თანამოაზრეებს ხალხმა, პატივცემულო პროფესორო და კიდევ უფრო პატივცემულო რექტორო, სახელმწიფო პოლიტიკისა და, კერძოდ, პრეზიდენტის პოლიტიკის ვაიგამხმიანებლები, რაც, საბოლოო ჯამში, ორივე მხრიდან თვალთმაქცობაა, ოღონდ უკვე ხალხისაგანვე კარგად გაშიფრული.

შე (თუ თქვეძ კაი დედ-მამის შვილო, უახლოეს წარსულში მისაღებ გამოცდებზე ქართულს ყველანი რა, იმიტომ ვაბარებდით, რომ მაშინ ქართულის გამოცდას სხვა დატვირთვა ჰქონდა, ანუ ჩვენ ამით რუსებს ვუმტკიცებდით, რომ სხვები, მათთვის უცხოები ვიყავით და ამ სხვებს განათლებაც მშობლიურ ენაზე უნდა მიგვეღო? და ახლა კი საინტერესოა, აქ, საქართველოში, ვის უნდა ავუხსნათ ქართველები რომ ვართ? ანდა, ვინც თარიღს დაიზეპირებს საქართველოს ისტორიიდან და მერე ამას გამოცდაზე ჩაარაკრაკებს, საკუთარ ქვეყანას არაფერს დაუშავებს? ესე იგი, როგორც ჩანს, დღემდე თუ რამ გაგვიკეთებია, ყველაფერი ჯერ ბერძნების, მერე არაბების, მონღოლების, თურქებისა და სპარსელების ჯიბრზე გვიკეთებია!.. თქვენს ამგვარ ვაილოგიკას თუ გავყვებით, ჩვენი ახალი კულტურაც, ჩვენი მეცნიერებაც, საერთოდ, ჩვენი ხელოვნება, მწერლობა, კინო, მხატვრობა, მუსიკა თუ ქორეოგრაფია, ერთი სიტყვით, ყველაფერი იმისთვის შეგვიქმნია, რა არი რუსებისთვის დაგვემტკიცებინა, რომ ჩვენ სხვები, ქართველები ვართ. ახლა რა? რახან ამის მტკიცება აღარ გვჭირდება, გულხელი უნდა დავიკრიფოთ და აღარაფერი შევქმნათ?

თქვენი აზრით, ქართულ მეცნიერებათა უფუნქციო აკადემიის არსებობაც თურმე ერთგვარი ხარკია, თანაც გონივრული ხარკი, როცა შენ ვერავინ ვერ გაგკვენწლავს იმის გამო, რომ ერთ დროს მეცნიერებათა აკადემია გქონდა და მერე შენვე გააუქმე. და კიდევ: საქართველოში არსებული ყველა უნივერსიტეტი, ინსტიტუტი თუ აკადემია (სპორტის აკადემიისა და სულხან-საბა ორბელიანის ინსტიტუტისა არ იყოსძ თქვენს უნივერსიტეტს უნდა შემოუერთდეს და საქართველოს ერთადერთი უნივერსიტეტის ერთადერთი რექტორი თქვენ, გიგი თევზაძე, უნდა ბრძანდებოდეთ?

როგორც თქვენი ინტერვიუდან გავიგე, თქვენ სულ სხვა ჭია გიღრღნით გულს: ბოლო დროს გაჩენილი კონტრრევოლუციის ნიშნები გალელვებთ. ამ აზრს კი ასე აყალიბებთ: ჩვენში ყოველწლიურად სკოლას ამთავრებს 40 ათასი ახალგაზრდა, ამათგან მხოლოდ 17 ათასი ხვდება უმაღლეს სასწავლებელში. სამწუხაროდ, იმ დარჩენილ 23 ათასს ვერაფერს ვთავაზობთ. ამ ხალხს კი დასაკარგი არაფერი აქვს და სწორედ ამის გამო მკვეთრი ცვლილებების მოთხოვნილებებისადმი მეტისმეტად მგრძნობიარე ხდება: ასეთ ადამიანს ნებისმიერი რევოლუციური იმპულსი გარკვეულ შანს აძლევს...

აი, თურმე სად მარხია მთელი თქვენი საგანმანათლებლო რეფორმის იდეოლოგიური ძაღლის თავი. აკი არც მალავთ და პირდაპირ აცხადებთ: იმ მოთხოვნებში, რაც დღეს უმაღლესი განათლების სისტემას წაუყენეს (ცხადია, ლაპარაკია ოპოზიციურ მხარეზეძ, არის კონტრრევოლუციის ნიშნები და თუ ეს ასე გაგრძელდა, ისევ შევარდნაძის ან იმის წინა ეპოქაში დავბრუნდებითო. „იმ მოთხოვნებში“ კი, უწინარესად, ყოველივე ქართულის მოთხოვნას გულისხმობთ.

რაც შეეხება საშველს, ყოველივე ეროვნულის ბოლომდე განადგურებაში ხედავთ, ხოლო ამ საკითხის თქვენეული ახსნა იმ ერთ ძველ დედაკაცს მახსენებს, რომელიც ლაშქრიდან დაბრუნებულ ქმარს იქაურ ამბავს უყვებოდა. თუ მართალს არ ვამბობ, აი თქვენი ბრძნული პასუხიც: „აუცილებლად გვეშველება, ოღონდ საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. თავიდანვე მხოლოდ ერთი აუცილებელი გამოცდა რომ შემოგველო, ახლა ამ საფრთხის წინაშე არ ვიდგებოდით. კიდევ ერთი არგუმენტი, რატომაც მაგონებს ბევრი გამოცდის მოთხოვნა საბჭოთა კავშირს. საბჭოთა რეჟიმს არ სჭირდებოდა ინტელექტუალები, უფრო სწორად სჭირდებოდა იმდენი, რამდენის მართვასაც შეძლებდა. მაშინდელი ინტელექტუალების უმეტესობა საბჭოთა შეიარაღების გაუმჯობესებაზე იყო მიმართული; მცირე ნაწილი დითირამბებს თხზავდა; ვინც სხვაგვარად ფიქრობდა, მათ ანადგურებდნენ ან მეტ-ნაკლები სიმკაცრის რეპრესიებში აქცევდნენ. რაც მეტ ადამიანს მოუსპობდნენ ცოდნისა და მაღალი დონის კომპეტენციის მიღების შესაძლებლობას, მით მეტად მოგებული რჩებოდა საბჭოთა იმპერია. ჩემზე უფროსი თაობა დამემოწმება, რომ ისინი არათუ ოთხ და ხუთ, არამედ გაცილებით მეტ გამოცდას აბარებდნენ უმაღლეს სასწავლებლებში მოსახვედრად“.

თქვენზე უფროსი თაობა (დაახლოებით მამათქვენის – აკადემიკოს გურამ თევზაძის თაობაძ ნამდვილად არ გეთანხმებით, რომ თავიდანვე ერთ გამოცდას თუ შემოვიღებდით, კონტრრევოლუციის წინაშე აღარ დავდგებოდით. რომ საბჭოთა კავშირს არ სჭირდებოდა ინტელექტუალები, რომ რაც მეტ ადამიანს მოუსპობდნენ ცოდნისა და მაღალი დონის კომპეტენციის მიღების შესაძლებლობას, მით მეტად მოგებული რჩებოდა იმპერია... ერთი სიტყვით, დიახაც ამაზეა ნათქვამი, აგანგალა, განგალაო, ანუ ჩვენ წარსულიდან არ მოვდივართ, პირდაპირ ვარდების რევოლუციისთანავე, 2003 წლის 23 ნოემბერს გავჩნდით და, თუ არ გავევროპელდებით და არ გავაამერიკელდებით, სულიდან აზიელობას საბოლოოდ არ ამოვიშანთავთ, როგორც სახელმწიფო, ვერ ავშენდებით და, რა თქმა უნდა, გადავშენდებით... აბა, თუ ბიჭი ხარ, მიდი და ნუ



დაეთანხმები! დემოკრატიის ახალი ტალღა ტყუილად კი არ აგორებულა, ისე გაგვიტანს და ისე დემოკრატიულად დაგვმარხავს ცხელ დემოკრატიულ ქვიშაში, რომ თვითონ თქვენი რექტორობით კურსდამთავრებული სპეციალისტიც ვეღარ გვიპოვის.

ბოდიშს ვიხდი, პატივცემულო, თუ ცოტა აზიურად გელაპარაკებით და არა ამერიკულ-ევროპულად, მაგრამ უნდა გვაპატიოთ, ვისაც თქვენი უნივერსიტეტი არა გვაქვს დამთავრებული და გარკვეულწილად იმ ცხოვრებასაც ჩამოვრჩებით, რომლის დამკვიდრებასაც თქვენს ამერიკელ-ევროპელ თანამოაზრეებთან ერთად ახალი, ევროპულ-ამერიკული საგანმანათლებლო რეფორმების განხორციელებით ცდილობთ.

მერე რა, რომ აზიაშია იაპონიაც, ჩინეთიც, ინდოეთსა თუ თურქეთსა და ირანზე აღარაფერს ვამბობ. მერე რა, თუ იქ მეცნიერებაც მაღალ დონეზეა და კულტურაც. სამაგიეროდ, იქ თურმე ბევრგან ტუალეტების საკითხი დღემდე მოუგვარებელი ყოფილა. ჩვენს მკვიდრ აზიელობას სწორედ ესეც უსვამს ხაზს. მერედა, როგორ უსვამს!

ერთ-ერთი თქვენი თანამოაზრე აგერ ახლა, ჩანს, ამის გამო წერდა (ისევ ძლიერთა ამა დროისათა მედასტურე „24 საათში“ძ სამშობლო ტუალეტიდან იწყებაო. თეატრი გარდერობიდან კი არა, სამშობლო იწყება ტუალეტიდანო. ამიტომ ბევრად უფრო უპრიანი ხომ არ იქნებოდა, რომ საგანმანათლებლო რეფორმებამდე ჯერ ასენიზაციისათვის, ანუ ქვეყანაში სიბინძურის გატანის ღონისძიებათა სისტემისთვის მიგვეხედა, ქვეყნის ჰიგიენური პირობები (ეკონომიკურ-პოლიტიკური მოიცდის!ძ გაგვეუმჯობესებინა, თორემ, როგორც ხსენებული თქვენი თანამოაზრე ბრძანებს, სამშობლოში, სადაც განავლის სუნი დგას, თქვენი რეფორმები, ალბათ, მაინცადამაინც სასიამოვნოდ ვერ განხორციელდება.

სხვათა შორის, ეს თქვენი თანამოაზრე იმასაც კატეგორიულად აცხადებს, რომ წესიერი ტუალეტების უქონლობა ყველაზე მეტად ვნებს ახალგაზრდობის პატრიოტულ აღზრდას, რასაც, თუმცა, თქვენი რეფორმები სულაც არ ითვალისწინებენ. არადა, არა მგონია, რომ ძველ საქართველოში, სამასი არაგველისა და ცხრა ძმა ხერხეულიძის ანდა დიდგორის ომის დროს ეს საკითხი ძალიან მაღალ დონეზე ყოფილიყოს მოგვარებული. ასე რომ, საგანმანათლებლო პრობლემისა არ იყოს, ეს საკითხიც ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით გვეჩვენება.

ჩვენმა დრომ, ანუ ვარდების რევოლუციის შემდგომმა დრომ, ბევრი ძველი ხალხური აზრი კიდევ უფრო მოაძველა და ბევრ შემთხვევაში შინაარსიც დაუკარგა. ასე, მაგალითად, დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო, რაც მამაა იგივ შვილიო, წაბაძულობით ვაციც დამაკდაო, წამწყმიდა წახედულებამაო, ანდა წამხედურმა წაიხედა, წინა ფეხი წაიტეხაო, და კიდევ: ბრიყვს მასწავლებელი სძულდაო...

ალბათ, დამეთანხმებით, პატივცემულო რექტორო, რომ ჩვენმა ამჟამინდელმა სინამდვილემ ყველა ზემოთ მოყვანილი ხალხური აზრი ბევრი რამით მართლაც უშინაარსო გახადა. შვილებს აწ უკვე სულ სხვა სატუალეტო პირობებში უხდებათ ცხოვრება, წამბაძველობა თუ წამხედურობა სულ სხვა ნანოტექნოლოგიებს ეფუძნება. რაც შეეხება ბრიყვებს, ისინი უმეტესად ისე მაღლა სხედან, რომ იქიდან მასწავლებლები კი არა, საერთოდ ხალხიც აღარა ჩანს. ასე რომ, სიძულვილზე ლაპარაკიც ზედმეტია (მით უმეტეს, რომ აქ უფრო ევროპელი და ამერიკელი მასწავლებლები იგულისხმებიან!ძ.

დასასრულ, პატიება უნდა ვითხოვო, თუ ზოგი რამ უფრო ნათლად და მკაფიოდ ვერ ჩამოვაყალიბე და, ცოტა არ იყოს, ნართაულად, მოიარებით ნათქვამი გამომივიდა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ თქვენს განათლებულობასა და განსწავლულობას ჩემი უსიღრმო სიტყვის გაგება სულაც არ გაუჭირდება. თანაც, სხვა არა იყოს რა, თუ რომელიმე მხრიდან ბებია გახსოვთ (თუმცა თქვენ უწარსულობით მოგაქვთ თავიძ გაგონილი გექნებათ ერთი ძველი ანდაზაც: ქათმის შესაძლო კვერცხიაო...

**კონტრრევოლუციური ბოდიშის მოხდით**

**გურამ გოგიაშვილი,**

**განათლებამიღებული ჯერ კიდევ საბჭოთა იმპერიის დროს.**

15.12.08.

**პოზიცია**

# დადგა ჟამი, ავამოქმედოთ საკუთარი დიპლომატიური და პოლიტიკური ბერკეტები

## შავი ზღვისპირეთის ქვეყნები ორიენტაციის გზასაყარზე

***„გეოპოლიტიკა“ — პოსტსაბჭოურ სივრცეში ძნელად თუ მოიძებნება ამაზე უფრო პოპულარული სიტყვა. კლასიკური გეოპოლიტიკა სუბსტანტივისტური მოძღვრებაა, რომელიც ამტკიცებს, რომ გეოგრაფიული მდებარეობა ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრავს პოლიტიკას. რომ არსებობენ „მარადიული“ გეოგრაფიული კატეგორიები, რომელთაგან გამომდინარე სახელმწიფო შეიძლება მოიქცეს „მხოლოდ ასე“ და არა სხვაგვარად.***

კავკასიის შავიზღვისპირეთისა და ბალკანეთის ერთიან სისტემას დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს მთელი შავიზღვისპირეთის რეგიონისათვის. „ცივი ომის“ დამთავრებამ შავი ზღვის რეგიონში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. მათ შორის მოცემულ შემთხვევაში საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ თუ მანამდე ამ აუზში ოთხი სუვერენული ქვეყანა მდებარეობდა (სსრკ, თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთიძ, „ცივი ომის“



დამთავრების შემდეგ შვიდი დამოუკიდებელი სახელმწიფო გაჩნდა, რომელთაც საკუთარი ეროვნული ინტერესი გააჩნიათ.

შავი ზღვის აუზის რეგიონის უფრო კონკრეტული დახასიათების მიზნით საჭიროა ყურადღება მიექცეს იმას, რომ იგი რთული კონფიგურაციის გეოპოლიტიკური ერთეულია, რომელიც რამდენიმე არეალისაგან (უფრო სწორად, გეოპოლიტიკური არეალისაგანძ შედგება. ესენია: აძ ბალკანეთი, რომელიც ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკებს — სერბეთს, მაკედონიას, ჩერნოგორიას, ხორვატიას, სლოვენიას, ბოსნია-ჰერცოგოვინას, აგრეთვე ალბანეთსა და საბერძნეთის ნაწილს მოიცავს; ბძ შავიზღვისპირეთი, რომელშიც თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, მოლდოვა, უკრაინა და თუ კრასნოდარის მხარეს მივიღებთ მხედველობაში, ნაწილობრივ რუსეთიც შედის და გძ კავკასია, რომელიც საქართველოს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და რუსეთის შემადგენლობაში შემავალ ჩრდილოეთ კავკასიას აერთიანებს.

სწორედ მათი ერთიანობა განაპირობებს იმას, რომ შავი ზღვის აუზის რეგიონად იწოდება და შუა აზიის, ცენტრალური ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის დამაკავშირებელ მაგისტრალად გვევლინება. თუ შავი ზღვის აუზს გეოპოლიტიკურ პლანში განვიხილავთ, მაშინ მისი სახით მოცემული გეოპოლიტიკური სივრცის ცენტრად შავი ზღვა წარმოდგება, რომლის ირგვლივ ერთგვარი რკალების სახით ლაგდება დანარჩენი ტერიტორიები. კერძოდ, აღმოსავლეთით კასპიის ზღვამდე — კავკასია, დასავლეთით ადრიატიკის ზღვამდე — ბალკანეთი, ხოლო ჩრდილოეთით და სამხრეთით — შესაბამისად, შავი ზღვის ჩრდილოეთ და სამხრეთ სანაპიროები, რომლებიც ბალკანეთისა და კავკასიის დამაკავშირებელ ერთეულად უნდა განვიხილოთ. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მკაფიოდ წარმოგვიდგება ერთიანი ტრანსრეგიონული გეოპოლიტიკური მოდელის სურათი, რომელიც ერთიანი ცენტრის გარშემო ორგანიზებული სივრცითი ერთეულების არსებობას ადასტურებს. აღნიშნული კონსტრუქცია არ არის „წმინდა“ გეოგრაფიული ბუნების კონსტრუქცია, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ისტორიული კონგლომერატი, რომლის ერთიანი სისტემად ორგანიზებულობა უწინარესად სხვა ფაქტორებით არის განსაზღვრული. კერძოდ, პოლიტიკური, ეკონომიკურ-გეოგრაფიული, ეთნორელიგიური, გეოსტრატეგიული და ეკოლოგიური ფაქტორები.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო პოლიტიკის სცენაზე დაძაბულობა შეინიშნება. დასავლეთი სამხრეთ კავკასიაში დაძაბული სიტუაციის განმუხტვას ცდილობს. 2008 წლის აგვისტოს თვეში აგრესორმა რუსეთის ფედერაციამ საქართველოს წინააღმდეგ 58-ე რეგულარული არმიის სამხედრო ნაწილები აამოქმედა და შემოიჭრა სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე. რუსეთის არმიის ნაწილებმა მოახდინა ისედაც დაქუცმაცებული საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიული მხარეების ოკუპაცია. რუსეთის მხრიდან განხორციელებული საჰაერო დარტყმების შედეგად დაიხოცა მრავალი ადამიანი და დაზიანდა ქვეყნის სხვადასხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტი.

მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკოსები მსჯელობენ, თუ როგორ შეაკავონ რუსეთის ეს აგრესიული პოლიტიკა, რომლის მეორე ფაზას გვპირდებიან რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ლიდერები. აღნიშნული შემაძრწუნებელი ფაქტი, რომელმაც ჩვენ ქვეყანას დამანგრეველი შედეგები მოუტანა და რამდენიმე ათეული ათასი ლტოლვილი კიდევ შესძინა, ვფიქრობთ, საქართველოს ხელისუფლების მიერ უუნაროდ გატარებული პოლიტიკისა და დიპლომატიის შედეგია. ალბათ დროა გონს მოეგოს ქართული საზოგადოება, სანამ ჩრდილოეთით არსებული რეალობის მსხვერპლნი არ გავხდით და გადავხედოთ იმ პრიორიტეტულ საკითხებს, რაც ჩვენ სახელმწიფოს ამოსავალ წერტილად მიაჩნდა.

დადგა ჟამი ოცნებებიდან რეალობას დავუბრუნდეთ და ავამოქმედოთ საკუთარი დიპლომატიური და პოლიტიკური ბერკეტები, რომლებიც არარავის ახსოვს. სამწუხაროა, რომ უდიდესი ისტორიის და კულტურის მქონე ერი საკუთარი თავის იმედის ამარა დავრჩით და დასავლეთს ვთხოვთ დახმარებას, რაც, სამწუხაროდ, მხოლოდ დაპირებებით და ფულადი კომპენსაციებით შემოიფარგლა. აუცილებელია საქართველოს საღმა პოლიტიკურმა ელიტამ აღიმაღლოს ხმა და დასავლეთს მოსთხოვოს, კონკრეტული პოზიცია დააფიქსიროს საქართველოს საკითხთან მიმართებაში. აუცილებელია აკადემიური წრეების, საღი არის მქონე პოლიტოლოგების და დიპლომატების ეროვნული იდეის შეკავშირება, რათა მრავალი წლის განმავლობაში დაშვებული პოლიტიკური შეცდომების შედეგად მიღებული რთული სიტუაციიდან გამოსავალი ვეძებოთ, რამეთუ არის იმის საშიშროება, რომ რუსეთმა თავისი მზაკვრული გეგმა ბოლომდე მიიყვანოს. როგორც ტალეირანი იტყოდა: „ექიმების ბჭობაში პაციენტს სული გაძვრა“. აღნიშნული მოსაზრება არ გახლავთ საფუძველს მოკლებული, რის მაგალითადაც შეგვიძლია მოვიყვანოთ რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის მიერ მასმედიით გაკეთებული ოფიციალური განცხადება, რომელიც გახლავთ იმის დასტური, რომ რუსეთის ფედერაცია კავკასიის რეგიონს არავის დაუთმობს თუნდაც ეს ომის და დიდი სისხლისღვრის ფასადაც დაუჯდეს (რუსეთის ფედერაციის თავდაცვის ბიუჯეტი 2008 წლისთვის გახლავთ 40 მილიარდი აშშ დოლარიძ.

დღესდღეობით სახელმწიფოებრივი უშიშროების თვალსაზრისით შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოსთვის უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენს ისეთი პარტნიორების ან სტრატეგიული მოკავშირეების მოძებნა, რომელთა თუნდაც ტაქტიკური მოსაზრებები, პოზიციები და ინტერესები დაემთხვევა საქართველოს სტრატეგიულ ინტერესებს. ამავე დროს პარტნიორის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მარტო ის, თუ რა ინტერესი ამოძრავებს ამა თუ იმ ქვეყანას მოცემულ გეოპოლიტიკურ არეში, არამედ ისიც, თუ რამდენად რეალურია მათი გეგმები და რამდენად შეესაბამება მათი პოტენციალი მათ ამბიციებს, რათა პერსპექტივაში საქართველო გამარჯვებულის მხარეზე აღმოჩნდეს.

ქართული დიპლომატიის ისტორიაში მრავლად არის იმის მაგალითი, თუ როგორ ლავირებდნენ საქართველოს ხელისუფალნი პოლიტიკური ცვლილებების მიხედვით და, რა თქმა უნდა, ირჩევდნენ პოლიტიკურ ორიენტაციას, რომელიც იქნებოდა ქვეყნის განვითარებისთვის სასარგებლო. თუ დავაკონკრეტებთ, ჩვენი არჩევანი არც თუ ისე მრავალფეროვანია. ბჟეზინსკისეულ „დიდ საჭადრაკო დაფაზე“ ჩვენს რეგიონში სულ სამი მოთამაშეა: რუსეთი, ევროპა და აშშ.

ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე და უახლეს მოვლენებზე დაყრდნობით რუსეთის ფედერაცია უნდა გამოვრიცხოთ, ვინაიდან მას არა აქვს არც თანამიმდევრული პოლიტიკა რეგიონში, არც მასთან შედარებით სუსტ პარტნიორებთან თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის სურვილი. ამჟამინდელ ერთგულ მოკავშირეებთანაც კი, როგორიცაა მაგალითად სომხეთი ან ბელორუსია, რუსეთი ფაქტობრივი დიქტატის პოლიტიკას ახორციელებს, სუსტად შენიღბული მეგობრობის რიტორიკით (თუმცა რელიგიურად ერთმორწმუნე, გეოგრაფიულად მეზობელ და ისტორიულად დაკავშირებულ რუსეთთან პარტნიორობა და თანამშრომლობა მომავალში არ უნდა გამოირიცხოსძ.

მეორე მოთამაშე — ევროპა საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობისთვის ერთობ მიმზიდველი კანდიდატია პრაქტიკულად ყველა ასპექტით, მაგრამ ევროპული ქვეყნები და მათი გაერთიანებანი — ეუთო, ევროსაბჭო, ევროკავშირი საზოგადოდ მეტად ფრთხილ და პასიურ როლს სჯერდებიან.

საქართველოსთვის და მისი ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის საუკეთესო პარტნიორად და დონორად აშშ-ი გვესახება, რომელიც ხშირად ევროკავშირსაც კი კარნახობს ზოგიერთ პოლიტიკურ ნაბიჯს. აშშ-ს დიდი ეკონომიკური შესაძლებლობა და სამხედრო ძლიერება გააჩნია. მას აქვს მობილურობის უნარი სათანადო გადაწყვეტილებების მიღების დროს (ევროპასთან შედარებით ნაკლები ინერტულობაძ და დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, მეტად აქტიური საგარეო პოლიტიკა, გარკვეულ ასპექტში აგრესიულიც კი. გვიჩნდება კითხვა, თუ როგორი იქნება აშშ-ის საგარეო და საშინაო პოლიტიკის გაგრძელება ახალი პრეზიდენტის მმართველობისას. იქნება თუ არა დემოკრატიული პარტიის წიაღიდან მოსული პრეზიდენტის მმართველობა ახალი კურსის და XXI საუკუნის ახალი მსოფლიო წესრიგის დასაწყისი? ამ კითხვაზე პასუხს მომავალში განვითარებული პროცესები მოგვცემს, რადგან მსოფლიო პოლიტიკა არასოდეს ყოფილა ისეთი ცვალებადი და მრავალფეროვანი, როგორიც ის არის XXI საუკუნის დასაწყისში.

**თორნიკე შურღულაია**

**ინფორმაცია**

## ჩხარელები აქციით სიმართლეს ეძებენ

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის წინ გუშინ 200-მდე ადამიანმა საპროტესტო აქცია გამართა.

თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარის მცხოვრებლები რაიონული პოლიციის წინააღმდეგ გამოდიან და იმერეთის გუბერნატორთან მიხეილ ჩოგოვაძესთან შეხვედრას ითხოვდნენ.

თერჯოლის პოლიციამ სოფელ ჩხარში ოთხი პირი — ალეკო დათიაშვილი, ცეზარ, გიორგი და ბონდო ბუცხრიკიძეები დააკავა. მათ თერჯოლის ერთ-ერთი მაღაზიის მეპატრონე სოსო ცქიფურიშვილისთვის ფულის გამოძალვაში ედებათ ბრალი.

აქციის მონაწილეთა განცხადებით, პოლიციამ სრულიად უდანაშაულოდ დააკავა მათი თანასოფლელები, რადგანაც ისინი შემთხვევით აღმოჩნდნენ იმ ადგილზე, სადაც ფულის გამოძალვის ფაქტი მოხდა.

## გაიფიცნენ ქუთაისელი ტაქსისტები

გუშინ ქუთაისში სამარშრუტო ტაქსების მძღოლთა ნაწილი გაიფიცა.

ავტოქარხნის, ნიკეასა და სატრაქტორო ქარხნის დასახლებებში მოძრავი შიდასაქალაქო ტრანსპორტის მძღოლებმა მგზავრთა გადაყვანაზე უარი თქვეს.

ისინი ქუთაისის მერიის გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, რომლის თანახმადაც, აღნიშნულ უბნებში ახალი სამარშრუტო ხაზები გაიხსნა და, შესაბამისად, დამატებითი ტრანსპორტი მოძრაობს.

მძღოლების თქმით, მათ ისედაც არ ჰყოფნით შემოსავალი და ახალ დამატებითი მოწილეები გამოუჩნდნენ.

ქუთაისის მერიის სატრანსპორტო სამსახურში აცხადებენ, რომ ქუთაისში სამარშრუტო ტაქსების ახალი ხაზები მგზავრთა კეთილდღეობასა და კომფორტულ მომსახურებაზეა გათვლილი.

## რუსი მომლოცველები აფხაზეთს ესტუმრებიან

რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის უფის ეპარქიის მმართველობა ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, სეპარატისტულ აფხაზეთში, ახალი ათონის მოლოცვას აპირებს.

უფის ეპარქიის მმართველობის ღვთისმსახურის რომილ გარეევის ინფორმაციით, უფის ეპარქიის მმართველობიდან მომლოცველთა ჯგუფი აფხაზეთს პირველად ესტუმრება.

— ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს ახალი ათონის მონასტერში შევხვდებით, იქ სადაც წმინდა მოციქულის სვიმონ კანანელის წმინდა ნაწილებია დავანებული, — აცხადებს გარეევი.

ამას გარდა, სეპარატისტულ აფხაზეთში ჩასული მომლოცველები კამანის მონასტერსაც მოინახულებენ, ანუ იმ ადგილს, სადაც გადმოცემის თანახმად თავისი ბოლო საღვთისმსახურო ლიტურგია აღავლინა წმინდა იოანე ოქროპირმა. ამ ტაძრის ახლოს მდებარე მომცრო ტაძარში კი, მოწამე ვასილის წმინდა ნაწილებია დაცული.

მომლოცველები სეპარატისტულ აფხაზეთში 2009 წლის 4 იანვარს ჩავლენ და 12 იანვრამდე დაჰყოფენ.

ინტერპრესნიუსი და ხმ-ეიჩ-ენი

უმაღლესი სკოლა

# გასავლელი აქვს გზა სოხუმიდან – სოხუმამდე

**დღეს საქართველოში ძნელი იქნება ისეთი ადამიანის მოძებნა, რომელმაც აგვისტოს ომის სისასტიკე არ განიცადა და თავის თავზე არ იგრძნო მისი მძიმე მუშტი.** ეს უბედურება ყველა სფეროს შეეხო, ეკონომიკით დაწყებული განათლებით დამთავრებული. ამ მხრივ გამონაკლისი არც სოხუმის უნივერსიტეტი ყოფილა. აქ შეიძლება ყველაზე უკეთესადაც კი იციან, რას ნიშნავს საკუთარ ქვეყანაში დევნილობა, იციან რას ნიშნავს, როცა გართმევენ ადგილს, სადაც დაიბადე და გაიზარდე, გინგრევენ სახლს, გინადგურებენ ყველაფერს, რაც დიდი შრომით შეგიქმნია. ეს ყველაფერი მათთვის ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა და იძულებულნი გახდნენ უნივერსიტეტი თბილისში გადმოეტანათ. დიდი სირთულეების მიუხედავად, მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში შეძლეს, შეენარჩუნებინათ ტრადიციები, კვლავ აღეზარდათ თაობები და დევნილობიდან თხუთმეტი წლის შემდეგ დამოუკიდებელი უნივერსიტეტი დაეარსებინათ. მას კვლავ დიდი გზა აქვს გასავლელი, უმაღლესი სტანდარტის მისაღწევად. რექტორატი იმედოვნებს, რომ ეს გზა წარმატებით დასრულდება სოხუმში, სადაც ქართველ სტუდენტებთან ერთად აფხაზებსაც იხილავენ აუდიტორიებში.



ეს ოცნება თუ მიზანი ვერც აგვისტოს ომმა გაუქარვა აფხაზეთიდან დევნილ სტუდენტებსა თუ ლექტორ-მასწავლებლებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ომმა მრავალი საფრთხე წარმოშვა და ამ სწრაფვის რეალურობა ეჭვქვეშ დააყენა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი მეორედ გახდა დევნილი და ის მცირე კომუნიკაციაც დაკარგა აფხაზეთთან, რაც ჰქონდა.

გალიდან დევნილ ერთ-ერთ სტუდენტს ვკითხე, რა შეცვალა თქვენთვის აგვისტოს ომმა? მან მიპასუხა: „არაფერი, იმის გარდა, რომ ხელახლა ვიგრძენით ის ტკივილი, რომელსაც თხუთმეტი წლის წინათ საკენის გზაზე განვიცდიდით. ომის საშინელება უფრო მეტი სიმძაფრით აღვიქვით და განვიცადეთ, თორემ გალში და თუნდაც ზემო აფხაზეთში მცხოვრები ადამიანისთვის ყოველ დღე ომი და საკუთარი მიწისთვის ბრძოლაა".

სოხუმის უნივერსიტეტიც ცდილობს ამ ბრძოლაში თავისი შესაძლებლობის ფარგლებში წვლილი შეიტანოს. ომის დროს 11 აგვისტოს გავრცელდა სსიპ-სოხუმის უნივერსიტეტის სპეციალური საპროტესტო მიმართვა მსოფლიო თანამეგობრობისა და სამეცნიერო საზოგადოებისადმი „სსიპ სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტები, აკადემიური პერსონალი და ადმინისტრაცია აპროტესტებენ რუსეთის სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ აგრესიულ საომარ მოქმედებებს საქართველოს წინააღმდეგ.

გვწამს, რომ მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა, ყველა დემოკრატიული სახელმწიფო გადადგამს ნაბიჯს, რომელიც აღკვეთს ქართველი ხალხის გენოციდს, დაიცავს საქართველოს სახელმწიფოს, მის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას." – ნათქვამი იყო მიმართვაში.

რამდენად გამართლდა ეს იმედები სხვა საქმეა, სოხუმის უნივერსიტეტი კი მარტო ამ ღონისძიებებით არ შემოიფარგლა. 9 აგვისტოს შეიქმნა საკოორდინაციო ცენტრი, რომლის ინიციატივითაც 10 აგვისტოს სისხლის გადასხმის ინსტიტუტში დაჭრილთა დასახმარებლად სისხლი გაიღეს უნივერსიტეტის რექტორმა და პროფესორებმა; 11 აგვისტოს სოხუმის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და ადმინისტრაცია მონაწილეობდა ქართველი ინტელიგენციის მიერ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში მოწყობილ საპროტესტო ღონისძიებაში, ხოლო შემდეგ ვარდების მოედანზე გამართულ მანიფესტაციაში – „Stop Russia". 14 აგვისტოს და 8 სექტემბერს სსიპ-სოხუმის უნივერსიტეტმა ჰუმანიტარული დახმარება აღმოუჩინა თბილისში, კოჯრის ქ. №6-ში მდებარე 144-ე ბაგა-ბაღში განთავსებულ დევნილებს. მათ გადაეცათ საკვები პროდუქტი, პირველადი მოხმარების საგნები და სოხუმის უნივერსიტეტის თანამშრომელთა მიერ შეგროვილი ტანსაცმელი, სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო საქონელი...

... და რაც მთავარია, სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ერთი ნაწილი წარმოადგენს საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვს და ეს მათთვის ორმაგად საპასუხისმგებლოა (მათმა ისში გაიარეს მომზადება კოჯრის სამხედრო ბაზაზე). აგვისტოში განხორციელებულმა რუსულმა აგრესიამ ეს კიდევ უფრო ცხადყო.

სოხუმის უნივერსიტეტისთვის ომი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა და არც დავიწყებას მისცემია. იმედია, ის შეასრულებს ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს მომავალში საქართველოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობის მოგვარებაში. მანამდე კი, ის ჩვეულ რიტმში განაგრძობს ფუნქციონირებას. ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები, სამეცნიერო კონფერენციები და ელოდება იმ დღეს, როდესაც შეძლებს დაუბრუნდეს თავის ადგილს. ადგილს, სადაც ზღვა ასე ლურჯია – სოხუმის მზიან და თბილ სანაპიროს!

**ანა წიწილაშვილი**

ინფორმაცია

## სემინარი ჟურნალისტებისთვის

**საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ჟურნალისტებისთვის სემინარი გამართა.**

**სემინარზე ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ ჟურნალისტებს 2008 წელს საბაჟო სფეროში გატარებული რეფორმები გააცნო.**

**საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და საბაჟო კონტროლის ეფექტურობის ამაღლებისთვის განხორციელებული რეფორმებზე შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე ირაკლი სირაძემ ისაუბრა.**

**როგორც მან აღნიშნა, რეფორმების შედეგად საბაჟო გაფორმება 24 საათის განმავლობაში წარმოებს, რისი მეშვეობითაც საბაჟოზე ტვირთები არ ყოვნდება და, შესაბამისად, არ წარმოიქმნება რიგები. თბილისის, ფოთისა და ბათუმის საბაჟო გაფორმების პუნქტები კვირასაც მუშაობს. გაუქმებულია ნავთობპროდუქტებსა და აქციზურ საქონელზე წინასწარი გადახდის და სპეციალური საბაჟო სატვირთო დეკლარაციის აქციზური ბარათის წინასწარი წარდგენის ვალდებულებებიც. მინიმუმადეა დაყვანილი საზღვარზე წარსადგენი დოკუმენტაცია და განბაჟებისთვის საჭირო დოკუმენტაციაც.**

**საბაჟოზე დაინერგა რისკის მართვის სისტემა, რომელზე დაყრდნობითაც ხორციელდება იმპორტზე საბაჟო კონტროლი.**

ინტერპრესნიუსი

პრობლემა

# კარგ მთქმელს უნდა კარგი გამგონე...

**ერისა და ქვეყნის ბალავარს მრავალშვილიანობა რომ წარმოადგენს, ერთმნიშვნელოვანი და ობიექტური რეალობაა. ისეთი პატარა და მრავალრიცხოვანი სახელმწიფოსთვის კი, როგორიც საქართველოა, მრავალშვილიანობა გადამწყვეტი ფაქტორია ერის აწმყოსა და მომავლისთვის. დღეს, ჩვენს შეჭირვებულ პირობებში მთელ ქართველობას უამრავი პრობლემა აწუხებს, მაგრამ ყველაზე ჭკვიან და საქართველოს ბედ-იღბალზე დაფიქრებულებს, სწორედაც რომ დემოგრაფიული პრობლემა მიაჩნიათ უმთავრესზე უმთავრესად.**

„ვაი, ჩვენო ქართლის ბედოო" – ნამეტარი ადრე უთქვამს სულმნათ პოეტს, „იყიდება საქართველოო" – ესეც უდროოდ თქმულა, დღეს რომ ენახა ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ნიკო ლორთქიფანიძეს ჩვენი სვებამწარებული „ბედნიერი უბედური" ერი, თავადაც დაადასტურებდნენ, – არა, მსგავსი საცოდაობა არასოდეს გვინახავსო.

ფაქტები? ლუკმაპურის საშოვნელად საზღვარგარეთ გახიზნული ქართველობა და აქ დარჩენილი, კიდევ უფრო გახიზნული ერი, – საკუთარი სახლ-კარს გაუცხოებული, უმიზნო, ნიჰილიზმით სავსე, უმუშევრად დარჩენილი, – სოფლად თუ ქალაქად, შორს თუ ახლოს, მთასა თუ ბარში.

კახეთს მოვიხმობ მაგალითად, კერძოდ – ქიზიყს. ცნობილი და დიდი სოფლები, ბოდბისხევი, ტიბაანი, მაჩხაანი, ჯუგაანი, წუკრიანი ისეა დაცარიელებულ-განადგურებული, აღა-მაჰმად-ხანი შემოსევია თითქოს, ორსართულიან ქვითკირის სახლებს სპეციალურად, საგულდაგულოდ ანგრევენ, შიგ მოსახლე რომ აღარ ცხოვრობს და... დანგრევის შემდეგ დარჩენილ მასალას ლარებად ჰყიდიან. უბნები დაცარიელებულია, ზოგი წავიდა, უმეტესობა კი გადაშენდა, დარჩენილი ერთ ან ორ შვილს მისჩერებიან და იმათაც, შიშით, ხვალ და ზეგ ევროპისკენ და ამერიკისკენ მიმავალ გზას არ დაადგნენო, გული უსკდებათ...

ასეა მთელს საქართველოშიც, სოფლები დაცარიელდა, მოსახლეობა აღარ მრავლდება, ბავშვთა დაბადების მაჩვენებელს 10-ჯერ და 15-ჯერ აჭარბებს სიკვდილიანობის მაჩვენებელი.

**ქალაქი?** აქაც მაგალითისთვის რუსთავი შევარჩიოთ. ამ 15 წლის წინათ 170.000 მობინადრე ცხოვრობდა ქალაქში. დღეს, მოსახლეობის რაოდენობა განახევრდა და ვინც დარჩა, პოტენციური ემიგრანტია, ხვალ და ზეგ გუდა-ნაბადს აიკრავს და საქართველოდან სამუდამოდ წავა!

დემოგრაფიულ მაჩვენებელზე და ზოგადად, ამ პრობლემაზე მე იმაზე უკეთესად ვერაფერს ვიტყვი, ვიდრე ჟურნალისტმა და მწერალმა გივი ჯახუამ თქვა და დაწერა. რუსთაველზე უზომოდ შეყვარებული, ნიჭიერი კალმოსნის ნათქვამმა ყველაფერი დაიტია ერთი რამის გარდა. ჩანს, კაცურმა თავმოყვარეობამ დაახევინა უკან, როდესაც ხაზგასმულად არ თქვა ის, რომ რუსთავში დემოგრაფიული პრობლემის სიმწვავე უკვე ახალგაზრდა კაცების უნიათობამაც გააჩინა. სტატისტიკური მონაცემებით ამ ქალაქში 10-15 გასათხოვარ ან შინაბერა მანდილოსანზე ერთიორი მამაკაცია და ისინიც თავს ვერ აბამენ ოჯახის შექმნის პრობლემას, ბუნებრივია, ხშირ შემთხვევაში ახსნილი მიზეზებით – ძირითადად ეს სოციალური გაჭირვება და უმუშევრობაა.



დაოჯახებულებს კი ერთი და ორი შვილის რჩენაც უჭირთ, ერთ დროს ინდუსტრიული რუსთავი დღეს თითზე ჩამოსათვლელ საწარმოებს ითვლის. გაიზარდა უმუშევართა რიცხვი, რაც შეეხება საბაზრო ეკონომიკას, მთელი საქართველოს მსგავსად ყველა – დიდი და პატარა, გაუნათლებელი თუ განათლებული ბაზრობების მტვრიან დახლებთან სცდის თავის სულიერ-ინტელექტუალურ და ფიზიკურ შესაძლებლობებს – ვინ იმარჯვებს, ვინ – მარცხდება, მაგრამ მთავარია, რომ საბაზრო ეკონომიკის მოჯადოებულ წრეშია და სადღაც მიექანება საკუთარ სამშობლოსთან ერთად.

მოკლედ, შვილების გაჩენა ჩვენს დროში ერთობ გართულდა და მთავარი დამნაშავე ამ ყველაფერში, რომ ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობაა, ერთმნიშვნელოვანი და ობიექტური რეალობაა.

**ვინ გვიშველის?** – საკუთარი თავი და მეტი არავინ. ღმერთმა დალოცოს სამტრედიელი ვაგონშემკეთებლები, უფიქრიათ, გაუთავისებიათ პრობლემა და თანამემამულეებს საშური იდეით მიმართავენ, – მივხედოთ ამ საქმეს, ყველამ გავიღოთ ჩვენი კუთვნილი შემოსავლიდან ორიოდე ლარი, მრავალშვილიანი ოჯახები ისევ ავაღორძინოთ, როგორც ამას ადრე ვაკეთებდით.

დიახ, იყო ასე ამ 15 წლის წინათ. ჩვენს ქალაქში (რუსთავშიძ დემოგრაფიულ საზოგადოებას სწორედ ბატონი გივი ჯახუა ხელმძღვანელობდა და იმდენ სიკეთის ჰქმნიდა მრავალშვილიან დედებთან ერთად, დღეს ზოგიერთი რესპუბლიკური მასშტაბის უწყება და სამინისტრო რომ ვერ მოერევა და გააკეთებს. გული გულობდა და იმიტომ ქალაქის ხელმძღვანელობა, საწარმოთა თავკაცები, ცნობილი და უცნობი ადამიანები – ვინ არ ირჯებოდა, რომ ხელი შეეწყო მრავალშვილიანი ოჯახებისთვის.

იმ პერიოდში დაბადებულნი ახლა მე-10, მ-11, მე-12 კლასებში სწავლობენ და საკმაოდ მრავლადაც. ეს მაშინ, როდესაც პირველი კლასების შევსება ყველა საჯარო სკოლაში ერთობ ჭირს.

ისღა დაგვრჩენია, ავყვეთ სამტრედიელ ვაგონშემკეთებელთა შეგონებას, გავისიგრძეგანოთ დღევანდელი საქვეყნო პრობლემა და თითოეულმა ჩვენგანმა მრავალშვილიანი ოჯახების სასარგებლოდ ჯიბეზე გავიკრათ ხელი, რათა გაჩნდეს სტიმული შვილთა გამრავლებისთვის, საქართველოს გადარჩენისთვის.

კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა და ვიმედოვნებთ, ასე იქნება ამ შემთხვევაშიც. ქართველობა საქმით აჰყვება სამტრედიელ ვაგონშემკეთებლებთ გონივრულ წამოწყებას.

**ლია მარტაშვილი,**
**რუსთავიდან**

◎ რა დღეშიც ვართ

# გვიშველეთ, მონოპოლიებმა შეგვჭამეს!



***ამას ასე საჯაროდ, ქვეყნის გასაგონად არც ვიტყოდი, საქართველოში ხალხი ყველაფერს იტანს და მონოპოლიებსაც აიტანდა, ამ უკანასკნელთ თავად სახელმწიფოს მეთაური მიხეილ სააკაშვილი რომ არ შეევიწროებინათ. ბატონმა პრეზიდენტმა ჭირი მალა, მალა და ბოლოს იძულებული გახდა, შარშან ოქტომბერში პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე მონოპოლიების წინააღმდეგ გაელაშქრა. კერძოდ, მან „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო“ უსაქმურობაში დაადანაშაულა და მისი გაუქმება მოითხოვა. მისი განცხადებით, იმის გამო, რომ ანტიმონოპოლიური სააგენტო არაფერს აკეთებს, პრეზიდენტი იძულებულია, მისი ფუნქციებიც თავად შეითავსოს(!).***

როგორ ფიქრობთ, ვის დაავალებდა ქვეყნის პირველი პირი ბაზრის მონოპოლიებთან ბრძოლას? რა თქმა უნდა, ისევ და ისევ პირველ სახელმწიფო მოხელეს, შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს. ვერ გეტყვით, რამდენად გაართვა თავი ბატონმა ვანომ პრეზიდენტის დავალების შესრულებას, მით უფრო აგვისტოს ომის შემდეგ, როცა დევნილთათვის ბინების მშენებლობის ფუნქციის შეთავსებაც მოუწია, მაგრამ საქართველოში მონოპოლიებს რომ კანიც არ გაკაწვრიოდათ, ამის გარანტია ქართული ეკონომიკის „მამად“ აღიარებულმა კახა ბენდუქიძემ ჯერ კიდევ 2005 წელს შექმნა.

მაინც რა გარანტიაზეა ლაპარაკი, იკითხავთ. ბატონ ნამინისტრალისთვის პოზიცია რომ გამემაგრებინა, „გარანტია“ შევარქვი (უნდა გამოვტყდე ჩემს დანაშაულში!), თორემ ისე, როგორც ბევრი სხვა ინიციატივა ქართული ეკონომიკის დასაქცევად, ესეც კახა ბენდუქიძის „არაორდინარული“ ფანტაზიის ნაყოფია და მეტი არაფერი. **ჩვენ საქართველოში რადგან ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკას ვაშენებთ, რომელსაც თავისუფალი კონკურენტული გარემო არეგულირებს, მას არავითარი მონოპოლიები აღარ ემუქრება და ზედმეტი ხარჯები რაღაზე გავწიოთო, განაცხადა მაშინ ბატონმა კახამ და ერთი ხელის მოსმით გააუქმა როგორც მონოპოლიური კანონმდებლობა, ისე მონოპოლიური სამსახური. ასეთი ქმედება იმითაც გაამართლა, რომ საქართველოს ბაზარი ძალზე პატარაა და მას რეგულირება არ სჭირდება.**

რა რეგულირება, რი რეგულირებაო, — იმ ერთი კახელისა არ იყოს, აიჩემა მაშინდელმა სახელმწიფო მინისტრმა, აგერ არის, ბატონებო, ჟანსაღი კონკურენციის კანონი, რომელიც თავისით ისე მუშაობს, რომ არავითარ ხელფასს არა გვთხოვსო. ჰოდა ძალით რატომ შევეტენოთ, მისი შრომის საფასური ეკონომიკის ზრდას მოვახმაროთ, ბიზნესი წავახალისოთ და, ხალხიც გაჭირვებიდან გამოვიყვანოთო. აგაშენა ღმერთმა, ამაზე უკეთესს სხვა ვინ რას მოიფიქრებდა და, ჩვენდა საბედნიეროდ, კიდევ კარგი არც მთავრობის სხვა წევრები აღმოჩნდნენ უთაურნი, თორემ ასეთი „ოქროაზრი“ ხომ ხელიდან დაგვისხლტებოდა?!

ერთადერთი მორიდებული შენიშვნა, რაც ბატონ ბენდუქიძეს შეიძლება შევკადროთ, ის არის, რომ რეალურად საქართველოს ბაზარზე მოქმედი კომპანიებისთვის არ არსებობს ერთიანი, ანუ თანაბარი თამაშის წესები, რამაც მოგვცა ის, რომ ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის უდიდესი ნაწილი მონოპოლიზებულია. მონოპოლისტები, ბუნებრივია, ჩაგრავენ დამწყებ ბიზნესმენებს და საშუალებას არ აძლევენ, მათ კონკურენცია გაუწიონ, რაც მთავრდება იმით, რომ ბაზარზე ფაქტობრივად ფასს აწესებს ერთი კომპანია. თანაც როგორ ფასს, არ იკითხავთ? გაცილებით მეტს, ვიდრე ესა თუ ის პროდუქცია ღირს, რათა მიიღოს მეტი მოგება, გადახდისუნარო მომხმარებლის გასაჭირი კი სულაც არ ანაღვლებს.

**რა როლს ასრულებს ამ შემთხვევაში სახელმწიფო? მხოლოდ შორიდან მაყურებლის ფანქციას. ის მონოპოლისტ კომპანიას არავითარ შეზღუდვას არ უწესებს, თუნდაც ის მთელი ბაზრის 99 პროცენტმა უსაქმურობაში დაადანაშაულოს, ხელში კანონი არ უჭირავს, რომლის ძალითაც ბაზარზე რომელიმე კერძო ფირმის მონოპოლისტობას გამოავლენს და მით უმეტეს, დააჯარიმებს. მისი ფუნქცია ერთადერთია — უზრუნველყოს სახელმწიფოს კერძო ბიზნესში ჩაურევლობა, მორჩა და გათავდა.**

2005 წლიდან ბაზრის რეგულირებაში სახელმწიფოს როლის უგულებელყოფამ და კონკურენციის თავის ნებაზე მიშვებამ რა დონემდეც მიგვიყვანა, ყველა მშვენივრად ხედავს, გარდა ხელისუფლებისა, რომელსაც ბაზრის შესასვლელშივე ჩასძინებია და არხეინად ხვრინავს (ბენდუქიძეს ხვრინვაში აბა ვინ აჯობებს!). ეს განსაკუთრებით იგრძნობა აგვისტოს წაგებული ომის შემდეგ, როცა ფასები ბაზრის თითქმის ყველა სეგმენტში კატასტროფულად გაიზარდა და ინფლაციამ არნახულ ნიშნულს მიაღწია. ამ „მიღწევაში“, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული როლი ხელისუფლებასა და მისგან ხელდასხმულ მონოპოლიურ კომპანიებს მიუძღვით.

ამათგან საზოგადოებისთვის, რომელმაც ახლახან ომის მწარე დღეები გადაიტანა (თუ ამას გადატანა ჰქვია!), ალბათ ყველაზე მტკივნეულია სამკურნალწამლო ბაზარზე გამეფებული მონოპოლია. მონოპოლია კი არა, მე ვიტყოდი, ეპიდემია, რომელიც არა და არ ცხრება. ფარმაცევტული კომპანიები („ავერსი“, „პსპ“ და სხვები!), რომლებიც ურცხვად ბაზრის ლიდერობასაც კი ჩემულობენ, მაშინაც გულუხვად ზრდიდნენ ფასებს მედიკამენტებზე, როცა ლარი ვითომ მყარდებოდა და ახლაც, როცა ეროვნული ვალუტა ერთბაშად გაუფასურდა. რა მოტივით? რა თქმა უნდა, გადახდისუნარო ავადმყოფების ხარჯზე პირადი გამდიდრების მოტივით.

თქვენ წარმოიდგინეთ, მარილი რომ მარილია, ისიც კი გადამლაშებულია ზედმეტი მონოპოლიზმით (ალბათ ამიტომაც ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრს შაქართან ერთად მარილის ბაზრის მონოპოლიასთან ბრძოლაც დაავალა!). საინტერესო ამბავს მომიყვა ამას წინათ ამ ბაზარზე მომუშავე ერთი ბიზნესმენი, რაც მას ტვირთის განბაჟებისას გადახდა. ამ ფირმას მარილი შემოაქვს საფრანგეთიდან და იტალიიდან, თანაც იოდით ბუნებრივად გამდიდრებული, რაც მის მაღალ ხარისხზე მიანიშნებს. ამის მიუხედავად, მისი ტვირთი განბაჟებისას გააჩერეს და ლაბორატორიულ ანალიზზე გაგზავნა მოითხოვეს, რაც იმპორტიორს ძალიან ძვირი — რალაც 150 ევროს ღირებულების მარილის ანალიზის პროცედურა 5000 ევრო დაუჯდა (!).

ყველაზე საოცარი ის არის, რომ ამდენი პროცედურის შემდეგ ტვირთს კონფისკაცია მაინც გაუკეთეს. უფრო საოცარი კი ისაა, რომ ორი თვის შემდეგ კონფისკატორები მივიდნენ იმპორტიორთან და ფრანგული მარილი შესთავაზეს... მათ ეჭვიც არ შეპარვიათ ბიზნესმენის გულუბრყვილობაში, რომელმაც ამ ინციდენტის შემდეგ რატომლაც საკუთარ ბიზნესზე გული აიცრუა და ბაზარი მთლიანად მონოპოლისტ კონკურენტს დაუთმო.

**ერთადერთი „ბიზნესმენი“ საქართველოში, რომელსაც კონკურენციის არ ეშინია, ბატონი ბენდუქიძეა. ზის ახლა ის უდრტვინველად კანცელარიის მოზრდილ კაბინეტში (რატომლაც ჯდომა უფრო ეხერხება, ვიდრე სიარული) და მშვიდად ითვლის „ანტიმონოპოლიური“ საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს.**

**ოთარ ხუციშვილი**

◎ ინფორმაცია

## ჯანდაცვის დაფინანსება იზრდება, თავდაცვის ხარჯები მცირდება

**გადასახადების შემცირება, საკუთარ ეკონომიკაში დანახარჯების გაზრდა და დონორების თანხისა და ინვესტიციების მოზიდვა ის მთავარი ღონისძიებებია, რომელიც მსოფლიო ფინანსური კრიზის ფონზე, მომავალი წლისთვის მთავრობამ უნდა განახორციელოს. ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა.**

**როგორც ფინანსთა მინისტრი აღნიშნავს, მართალია მსოფლიოში კრიზისიდან გამომდინარე საინვესტიციო ფული შემცირებულია, მაგრამ ბევრი კომპანია ელოდება იმას, თუ როგორ მოახერხებს საქართველო დონორების მიერ გამოყოფილი ფულის მოზიდვას.**

**გილაურის განცხადებით, უნდა გაიზარდოს ისეთი დანახარჯები, რომელიც ფულს ქვეყნის ეკონომიკაში დატოვებს და ეკონომიკის სტიმულირებას მოახდენს. მაგალითად, დამატებით 250 მლნ ლარი დარჩება საქართველოს ეკონომიკაში საშემოსავლო გადასახადის 20-დან 25 პროცენტამდე შემცირებით. გარდა ამისა, მინისტრის თქმით, გაზრდილია გზების მშენებლობისთვის თანხები და მომავალი წლის ბიუჯეტში ამისთვის 512 მლნ ლარია გათვალისწინებული. 1,6 მლრდ-იდან 950 მილიონამდე მცირდება თავდაცვის სამინისტროს ხარჯები, 560 მილიონამდე მცირდება შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსებაც. 1 მილიარდ 566 მლნ-მდე იზრდება ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსება.**

## ახალშობილებს იმედი გაუცრუეს

**ხელმოკლე ოჯახებში დაბადებული ახალშობილების დახმარების მიზნობრივი პროგრამა, შესაძლოა დროებით შეჩერდეს. ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ გიგი წერეთელმა განაცხადა.**

**მისი თქმით, საქართველოში აღნიშნული პროგრამის განხორციელება ბიზნესის სექტორის უშუალო მონაწილეობით წინა წელს დაიწყო. სამწუხაროდ, ამჟამად, ბიზნესის სფეროში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის გამო, სავარაუდოდ, ეს პროგრამა დროებით შეწყდება. ამასთან ერთად, გიგი წერეთელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მოსახლეობის წინაშე აღებული ვალდებულებები შესრულდება.**

**ხელმოკლე ოჯახებში დაბადებული ახალშობილების დახმარების მიზნობრივი პროგრამა, სოციალურად დაუცველ ახალშობილზე ათასლარიანი დახმარების გაცემას ითვალისწინებს.**

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

◎ ქველმოქმედება

# ყურბან-ბაირამისადმი მიძღვნილი საღამო

**ყურბან-ბაირამისადმი მიძღვნილ საღამოს დიდ დიღომში დაწყებითმა კერძო სასწავლებელმა „სხივმა“ უმასპინძლა. საღამოს ორგანიზატორები იყვნენ: თურქული საქველმოქმედო ფონდი „ქიმსუ უოქ მუ,“ საქართველოს საგანმანათლებლო და შრომითი საქმიანობის ურთიერთდახმარების საერთაშორისო ფონდი „GIEV“-ი, სანდრა რულოვსის საქველმოქმედო ფონდი „SOCO“ და თბილისის მერია.**

ამ დღეს დევნილებსა და სოციალურად დაუცველ 6 ათას ოჯახს ხორცი დაურიგდათ. „ქიმსუ უოქ მუს“ წარმომადგენელმა **არსლან ჰიჯააზმა** განაცხადა, რომ მათი ფონდი ჰუმანიტარული დახმარებით მსოფლიოს 28 ქვეყანაშია ცნობილი. სწორედ ამ ორგანიზაციამ, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და ფონდ „GIEV“-თან ერთად, აგვისტოს მოვლენების დროს დაზარალებულ ოჯახებს 250 ათასი დოლარის ღირებულების ტანსაცმელი შეუძინა: „ჩვენ ახლაც ქართველების გვერდით ვდგავართ. საქართველო ჩვენი მეზობელი და მეგობარი ქვეყანაა. ეს მეგობრობა გაგრძელდება. მომავალ წელსაც ჩამოვალთ და კიდევ რამდენიმე სატვირთო მანქანის ჩამოტანას ვგეგმავთ. რაც შეეხება ყურბან-ბაირამს, იგი დახმარებისა და ერთმანეთის გახსენების დღესასწაულია,“ — განაცხადა ფონდის წარმომადგენელმა.

ქართველების თანადგომაზე იმ საღამოს ბევრი ილაპარაკეს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ **მესუთ ბოზქირმა** განცხადა, რომ ასეთი ქველმოქმედება მომავალშიც გაგრძელდება, რაც ორ ხალხს ერთმანეთთან კიდევ უფრო დააახლოებს. მან მადლობა გადაუხადა საქართველოს მოქალაქეებს მცირე საჩუქრის მიღებისთვის, ასევე — თბილისის, ბათუმის, ფოთის, რუსთავის მერიებს. იმ ოჯახებს, რომლებიც თბილისის მერიისა და სხვა რაიონების მუნიციპალური დაწესებულებების გადაწყვეტილებით ხელმოკლენი არიან, ყურბან-ბაირამთან დაკავშირებით ხორცი გადაეცათ, უპირველესად, თბილისში, შემდეგ ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, მარნეულსა და ფოთში.





სოციალური უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორმა, ფონდ „GIEV“-ის საპატიო პრეზიდენტმა, პროფესორმა **გიული ალასანიამ** თურქ კოლეგებს ყურბან-ბაირამის დღესასწაული მიულოცა და განაცხადა:

„ყურბან-ბაირამმა კიდევ უფრო გაზარდა ურთიერთდახმარების სურვილი. ორგანიზაცია „GIEV“-ი ომის პირველივე დღეებიდან ამოუდგა მხარში დევნილებს. შავი ზღვის უნივერსიტეტმა და ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებებმა დევნილები შეიფარეს. დახმარება გრძელდება. ძალიან დიდი მადლობა ჩვენს სპონსორებს დღევანდელი ქველმოქმედებისთვის,“ — განაცხადა გიული ალასანიამ.

**ნატა ნიბლაძე.**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

***მოსკოვს არა აქვს უფლება აშინებდეს ნატოს და ყოფილ საბჭოთა კავშირის ბლოკის ქვეყნებს, ვინაიდან ისინი არ წარმოადგენენ არავითარ საფრთხეს, ამტკიცებს ელჩი რობერტ სიმონსი, ნატოს სპეციალური წარმომადგენელი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. და როგორ წინააღმდეგობასაც არ უნდა უწევდეს რუსეთი, უკრაინა და საქართველო მიღებული იქნებიან ნატოში სათანადო რეფორმების განხორციელების შემდეგ.***

***ასეთი კომენტარი გაუკეთა რ.სიმონსმა ნატოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების დეკემბრის გადაწყვეტილებას. როგორც ცნობილია, შეხვედრაზე ნატოს ქვეყნებმა უარი უთხრეს უკრაინასა და საქართველოს მაპის მინიჭებაზე, მაგრამ აღნიშნეს ნატო-საქართველო და ნატო-უკრაინის კომისიებისა და ეროვნული პროგრამების როლი, რაზეც ეს კომისიები მუშაობენ.***



# რუსეთს მუქარის უფლება არა აქვს

— ამ გადაწყვეტილებას ერთმნიშვნელოვნად როდი შეხვდნენ — ერთს ეჩვენებოდა, რომ ეს იყო უკრაინისა და საქართველოს ნაბიჯი მიზნისკენ, მეორენი მიიჩნევდნენ, რომ ეს არის ალიანსში შესვლის გარანტიის ჩამორთმევა. თქვენ როგორ მიგაჩნიათ?

— ეს იყო კარგი ახალი ამბავი. ჩვენ არ შეგვიცვლია ბუქარესტში სამიტის გადაწყვეტილება. ეს ნიშნავს, რომ ერთხელაც იქნება ისინი გახდებიან ნატოს წევრები.

რაც შეეხება მაპს, იგი ზედმეტად პოლიტიზებულია. ჩვენ მოვახდინეთ მისი დეპოლიტიზება და ვთქვით, რომ ვკისრულობთ ვალდებულებას მათი მიღების შესახებ.

— მოსკოვმა მინისტრების გადაწყვეტილება სიხარულით მიიღო, ვინაიდან არსებითად ამისი იმედიც ჰქონდათ. ხომ არ ლაპარაკობს ნატოს ეს ნაბიჯი ალიანსსა და რუსეთს შორის ურთიერთობათა დათბობაზე?

— შეგახსენებთ, რომ ჩვენ უარი არ გვითქვამს მაპზე, არამედ იგი გადავდეთ გვერდზე. ამიტომ არავინ, მათ შორის, რუსეთმაც არ უნდა მოახდინოს მისი ინტერპრეტაცია, როგორც „არა“, მათ არ მიიღეს მაპი. რუსებს უნდა ახსოვდეთ ჩვენი ვალდებულება — ერთხელაც იქნება, საქართველო და უკრაინა შეუერთდებიან ნატოს. ამ საკითხთან დაკავშირებით რუსეთს არა აქვს ვეტოს უფლება. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

— ლიტვის გზა მაპიდან ალიანსის წევრობამდე გაგრძელდა რამდენიმე წელიწადი. შესაძლებელია თუ არა, რომ უკრაინა და საქართველო მიუერთდებიან ნატოს უახლოეს მომავალში?

— ამისი პროგნოზირება ძნელია. ნატოს გენერალური მდივანი ამბობს: „გზა წევრობამდე შორია და ხვეული“. ამჟამად დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეფორმების განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავენ ქვეყნების განმტკიცებას.

ლიტვამ მაპი მიიღო 1999 წელს, ალიანსში კი შევიდა მხოლოდ 2004 წელს. გავიდა დიდი დრო, ალბანეთსა და მაკედონიას მეტი დრო დასჭირდებათ.

ბალტიის სამ ქვეყანაზე ჩვენ ყოველთვის ვამბობდით — გეოგრაფია არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი. იყო ცივი ომი, თქვენ იყავით საბჭოთა კავშირის ნაწილი, მაგრამ ჩვენ ამას არასოდეს ვაღიარებდით, თუმცა ამან გავლენა არ უნდა იქონიოს გადაწყვეტილებაზე ნატოს წევრობასთან დაკავშირებით, ეს სავსებით მნიშვნელოვანი საკითხია. არ შეიძლება ქვეყნის უგულებელყოფა, რასაც მასზე რუსეთი არ უნდა ლაპარაკობდეს.

— ზოგიერთი ქართველი და ლიტველი პოლიტიკოსები გვაფრთხილებდნენ, რომ რუსეთის აგრესიის შემდეგი მიზანი შეიძლება გახდნენ ბალტიის ქვეყნები. როგორ აფასებთ ასეთ ვარაუდს?

— ის, რაც რუსეთმა გააკეთა, მიუღებელი იყო. რუსეთი განაგრძობს ბალტიის ქვეყნების, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების დაშინებას. მას მიაჩნია, რომ ნატოს გაფართოება შეცდომა იყო. ჩვენ, რასაკვირველია, არ შეგვიძლია ამას დავეთანხმოთ. ნატოს არ შეუძლია დაემუქროს რუსეთს, იგი არ უნდა ემუქრებოდეს თავის მეზობლებს. ეს მიუღებელია. ლიტვა ალიანსის წევრია, ჩვენ ვალდებულება ვიკისრეთ დავიცვათ იგი. ვიმეორებ — არც ნატო, არც მისი გაფართოება არ წარმოადგენდნენ, არ წარმოადგენენ და მომავალშიც არ შეუქმნიან საფრთხეს რუსეთს. ისევე, როგორც მას არ აქვს უფლება, გვემუქრებოდეს ჩვენ.

ეგლე დიგრიტე

DELFI

# განევრები პერევში

**რუსეთის სამხედროების ყოფნა სოფელ პერევში ევროპელ მეთვალყურეთა შეშფოთებას იწვევს.**

პარასკევსა და შაბათს ქართული სოფელი პერევი, რომელიც სამხრეთ ოსეთის საზღვარზე მდებარეობს, გაზრდილი ყურადღების ობიექტი გახდა. რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის სამხედრო შენაერთებმა მოულოდნელად დატოვეს იგი და მოულოდნელადვე დაბრუნდნენ იქ, როდესაც სოფელში შევიდა ქართული პოლიცია. ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩები, რომლებიც აკრედიტებული არიან საქართველოში, და ევროკავშირის მეთვალყურეთა მისიის წარმომადგენლები არ შეუშვეს სოფელში მონიტორინგის განსახორციელებლად.

დავა იმის შესახებ, თუ ვისი კონტროლის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს პერევი, პირველი დღე როდია, რომ მიმდინარეობს. თბილისი ამტკიცებს, რომ ეს სოფელი ყოველთვის შედიოდა საჩხერის რაიონის შემადგენლობაში, ამიტომ იქ რუსეთის ჯარისკაცებისა და ოფიცრების ყოფნა სხვა არაფერია, თუ არა ოკუპაცია. ცხინვალი, თავის მხრივ, გვარწმუნებს, რომ არის ორი ერთნაირი დასახელების სოფელი და ბლოკპოსტი მოწყობილია სამხრეთ ოსეთის სოფლის მახლობლად. სხვათა შორის, რეგიონის ყველაზე დეტალურ რუკებზეც კი არ არის ორი პერევი — აღნიშნულია მხოლოდ ერთი, რომელიც მდებარეობს საჩხერის რაიონის ადმინისტრაციულ საზღვარზე სამხრეთ ოსეთთან. აგვისტოს ომის შემდეგ ადმინისტრაციული საზღვარი რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის აღიარების შემდეგ აღმოჩნდა სახელმწიფოთაშორისი, ხოლო თავად სოფელი დაიკავეს რუსეთის ქვედანაყოფებმა.

პარასკევს კი აქ ხდებოდა გაურკვეველი რამ. რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებმა დატოვეს სოფელი და გაემგზავრნენ ჯავის მიმართულებით.

ახალი ამბები იმის შესახებ, რომ რუსები წავიდნენ, უმალვე გახდა ცნობილი ქართული მხარისთვის და სოფელ პერევში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფები შევიდნენ. თბილისში მომხდარი მიიჩნიეს პოზიტიურ შედეგად იმ დიალოგისა, რაც გაიმართა სრულიად საქართველოს პატრიარქ ილია მეორესა და რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს შორის, გასულ კვირას მოსკოვში სამგლოვიარო ღონისძიების დროს, რაც დაკავშირებული იყო რუსეთის პატრიარქის ალექსი მეორის გარდაცვალებასთან.




მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ რუსები კვლავ შევიდნენ პერევში, თანაც, როგორც იმერეთის რეგიონის გუბერნატორი მიხეილ ჩოგოვაძე აღნიშნავს, უფრო მეტი ძალებით, ვიდრე წასვლამდე — დაემატნენ მედესანტეები და სამთომსროლელები. სამხედრო შეტაკების თავიდან ასაცილებლად ქართულმა პოლიციამ უმალვე დატოვა სოფელი. პერევში გაძლიერებულია პატრულირება. აქ იმყოფება ჯავშანტექნიკა და დაახლოებით 500 სამხედრო მოსამსახურე. ხალხი შეშინებულია და ცდილობს არ გამოვიდეს სახლებიდან, თუ ამისი აუცილებლობა არ არის. სოფელში ცდილობდა შესვლას დასავლელი კორესპონდენტი, მაგრამ რუსებმა იგი არ შეუშვეს, — აცნობა ჟურნალისტებს ჩოგოვაძემ. პერევში ვერ შევიდნენ ევროკავშირის ქვეყნების საზღვარგარეთის ელჩები — მათი მოლაპარაკებანი სოფლის შესასვლელთან უშედეგოდ დამთავრდა. შედეგად ევროკავშირის მეთვალყურეთა მისიის წარმომადგენლები შემოიფარგლნენ ოფიციალური განცხადებით და მოუწოდეს რუსეთის მთავრობას, დაუყოვნებლივ გაიყვანოს თავისი ნაწილები სოფელ პერევიდან, ვინაიდან მათი იქ ყოფნა „შეუთავსებელია სარკოზი-მედვედევის გეგმასთან“.

სამხრეთ ოსეთის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის მინისტრმა ირინა გაგლოევამ განაცხადა: დიპლომატებმა უარი მიიღეს სოფელ პერევის მონიტორინგზე იმიტომ, რომ „მოქმედებენ არა ნორმების შესაბამისად“. „მათ არ მიუმართავთ შესაბამისი განცხადებით სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის და იმიტომ არ გაატარეს იგი რესპუბლიკის ტერიტორიაზე“. მისი სიტყვებით, პერევში არავითარი გადაჯგუფებანი არ ყოფილა პარასკევსა და შაბათს. „იქ მიმდინარეობს სამუშაოები საზღვრის გასამყარებლად და ჩვენი ჯარების ნებისმიერ გადაადგილებას ქართველები ცდილობენ გამოიყენონ თავიანთ სასარგებლოდ“.

საქართველოს რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა სამხრეთ ოსეთის მინისტრის განცხადება უკომენტაროდ დატოვა, და მას უწოდა არასერიოზული.

ამ დროს საქართველოს ოპოზიციამ წამოაყენა მოვლენათა თავისი ვერსია: რუსებმა ხელმეორედ დაიკავეს სოფელი სააკაშვილის გამოსვლის გამო, რომელშიც იგი ალაპარაკდა იმის შესახებ, რომ „საქართველომ გაიმარჯვა რუსეთზე“. პარლამენტის ექს-სპიკერი ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ ასეთი განცხადება საფრთხეს უქმნის საქართველოს. „თუ სააკაშვილი ილაპარაკებს, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ რუსეთზე, მას დავაჩოქებთ... მაშინ აღმოვჩნდებით უარეს მდგომარეობაში. მე ამას ვაცხადებ მთელი პასუხისმგებლობით და ვაფრთხილებ ხალხს... რომ შედეგად... ჩვენმა ხელისუფლებამ შეიძლება გამოიწვიოს კიდევ უფრო დიდი უბედურება“, — განაცხადა მან. იგივე გაიმეორა ბევრმა სხვა ოპოზიციონერმაც.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მხრიდან მოვლენებს რეაქცია არ მოჰყოლია.

იური სიმონიანი

НЕЗАВИСИМАЯ

# ალიანსი პოზიციას განსაზღვრავს



**ამას წინათ ამერიკის ევროპელმა მოკავშირეებმა ზრდილობიანად, მაგრამ მტკიცედ უთხრეს უარი ბუშის მთავრობას ორ მნიშვნელოვან პუნქტზე.** ბრიუსელში ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტზე ალიანსის წევრებმა გამოხატეს მტკიცე გადაწყვეტილება, განაახლონ დიალოგი რუსეთთან და გაურკვეველი დროით გადადონ თავიანთ რიგებში საქართველოს და უკრაინის მიღების საკითხი. ასეთი პოზიცია ძალიან კარგ შესაძლებლობას უქმნის ახალ პრეზიდენტ ბარაკ ობამას, გადახედოს თავის ურთიერთობას ნატოელ მოკავშირეებთან და რუსეთთან.

პოზიცია, რომლის წინწაწევასაც ცდილობდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი, გადაიდო ტაქტიკურად. ბუშის მთავრობასთან რვაწლიანი უკმაყოფილების შემდეგ ნატოს წევრებმა „ძველი ევროპიდან“ გადაწყვიტეს დადგნენ თავიანთ მტკიცე პოზიციაზე და გამოხატონ თავიანთი ახალი ურთიერთობანი ობამას მთავრობის მოსვლის წინ.

გადაწყდა განახლდეს მოლაპარაკება რუსეთთან ეგრეთ წოდებულ კონტექსტში: რუსეთის საბჭო — ნატო, რომელიც შეწყდა მიმდინარე წლის აგვისტოში რუსეთსა და საქართველოს შორის ომის შედეგად. ეს გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, აღმოჩნდა უარის თქმა ბუშის მთავრობის პოლიტიკაზე, რომელსაც არ სურდა ომის შემდეგ დაემყარებინა ურთიერთობა კრემლთან პრინციპით „უპრეტენზიოდ“.

როგორც ნატოს გენერალურმა მდივანმა იააპ დე ჰოოპ სხეფერმა დელიკატურად აღნიშნა, „ალიანსის წევრებმა ერთმანეთს შეუთანხმეს პოლიტიკა, რომელსაც მე დავახასიათებდი, როგორც რუსეთთან ურთიერთმოქმედებათა განახლებას — თანდათანობით და გარკვეული პირობებით“.

ბუშის მთავრობისთვის არანაკლები უარი იყო მეორე გადაწყვეტილებაც, რომელიც მიღებული იქნა ბრიუსელში. ნატოს აპრილის სამიტზე უკვე ჩააგდეს ბუშის წინადადება საქართველოსა და უკრაინისთვის ალიანსის წევრობის უახლოესი კანდიდატობის მინიჭების შესახებ. ბრიუსელში კი რაისი შეეცადა წამოეყენებინა ალტერნატიული ვარიანტი — შეექმნათ არაფორმალური საბჭოები საქართველო-ნატო და უკრაინა-ნატო.

სამიტის შემდეგ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ ვალტერ შტაინმაიერმა აღნიშნა, რომ ნატოს ყველა დანარჩენ 26 ქვეყანას გერმანელები დაჰპირდნენ, რომ გამოიყენებენ ვეტოს უფლებას: ალიანსმა „დღეს გადაწყვიტა, რომ კუთხის ჩამოჭრა აღარავის შეუძლია“. სხვა სიტყვებით, საქართველო და უკრაინა ვერ მიიღებენ ნატოში შესვლის შესაძლებლობას მანამ, ვიდრე გერმანია და სხვა ევროპელი ქვეყნები არ იქნებიან დარწმუნებული იმაში, რომ ამის შედეგად არ დაზარალდება მათი ურთიერთობა რუსეთთან, რომელიც მათ ენერგომატარებლებს აწვდის.

ეს სრულიადაც არ არის ცუდი სასტარტო წერტილი ობამასთვის, თუკი მას სურს ჩამოაყალიბოს უფრო ჯანსაღი და მეგობრული ურთიერთობა არა მხოლოდ თავის ევროპელ მოკავშირეებთან, არამედ რუსეთთანაც.

The Boston Globe

## ესლა გვაკლდა!..

*იმის გამო, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ თავადვე მოიქცია თავი გამოუვალ მდგომარეობაში, იგი ნებისმიერ ფაქტს ასაიდუმლოებს, საკუთარ მოსახლეობას სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფებს. ამგვარი მეთოდებით ცდილობს წარმოუჩინოს ხალხს, რომ ყველაფერი წესრიგშია და კონტროლირებადია. მოჩვენებითი სიმშვიდის დამყარების საკითხში უდიდესია შსს-ს როლი. ის მალავს, რომ ჩვენში საგრძნობლად გაუარესდა კრიმინოგენური ვითარება, იმატა მძიმე დანაშაულთა რიცხვმა, იკლო საქმის გახსნის პროცენტმა. თუ საომარი მოქმედებების დაწყებამდეც კი შეუძლებელი იყო შსს-ს პრესცენტრისგან რაიმე ინფორმაციის მოპოვება, დღეს ამის გაკეთების შანსიც არ არსებობს.*

*„მიუხედავად სამინისტროს ამგვარი კონსპირაციულობისა, ხალხში მაინც ვრცელდება ინფორმაციები, რომლებიც მართალია დაგვიანებულია, მაგრამ შოკის მომგვრელია.*

# თბილისში მანიაკი დადის?!

მოსახლეობიდან მიღებული ინფორმაციებით, 20, 21, 23 ნოემბერს თბილისის სხვადასხვა უბანში სამი მოკლული, ამოუცნობი გვამი იპოვეს. ყველა ამტკიცებს, რომ მოკლულთა ასაკი 45-50 წელს არ უნდა აღემატებოდეს. თვითმხილველები აცხადებენ, რომ ყველა გარდაცვლილს ჰქონდა „ბომჟური“ გარეგნობა (დასიებული თვალები, „ბომჟური“ ჩაცმულობა, პირადობის დამადასტურებელი საბუთების გარეშე), მოკლულები ნაპოვნი არიან მიუსვლელ ადგილებში, სადაც პოლიციას იქნებ მთელი წლის განმავლობაში არც შეეარა.

პირველი მსგავსი ფაქტორი დაფიქსირდა ისანი-სამგორის რაიონში. 20 ნოემბერს გამვლელებმა „მეტრომშენის“ დასახლებაში აღმოაჩინეს დაახლოებით 45-50 წლის მამაკაცის გვამი, ის მთლიანად დაჩეხილი იყო. პოლიციელმა ვერ მოახერხა მიცვალებულის ვინაობის დადგენა. რაც ყველაზე დამაფიქრებელია, გარდაცვლილს შარვლის უკანა ნაწილი ჩახეული ჰქონდა. თვითმხილველთა მტკიცებით, გვამი ისეთ ვითარებაში იყო ნაპოვნი, რომ ის გაუპატიურებული უნდა ყოფილიყო!



მეორე მიცვალებულიც ისანი-სამგორის რაიონის ტერიტორიაზე შემთხვევითმა გამვლელებმა იპოვეს, მეორეც ანალოგიურ მდგომარეობაში იყო. ისიც 45-50 წლის მამაკაცი იყო უამრავი ჭრილობით.

მესამე შემთხვევა, რომელიც 23 ნოემბერს აღირიცხა, პირველი ორის იდენტური იყო. გვამს აქაც ჩახეული ჰქონდა შარვლის უკანა ნაწილი.

* * *

თვითმხილველთა მტკიცებით, სამივე მოკლული პოლიციამ პროზექტურაში წაიღო. ჩვენთვის უცნობია, თუ რა დასკვნები გამოიტანა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზამ. ეს უწყება შსს-ს დაქვემდებარებაშია. მისი პრესცენტრისგან უბრალო ინფორმაციის მიღებაც კი შეუძლებელია, მით უმეტეს, ამგვარი შემზარავი ფაქტების შესახებ.

ექსპერტთა განმარტებით, მკვლელს ადგილები წინასწარ ჰქონდა შერჩეული (მივარდნილი, ჩაბნელებული, დაუსახლებელი). მკვლელობები ერთი და იგივე ხელწერითაა ჩადენილი, რაც პროფესიონალებს საშუალებას აძლევს ივარაუდონ, რომ ტრაგედია ერთი და იგივე პიროვნების ან ჯგუფის მიერაა ჩადენილი. სპეციალისტები ასკვნიან, რომ საქმე უნდა გვქონდეს მკვლელ მანიაკთან, შესაძლებელია რამდენიმე პირთანაც კი!

ვიდრე პოლიცია სირაქლემის პოზაშია და ყოველგვარი ინფორმაციის გაცემისგან თავს იკავებს, მოსახლეობაში სხვადასხვა ხმა ვრცელდება, რაც შსს-ს უაღრესად შელახულ იმიჯზე დადებითად მოქმედებს.

გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეები შეშფოთებული არიან. მათ უფლება აქვთ იცოდნენ, რა საფრთხე ელით ქუჩაში გასვლისას...

მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენი ხელისუფლების ხელში, არც სამართალდამცავებისგან ვართ დაცული და არც კრიმინალებისა და მანიაკებისგან.

**ზაზა ბილიხოძე**

## ზოგჯერ თქმითაც დაშავდების...

# განაწყენებული ქართველი მეხივით საშიშია

**ვაგლახ, რომ ეს ასეა. ქვეყნისთვის მტერს არ დაუშავებია იმდენი, რამდენიც განაწყენებულმა ჩვენებურმა. ისტორია გვაძლევს ამის თქმის უფლებას. ამას წინათ ტელევიზიით უჩვენეს ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი რუკა, პირველიდან მეოცე საუკუნემდე. იქვე ისტორიკოსის ასეთი კომენტარი მოვისმინე. პირველიდან რამდენიმე საუკუნე საქართველოს ზღვისპირეთი (ლაზიკაძ ტრაბზონიდან ტუაფსემდე იყო გადაჭიმული. დღეს ამ ტერიტორიის მესამედიც არ გვიჭირავს.**

სად გაქრა ეს ტერიტორიები?

განაწყენებულ ქართველთ უნდა მოვკითხოთ.

არჩილ მეფეზე განაწყენებული სააკაძე საქართველოდან გაიქცა და უნდილაძესთან ერთად სხვის ქვეყანას ემსახურა.

თურქეთის ლაშქარს, საქართველოზე გამოლაშქრებულს, ბალვაში მოუძღოდა. ისიც მეფეზე იყო განაწყენებული.

სოციალ-დემოკრატებზე განაწყენებული სტალინი რუსეთში გაიქცა, ჩვენ კი თავსატეხი დაგვიტოვა. არადა აქ რომ დარჩენილიყო, დიდი პოეტი დადგებოდა.

დღეს რა მოაქვთ განაწყენებულთ ჩვენი ქვეყნისთვის?

უარესი სიავე!

ქვეყნის გაყიდვისგანაც ვერ იკავებენ თავს.

ამ რამდენიმე თვის წინათ აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი კომისია რომ შეიქმნა პარლამენტში, გულში გამწკეპლა, გავიფიქრე, არ დაერიონ-მეთქი განაწყენებული ქართველები ერთმანეთს.

დაერივნენ!

ეროსი კიწმარიშვილის გამოსვლები გაიხსენეთ. სიმართლე თქვა თუ ტყუილი, ეგ სხვა განსჯის თემაა. ფაქტი კი ისაა, რომ სალაპარაკო მისცა აგრესორებს. ვკითხო ერთი ეროსის, რომ არ მოეხსნათ, საიდუმლოს გაამჟღავნებდა?

ეჰ!

და კიდევ — ეეჰ!

მიკვირს ძალიან, აქამდე როგორ მოვაღწიეთ, როგორ გამოვიარეთ ისტორიის უშველებლად გრძელი და რთული გზა.

**ანზორ გვარამია,**
**მწერალი.**

# სს „აგროინვესტბანკის“ განცხადება

**სს „აგროინვესტბანკი“ აცხადებს განმეორებით საჯარო აუქციონს.** გასაყიდად გამოტანილი იქნება უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №150, არასაცხოვრებელი ფართი 964,38 კვ.მ. და 210 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მიმდებარედ. მიწის (უძრავი ქონებისძ საკადასტრო კოდი №01/13/08/01/014, ზონა 01, სექტორი დიდუბე 13, ნაკვეთი 01/014, კოდი 01/502, ნაკვეთის ფუნქცია არასასოფლო-სამეურნეო, დაუზუსტებელი ფართობი 14844,00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 14. გასაყიდი ობიექტის მომავალ მფლობელს პერსპექტივაში აქვს მოახდინოს დაუზუსტებელი ფართიდან ინდივიდუალური გამიჯვნა და მის საკუთრებაში გადავიდეს მნიშვნელოვანი ფართიდან არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, საწყისი ფასი 3.000.000 (სამი მილიონიძ აშშ დოლარი, 4.950.000 (ოთხი მილიონ ცხრაას ორმოცდაათი ათასიძ ლარი დღგ-ს ჩათვლით. აუქციონში მონაწილეობისთვის „ბე“ შეადგენს გასაყიდი ქონების 10 პროცენტს – 300000 (სამასი ათასიძ აშშ დოლარს 495 000 (ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი ათასიძ ლარს. ბიჯი – 6000 (ექვსი ათასი) აშშ დოლარი 9900 (ცხრაათას ცხრაასი) ლარი.

აუქციონი ჩატარდება 2008 წლის 26 დეკემბერს, 14 საათზე, სს „აგროინვესტბანკში“ ბანკის ადმინისტრაციულ მისამართზე, ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის გამზ. №79.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა აუქციონის კომისიას უნდა მიმართოს შემდეგი დოკუმენტაციით:

აძ განცხადება აუქციონში მონაწილეობის სურვილის შესახებ;

ბძ ბეს – შეტანის დამადასტურებელი ქვითარი, ბე – გადახდილი უნდა იქნას უნაღდო ანგარიშსწორებით, შემდეგ რეკვიზიტებზე: სს „აგროინვესტბანკი“ (საქართველოს ეროვნული ბანკიძ კოდი 220101703, ანგარ. №700161403 ლარში, ანგარ. №700070303 დოლარში, საიდენტიფიკაციო კოდი 201947572, შიდა საბანკო ანგარიში №164501 ლარში, შიდა საბანკო ანგარიში №104511 აშშ დოლარში.

გძ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი და ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მოქმედებს წარმომადგენლის სახელით.

დძ იურიდიულმა პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და იურიდიული პირის უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება, აუქციონში მონაწილეობის შესახებ განცხადება და დოკუმენტები უნდა წარმოდგენილი იქნეს არა უგვიანეს 2008 წ. 26 დეკემბრის 13:30 საათისა.

ყველა სხვა პირს, რომელთაც აქვთ უფლება აუქციონზე გასაყიდ ნივთზე, ვალდებული არიან ამ უფლებების დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

**დამატებითი ინფორმაცია გასაყიდი ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ სს „აგროინვესტბანკის“ ადმინისტრაციის მისამართზე. ტელ. 96-99-68, 96-94-81.**

**საუქციონო კომისია**

# განცხადება

**სს „საქართველოს საფოსტო ბანკი“ აცხადებს აუქციონს. გასაყიდად გამოტანილი იქნება ქონება შემდეგ ლოტებად:**

1. კოლხეთის ჩაის ფაბრიკა (აქციებიძ – 51480 ცალი აქცია, რომელიც შეადგენს 24 პროცენტს.

2. დედოფლისწყაროს ფილიალი: ფართი განთავსებულია ქ. დედოფლისწყაროში სტალინის ქ. №2ა, 5-სართულიანი კორპუსის პირველ სართულზე. მთლიანი ფართობი 88.6 კვ.მ. საწყისი ფასი 14625 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

3. ლანჩხუთის ფილიალი: ფართი განთავსებულია ქ. ლანჩხუთში თაბუკაშვილის №112-ში. მთლიანი ფართობი 166.1 კვ.მ. საწყისი ფასი 7575 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

4. წალენჯიხის ფილიალი: ფართი განთავსებულია წალენჯიხაში თბილისის №7. მთლიანი ფართობი 179 კვ.მ. საწყისი ფასი 9000 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

5. სენაკის ფილიალი: ფართი განთავსებულია ქ. სენაკში ქურდოვანიძის ქ. №2-ში. მთლიანი ფართობი 59.09 კვ.მ. საწყისი ფასი 7800 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

6. ქარელის ფილიალი: ფართი განლაგებულია ქარელში სტალინის ქ. №64-ში, საერთო ფართი 281 კვ.მ. საწყისი ფასი 18300 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

7. ოზურგეთის ფილიალი: ფართი განთავსებულია ქ. ოზურგეთში რუსთაველის ქ. №4-ში. მთლიანი ფართობი 141 კვ.მ. საწყისი ფასი 18160 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

8. კრწანისის ფილიალი, მდებარე ქ. თბილისში ათონელის №12-ში. საერთო ფართი 86 კვ.მ. საწყისი ფასი 91590 ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

აუქციონი ჩატარდება 2008 წლის 22 დეკემბერს 11 საათზე სს „საქართველოს საფოსტო ბანკის“ ადმინისტრაციის მისამართზე: ქ. თბილისი, გ. ჩიტაიას №21.

აუქციონში მონაწილეობისთვის „ბე“ შეადგენს გასაყიდი ქონების საწყისი ღირებულების 10 (ათძ პროცენტს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა აუქციონის კომისიას უნდა მიმართოს შემდეგი დოკუმენტაციით:

აძ განცხადება აუქციონში მონაწილეობის სურვილის შესახებ;

ბძ ბეს შეტანის დამადასტურებელი ქვითარი. ბე გადახდილი უნდა იქნას უნაღდო ანგარიშსწორებით, შემდეგ რეკვიზიტებზე: სს „საქართველოს საფოსტო ბანკის“ კოდი – 220101984, ანგ №900161384, შიდა ანგ. 908000, საიდენტიფიკაციო კოდი – 202904045;

გძ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი და ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ სხვა პირის სახელით მოქმედებს;

დძ იურიდიულმა პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენიტაციის ასლები და იურიდიული პირის უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება აუქციონში მონაწილეობის შესახებ.

აუქციონში მონაწილეობის შესახებ განცხადება და დოკუმენტები უნდა წარმოდგენილი იქნას არა უგვიანეს 2008 წლის 19 დეკემბრის 18 საათისა.

ყველა სხვა პირს, რომელთაც აქვთ უფლება აუქციონზე გასაყიდ ნივთზე, ვალდებული არიან ამ უფლებების დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

**დამატებითი ინფორმაცია გასაყიდი ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ სს „საქართველოს საფოსტო ბანკის“ ადმინისტრაციის მისამართზე: ტელ: 95-72-33.**

**საუქციონო კომისია**

# განცხადება

**ყველას, ვისაც აქვსკრედიტორული მოთხოვნა სს „თბილინტერბანკის“ მიმართ, გთხოვთ წარმოადგინოთ მოთხოვნის განაცხადი და მოთხოვნის დამადასტურებელი დოკუმენტები 2008 წლის 20 დეკემბრამდე, სს „თბილინტერბანკის“ ადმინისტრაციის მისამართზე: ქ. თბილისი, გიორგი ჩიტაიას №21, II სართული.**

**სს „თბილინტერბანკის“**
**ლიკვიდატორი**

# განცხადება

**ყველას ვისაც აქვს კრედიტორული მოთხოვნა შპს „იბერიაბანკის“ მიმართ, გთხოვთ წარმოადგინოთ მოთხოვნის განაცხადი და მოთხოვნის დამადასტურებელი დოკუმენტები 2008 წლის 20 დეკემბრამდე შპს „იბერიაბანკის“ ადმინისტრაციის მისამართზე ქ. თბილისი, გ. ჩიტაიას №21, II სართული.**

**შპს „იბერიაბანკის“**
**ლიკვიდატორი**

**რეკლამა** *კოსტავას 12*
*„საქართველოს რესპუბლიკაში“* **98-65-87; 899 32-85-76.**

◉ ნაცნობის გაცნობა

# ეს „კორკოტა“ მაინც რა ყოფილა – გულის სითბო ყველას გვამყოფინა

**რადიო „ნაცნობმა“ უცებ მოიპოვა პოპულარობა. ჩვენს შეჭირვებულ, სევდანაღველმოძალებულ მოსახლეობას განა ბევრი უნდა? კარგი ქალაქური სიმღერები, საყვარელ პიროვნებებთან შეხვედრები, წარსულის მოგონებები და რადიოეთერში დაღვრილი მადლიანი, გამამხნევებელი სიტყვა, მალამოსავით ედება გულს, ათბობს, ახალისებს და, ამ უიმედობის ჟამს, იმედიანად განაწყობს.**



და ეს ყოველივე „კორკოტას“ დილით იწყება...

ვინ არის-მეთქი, კაცო, ეს „კორკოტა“? – ვამბობ ერთ დღეს სახლში ჩემთვის და თან მიშიკო შენგელიასა და მისი მეგობრების „შებერვას“ ვუსმენ „ნაცნობის“ ტალღაზე.

– ტონტორა, კაი ტიპი რომ არის ლევან ერისთავის სერიალში – „თენდება გვიან“, ბანდიტს რომ თამაშობს და თან ბავშვები უყვარს, გახსოვს?.. გია კორკოტაშვილი... „კორკოტას“ ეძახის მთელი თბილისი... – „დამაკვალიანა“ ჯალაბმა და მეც გამახსენდა, რადგან, მართლაც დასამახსოვრებელ სახეს ქმნის იგი ქართულ სერიალში.

– მაგრამ რადიო „ნაცნობში“ რაღამ მიიყვანა? – ვიფიქრე. კითხვა უფრო გამძლიერდა, ახლახან, ტელევიზიის სასიკეთოდ განახლებულ I არხზე რომ ვიხილე რადიო „ნაცნობის“ გადაცემა „კორკოტას“ თანხლებით... ვიხილე საოცრად უშუალო, კეთილღიმილიანი, ნიჭიერი კაცი, აქეთ, მაესტრო რობერტ სტურუას საინტერესო კითხვებს რომ აძლევს, იქით კი თავის მეგობრებთან ერთად გიტარაზე ამღერებს ქალაქურ მელოდიებს უმაღლეს რეგისტრში... ერთი სიტყვით, „ჯიგარია“, ძველ თბილისელთა ნატეხია, ალი-კვალია... ავდგები და გავიცნობ!..

დავურეკე. სიამოვნებით გელოდებით, ჩემო ბატონოო. მივედი. დიდი ხნის ნაცნობივით გადამკოცნა, სანამ საუბარს დავიწყებდით, თავისი საქმე დამალოცვინა კონიაკით...

ჰოდა, ვსაუბრობთ.

– „კორკოტა“ დაგიძახოთ?..

– აბა, როგორ!..

– მე უფრო პირქუში მეგონეთ... ფილმში ასე ჩანს...

– ჰო... ეს ინჟინერ-მშენებელი კაცი ლევან ერისთავმა გამამსახიობა... ფილმში ბანდიტის სახეს ვქმნი, თუმცა, ზოგჯერ მაინც ჩანს ჩემი გმირის შინაგანი ბუნება, იგი ხომ ავი, არეული დროის მსხვერპლია, ვითომ ბანდიტობს, მაგრამ მაინც წესიერი ცხოვრების მაძიებელია, ათასმა დავიდარაბამ სულიერება ვერ შეუცვალა.

– ისე, სად „იმალებოდით“ კაცო!.. ამ, მართლაც სასიამოვნოდ მოსასმენი რადიოს მესვეურებს ზუსტად შეურჩევიხართ... ყოველ დილას ლოცვასავით ჩაგვესმის – „ჩემო ძვირფასებო“, „ჩემო თბილებო“...

– მადლობელი ვარ ამათი, რომ, რაც შემიძლია, შინაგანად რაცა ვარ, იმის რეალიზაციის საშუალება მომცეს... შეიძლება თავი ყველას ვერ მოაწონო, მაგრამ დღეს, ადამიანებს შორის სითბოსა და სიყვარულის დეფიციტის ჟამს, ჩვენი გადაცემები, იქნებ, სასიკეთო მუხტისა იყოს.

– მეტადრე ახალგაზრდებს სჭირდებათ რჩეულ რესპონდენტებთან წინაპრებზე, სამაგალითო პიროვნებებზე, გარდასულ დღეებზე, უნიკალურ ქალაქური ტრადიციების შენახვაზე გულთბილი საუბარი, სხარტი, მახვილგონივრული და, რაც მთავარია, ეროვნულობის მატარებელი შემეცნებითი სიუჟეტები...

– ყველა უნდა დამეხმაროთ! იქნებ, უფროსმა კოლეგებმა, მსმენელებმა საინტერესო მოსაზრებები გამოთქვათ, რასაც გავითვალისწინებთ... კრიტიკასაც, შენიშვნასაც ნუ მოერიდებით!.. მე მინდა, რომ ჩემს გადაცემაში ყალბი არაფერი იყოს!.. მე ძველი რაგბისტი ვარ, ლელოს გატანა წესად ჩამომიყალიბდა და დიდი სურვილი მაქვს ამ საქმეშიც გავიტანო ლელო, ოღონდ წესიერად.

– სიმღერას რომ ეგრე „ახვევთ“, გენით მოგდგამთ?

– მაშ... პაპაჩემის, კარდენახელი გიორგი კორკოტაშვილის ჯიშისა ვარ... შესანიშნავად მღეროდა, უყვარდა „ბანტიანი“ გიტარა... „ტყემალი“ არასდროს უჭამია, რომ შვილიშვილებს კბილი მოჰკვეთოდათ... სულ სიკეთით დამიბრუნდა მისი კაცობა... 4 შვილი მყავს და ვცდილობ, ქართველებად, ამ ულამაზესი სამშობლოს, ულამაზეს, ღირსეულ შვილებად დავზარდო ისინი!

– ჯვარი გეწეროთ!... აბა, უკეთეს და უკეთეს გადაცემებს ველოდებით თქვენგან.




ვილენ მარდალეიშვილის საავტორო გვერდი

◉ შენ – ნიჭო ჩემო!..

**ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენ ვწერდით ნორჩი მომღერლის, თბილისის 61-ე საჯარო სკოლის (დირექტორი შოთა მანჯავიძე) II კლასის მოსწავლის ნინო მუჯირიშვილის გამარჯვების შესახებ მაკედონიაში გამართულ საესტრადო სიმღერის საერთაშორისო ფესტივალზე. იქვე აღვნიშნავდით, რომ მალე ნინო მიემგზავრებოდა სერბეთში, საესტრადო სიმღერის საერთაშორისო ფესტივალ „ნიჟარებში“ მონაწილეობის მისაღებად და ჩვენი გოგონას გამარჯვება წერილის სათაურით დავიიმედეთ: „მოამზადეთ ვარდები ნინოსთვის“. ისე ყველაფერი კარგად აგიხდეთ: რამდენიმე დღის წინათ სერბეთის ქალაქ ნოვო-სადში დამთავრდა ზემოთ აღნიშნული ფესტივალი და ნორჩმა ქართველმა მომღერალმა უმაღლესი ჯილდო – „გრან პრი“ დაიმსახურა...**




# ჩვენ კვლავ ვარდებს მოვამზადებთ შენთვის, ნინო!

– ნინოს ასაკის მომღერალს, ჯერჯერობით, საერთაშორისო ფესტივალებზე არსად, არასდროს მიუღია „გრან პრი“, – გვეუბნება მისი პედაგოგი, ვოკალურ-ინსტრუმენტალურ-ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმედის“ ხელმძღვანელი, კომპოზიტორი **ჯანო თითირაშვილი,** – ესეც, თავისთავად, სასიამოვნო ფაქტია. როგორც ადრე მაკედონიაში, ნინო მუჯირიშვილმა სერბეთშიც ჩემი სიმღერა შეასრულა – „ფერია“, რომელიც სპეციალურად ამ ფესტივალისთვის დავუწერე მას და, როგორც ხედავთ, შეგირდმა ნდობა გამიმართლა.



**– რა სჯობს, ჯანო ბატონო, როდესაც პედაგოგი თავისი შრომის ნაყოფს ხედავს, ნინოს წარმატება კიდევ ერთი დადასტურებაა ქართული ნიჭის უკიდეგანობისა. სულითა და გულით გილოცავთ ამ გამარჯვებას, უპირველესად, თქვენ, აგრეთვე, ნინოს მშობლებს, 61-ე საჯარო სკოლის მთელ პედკოლექტივს... სხვათა შორის, როგორი მოსწავლეა იგი?..**

– ნინო ფრიადოსანია, რომ იტყვიან, მთელი სკოლის თვალია... ძალიან უყვართ პედაგოგებს, მოსწავლეებს, ეამაყებათ მასთან მეგობრობა. ახლა სპეციალურ სტენდსაც კი ამზადებენ, სადაც წარმოდგენილი იქნება ნინოს წარმატებების ამსახველი ფოტომასალა.

**– რა თქმა უნდა, ახალი გეგმები გაქვთ...**

– მომავალი წლის მაისში ნინო მიწვეულია საესტრადო ფესტივალზე ბულგარეთსა და პოლონეთში, სექტემბერში კი უნგრეთსა და იტალიაში. შეიძლება ცოტა ნაადრევია, მაგრამ მაინც გეტყვით: 2010 წელს სანკტ-პეტერბურგში უნდა გაიმართოს დიდი საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი და ნინო მუჯირიშვილი იქ უკვე მიწვეულია...

**– მაშ, ისღა დაგვრჩენია წარმატებები ვუსურვოთ ნორჩ მომღერალს და კვლავ მოვამზადოთ მისთვის ვარდები...**

– მადლობა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“, რომ ასე აშუქებს ნინო მუჯირიშვილის გამოსვლებს... ერთსაც გეტყვით: სერბეთში წასვლის წინ ჩვენს მიმართ დიდი ყურადღება გამოიჩინეს საქართველოს განათლებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებმა. ჩვენ დაუბრკოლებლად მივიღეთ ვიზები და, აკი, იმედებიც გავამართლეთ...

**– სულ ასე გევლოთ!..**

**სურათზე: ნოვო-სადის საერთაშორისო საესტრადო სიმღერების ფესტივალის გამარჯვებულის დიპლომი; ნინო მუჯირიშვილი თავის პედაგოგთან – ჯანო თითირაშვილთან და ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე ანდრიან იუნეკთან ერთად.**

◉ მკვახე შეძახილი

# იცის ქალაქის მერიამ, რა დღეშია ქართული პოეზიის დედოფლის საფლავი?!



**გუშინ ანა კალანდაძის დაბადების დღე იყო – ქართული პოეზიის დედოფალი 84 წლისა გახდებოდა. ცხადია, ესტუმრნენ მთაწმინდის პანთეონს ქალბატონი ანას ახლობლები, მისი ღვთიური ნიჭის თაყვანისმცემლები... და... ასეთ დღეში დახვდათ უძვირფასესი საფლავი...**

**ანა კალანდაძე წლეულს, ადრე გაზაფხულზე გამოეთხოვა მშობელ ქვეყანას, მშობელ ხალხს... გამოვეთხოვეთ ჩვენც – ანა დედოფალი ფიზიკურად წავიდა ჩვენგან, თორემ მისი პოეზია ქართველი კაცის ცხოვრების თანამგზავრი იყო და იქნება...**



**გამოეთხოვა ქალაქის მერიაც... გამოეთხოვა და გამოეთხოვა!.. აღარავის გახსენებია, ანა დედოფლის საფლავს მიხედვა რომ უნდა!**

**კაცმა რომ თქვას, საკაშვილს და მის „ბიჭებს“ რა ელექსებათ და, მგონი, მამა-პაპის საფლავებიც აღარ ახსოვთ, თუმცა, მაინც ძალიან იჭაჭებიან, ყველაფერი „აჟურშიაო“, მერიის ყველა სამსახური გამართულად მუშაობს!..**

**თქვენი „გამართული მუშაობის“ ერთ-ერთი დასტური აგერ ჩანს მურად ალაშვილის ფოტოზე!**

**ყოჩაღ, თქვენ!**

ჭიდაობა

# ლომთა ლომი



ინდოეთში დამთავრდა ქვეყნის პირველობა ეროვნულ ჭიდაობაში „ჯანსურაჯა შაკტი კესარის“ („ძლევამოსილი ლომი“) ტიტულის მოსაპოვებლად. შეჯიბრებაში პეკინის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი გიორგი გოგშელიძეც მონაწილეობდა. ფინალში იგი ამ საპატიო პრიზის ხუთგზის მფლობელ რაჯუ ტომარს დაუპირისპირდა. ქართველმა ფალავანმა მასპინძელთა კერპს სძლია და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**XX ეროვნული ჩემპიონატი. XV ტური. ოლიმპი– დინამო** 1:0 **გოლი:** მეგრელაძე. **მესხეთი – სიონი** 0:2. **გოლები:** ხუბუა (2ძ. **გაგრა – ბორჯომი** 2:0. **გოლები:** გაბედავა, შარიძაძე. **ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია** 0:1. **გოლი:** რაზმაძე. **ცხინვალი – მგლები** 4:0. **გოლები:** ლონდაძე (2ძ, შალამბერიძე, შონია. ისვენებდა ზესტაფონი.

**სატურნირო მდგომარეობა:** ვიტ ჯორჯია – 33, დინამო – 28, ზესტაფონი – 24, ოლიმპი, სიონი – 21-21, ლოკომოტივი – 18, მგლები – 17, მესხეთი – 16, გაგრა – 14, ბორჯომი – 11, ცხინვალი – 6 ქულა.

**ბომბარდირი:** ვაწაძე (დინამოძ – 8 გოლი.

**შემდეგი ტური:** დინამო – ზესტაფონი, სიონი – გაგრა, ბორჯომი – ცხინვალი (20 დეკემბერიძ, ვიტ ჯორჯია – ოლიმპი, მგლები – ლოკომოტივი (21 დეკემბერიძ. ისვენებს მესხეთი.

* * *

**იტალია. XVI ტური. ინტერი – კიევო** 4:2, **იუვენტუსი – მილანი** 4:2, **ნაპოლი – ლეჩე** 3:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** ინტერი – 39, იუვენტუსი – 33, ნაპოლი, მილანი – 30-30 ქულა.





**ბომბარდირები:** ჯილარდინო (ფიორენტინაძ, მილიტო (ჯენოაძ, დი ვაიო (ბოლონიაძ – 12-12 გოლი.

**შემდეგი ტური:** სიენა – ინტერი, ატალანტა – იუვენტუსი, ტორინო – ნაპოლი, მილანი – უდინეზე.

**ესპანეთი. XV ტური. ბარსელონა – რეალი** 2:0, **ვალენსია – ესპანიოლი** 2:1, **სევილია – ვილიარეალი** 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** ბარსელონა – 38, ვალენსია, სევილია – 30-30 ქულა.

**ბომბარდირი:** ეტოო (ბარსელონაძ – 15 გოლი.

**შემდეგი ტური:** ვილიარეალი – ბარსელონა, რეალი – ვალენსია, მალიორკა – სევილია.

**ინგლისი. XVII ტური. ლივერპული – ჰალი** 2:2, **ჩელსი – ვესტჰემი** 1:1, **ტოტენჰემი – მანჩესტერი** 0:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** ლივერპული – 38, ჩელსი – 37, მანჩესტერი – 32 ქულა.

**ბომბარდირი:** ანელკა (ჩელსიძ – 14 გოლი.

**შემდეგი ტური:** არსენალი – ლივერპული, ევერტონი – ჩელსი.

**გერმანია. XVII ტური. ჰოფენჰაიმი – შალკე** 1:1, **შტუტგარტი – ბაიერნი** 2:2, **ჰერტა – კარლსრუე** 4:0, **ჰამბურგი – აინტრახტი** 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** ჰოფენჰაიმი, ბაიერნი – 35-35, ჰერტა, ჰამბურგი – 33-33 ქულა.

**ბომბარდირი:** იბიშევიჩი (ჰოფენჰაიმიძ – 18 გოლი.

**შემდეგი ტური:** ჰოფენჰაიმი – კოტბუსი, ჰამბურგი – ბაიერნი, ჰერტა – აინტრახტი.

**საფრანგეთი. XVIII ტური. ლიონი – მარსელი** 0:0, **ლე მანი – ბორდო** 1:3, **ოსერი – პსჟ** 1:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** ლიონი – 35, მარსელი, ბორდო, პსჟ – 32-32 ქულა.

კალათბურთი

# ფარდა დაეშვა



**სუპერლიგის წლევანდელი ეტაპის ფინიშზე აღსანიშნავი ფაქტი მოხდა: ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი კოლეჯის კლუბში სტაჟირებაზე გაემგზავრა ეროვნული ნაკრების სნაიპერი მიხეილ ბერიშვილი, რამაც მნიშვნელოვანწილად დაასუსტა მისი ამჟამინდელი გუნდის – სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის პოტენციალი.**

არა, ისე არ გაგვიგოთ, თითქოს მიხეილ კობეშავიძის დანარჩენ შეგირდებს სპორტული ჟინი აკლდეთ, მაგრამ ულიდეროდ დარჩენილებმა მძაფრი ბრძოლა მაინც დათმეს გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტთან – „ავიამშენთან“ 72:74. სხვათა შორის, გიორგი მარხვაშვილმა და ბექა წივწივაძემ ბოლო წუთზე სამქულიანები ჩაუგდეს მრისხანე მეტოქეს და ანგარიში გაათანაბრეს, მაგრამ გადამწყვეტი შეტევა ზუსტი ტყორცნით დააგვირგვინა შეხვედრის საუკეთესო მოთამაშემ რიჩარდ მათიაშვილმა, რომელიც ვეტერან ვახტანგ ნაცვლიშვილთან ერთად მთელი მატჩის განმავლობაში ბატონობდა ფარქვეშ.

რადგან ზემოთ სხვადასხვა ბატალიებში გამობრძმედილი ოსტატი ვახსენეთ, საკადრისი პატივი ძველი გვარდიის კიდევ ერთ ღირსეულ წარმომადგენელს კახა შენგელიას უნდა მივაგოთ, რომელიც სამწლიანი პაუზის შემდეგ სარბიელს შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდის მაისურით დაუბრუნდა. მართალია, მან ახალ პარტნიორთა საერთო მონაგრის ნახევარს – 28 ქულას მოუყარა თავი, მაგრამ „დინამოსთან“ მარცხისგან მაინც ვერ იხსნა – 55::63.

**დანარჩენი შედეგები:** „ბათუმი“ – „ენერჯი ინვესტი“ 70:87, თსუ –ნტდ „თბილისი“ 88:81. ისვენებდა „მაქაბი“.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ენერჯი ინვესტი“ – 0, „ავიამშენი“, ნტდ „ თბილისი“ – 2-2, თსუ, სსსუ – 3-3 წაგება.

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

ლელო

# მეოთხე ცდაზე აღებული სიმაღლე



**„ლოკომოტივის“ სტადიონზე გასულ უქმეებზე საქართველოს თასი გათამაშდა რაგბიში – ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი „ლელო“ „აკადემიას“ დაუპირისპირდა. საგულისხმოა, რომ აქამდე ლელოელებმა სამჯერ ითამაშეს ფინალში და მეორე ადგილს ვერ გასცდნენ. ამჯერად კი შეძლეს ნავსის გატეხა და „აკადემიის“ მენეჯერის – გია ლლონტის ესკიზით დამზადებული საქართველოს თასი დაიმსახურეს.**

ორთაბრძოლა „ლელოს“ შეტევებით დაიწყო და მე-10 წუთზე ირაკლი ყიასაშვილმა საკუთარი თანაგუნდელები დააწინაურა – 5:0. გოდერძი ჯოგლიძემაც გარდასახვა ზუსტად შეასრულა. ამის შემდეგ ვიცე-ჩემპიონებს უპირატესობა ხელიდან არ გაუშვიათ და მატჩიც ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანეს – გაიმარჯვეს 28:9.

ლონდონი – 2012

# მომავალი ოლიმპიადა და საკუთარი ავტომანქანები

**ინტერნეტში „ძრომიალისას“ ერთ მეტად საინტერესო ინფორმაციას წავაწყდი, რომელმაც ფრიად აღმაფრთოვანა. ინგლისელები რომ თავიანთი ენისა და ქვეყნის პრესტიჟის დიდი დამცველები არიან, მთელმა მსოფლიომ იცის. ყოველ ნაბიჯზე გამოხატავენ ისინი ამას. ცოტა არ იყოს, ამიტომაც უყურებენ ცერად „ამერიკულ ინგლისურს“, ამიტომაც არის მათი ქცევა „კონსერვატიული“, ზედმიწევნით ზუსტად ამიტომ იცავენ სტუმრისა და მასპინძლის „სტატუსს“ ასე მოზომილად. ალბათ, ამან უბიძგა მათ, მთელი ხუთი წლით ადრე დაეწყოთ მზადება 2012 წლის ლონდონის ზაფხულის ოლიმპიადისთვის.**

თამაშების ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, „ეზრუნათ“ საკუთარი ავტომანქანების მფლობელებზეც, – ოლიმპიადის დღეებში დიდი ბრიტანეთის რვა მილიონ მცხოვრებს აუკრძალავენ საკუთარი ავტომანქანებით მგზავრობას, მაგრამ, სამაგიეროდ მანქანიდან „ჩამოსმულ“ და ჩვეულებრივ მგზავრებს სთავაზობენ გადასხდნენ საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ან ველოსიპედზე, ან კიდევ, იარონ ფეხით. მხოლოდ ინვალიდებს მიეცემათ აკრძალულ ზონაში მანქანების გაჩერების უფლება. ეს წესი უმთავრესად გავრცელდება საოლიმპიადო ქალაქებში, კერძოდ, ლონდონში, ბირმინგემში, მანჩესტერში, ნიუკასლში, გლაზგოში, კარდიფში და ა.შ.

ყველას, ვისაც ოლიმპიადის ბილეთები ექნებათ, შინ მიუვათ პერსონალური გზამკვლევი, რომელშიც დაწვრილებით იქნება მითითებული საკუთარი სახლის ჭიშკრიდან როგორ მივიდნენ დანიშნულების ადგილამდე. ხოლო თუკი ვინმე სადმე „ჩიხში“ მოხვდება, მას ალტერნატიულ მარშრუტს შესთავაზებენ.

აბა, რა გეგონათ? ჩვენებურებივით კი არ არიან ინგლისელები, ყველაზე ხალხმრავალი ღონისძიებების დღეებში ყველას ერთდროულად რომ მოგვინდება „კატაობა“ და ისიც, მაინცდამაინც, ცენტრალურ ქუჩებში! მერე კი ვჯაჯღანებთ, პატრონი არა ჰყავსო ქალაქს!

**მოამზადა**
**ზაურ ფიფიამ**

ინტერნეტიდან

## რეკორდების წვიმა

**სწორედ რომ ასე მოხდა მოკლე წყალზე (25-მეტრიან აუზშიძ ევროპის ჩემპიონატის ბოლო ორ დღეს – 13 და 14 დეკემბერს მოცურავეებმა 9 მსოფლიო რეკორდი (!ძ დაამყარეს. თავი განსაკუთრებით რუსმა მოცურავეებმა გამოიჩინეს, რომლებმაც 8 ოქროს, 2 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავეს.**

შეიძლება ითქვას, ჩემპიონატის გმირად იქცა სტანისლავ დონეცი, პირაღმა ცურვაში აბსოლუტური გამარჯვებული – ტურნირის ბოლო დღეს 25 წლის რუსეთელმა ფენომენალური მსოფლიო რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე ცურვაში – 49,32 წამი, და საერთო ჯამში სამი „ოქრო“ და ერთი „ვერცხლი“ მოიპოვა.

200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში 2002 წელს დამყარებული მსოფლიო რეკორდი დაამხო ნიკოლოზ სკვორცოვმა – 1.50.60.



თითქოს ვიმეორებთ, მაგრამ მსოფლი რეკორდით ერთხელ კიდევ გაახარა გულშემატკივრები ფრანგმა ამორი ლევომ. თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვაში მისი შედეგია – 44,94 წამი.

მსოფლიო რეკორდსმენი გახდა მასპინძელი – ხორვატი ქალბატონი ივანოვიჩი 50 მეტრზე პირაღმა ცურვაში – 26,23, კომბინირებულ ესტაფეტაში 4X50 – მსოფლიო რეკორდი გაიმეორა ჰოლანდიის ნაკრებმა – 1,45,73.

200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიო რეკორდსმენია იტალიელი პელეგრინი, ხოლო კომპლექსურ ცურვაში 400 მეტრზე – ესპანელი ბელმონტე გარსია.

## ტრუსები დაავიწყდა

**მთელი დარბაზი „პირდაღებული“ შესცქეროდა ორკესტრთან ერთად ამღერებულ ევა ტრემილას, რადგან ნათლად ჩანდა, რომ ცნობილი იტალიელი ფეხბურთელის რაფაელე პალადინოს გულისვარდს ტრუსები არ ეცვა. ეს ინციდენტი მილანში ერთ-ერთ საღამოზე მოხდა, სადაც ევა თავის სათაყვანო ფეხბურთელთან ერთად მივიდა. ორიოდე სირჩა რომ გადაჰკრა, ლამაზმანს სიმღერა მოუნდა.**

მან გადაწყვიტა საყვარელი ფეხბურთელისა და საზოგადოებრიობის გახარება თავისი ვოკალური მონაცემებით. როგორც კი ის ამღერდა, დარბაზი გაყუჩდა.

არა, ქალიშვილი დიდებულად მღეროდა, თანაც მუსიკას აყოლილი მოძრაობდა კიდევაც, სწორედ მაშინ შეამჩნიეს, რომ ლამაზმანს ტრუსების ჩაცმა დავიწყებოდა! აბა, პაპარაცებს რაღა გააჩერებდა, იღებდნენ და იღებდნენ ფოტოსურათებს. ტრემილა კი მქუხარე ტაშით გააცილეს.



IX საერთაშორისო...

# რა გვიჩვენა კინოფესტივალმა...



**მეორედ მოუწია ბოდიშის მოხდა სტუმრებისა და მაყურებლებისათვის თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის დირექტორს ნინო ანჯაფარიძეს იმ ფონის გამო, რომლითაც გაიხსნა და დაიხურა წლევანდელი, რიგით მე-9 ფესტივალი. კინოთეატრ „ამირანის“ შესასვლელთან ზვიადისტების პატარა ჯგუფი კვლავ გობოქრობდა გილწსიტყვაობით... ისინი აპროტესტებდნენ ზვიად გამსახურდიას შესახებ ფილმის არ ჩვენებას და არად მიიჩნევდნენ საერთაშორისო კინოფესტივალისათვის აუცილებელი პროცედურების გავლას.**

თუმცა მას და კიდევ სხვა ობიექტურ მიზეზებს კინოფესტივალის ნორმალური მუშაობისთვის ხელი არ შეუშლია. კინოხელოვნების ცენტრ „პრომეთესა“ და სახელმწიფოს თანადგომით (თბილისის მერია, კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელიძ, ასევე პარტნიორების მხარდაჭერით ფესტივალის ტრადიციულობა არ შეწყდა და კინოფორუმი შედგა. საფესტივალო აუდიტორიამ ექვსი დღის მანძილზე სხვადასხვა პროგრამებით იხილა 60-მდე ფილმი, რითაც მაყურებელს საშუალება მიეცა გასცნობოდა იმ მიმართულებებსა და ტენდენციებს, რაც დღეს მსოფლიოს კინოსამყაროში შეინიშნება.

დახურვის ცერემონიალზე აღინიშნა, რომ კინოფესტივალი ანუ ზეიმი სწორედ მაშინ არის ყველაზე მნიშვნელოვანი, როცა ქვეყანას უჭირს სულიერად და მატერიალურად. საზოგადოებას ნუგეში სჭირდება და ამ როლს ხელოვნება ასრულებს.

რა გამოიკვეთა თბილისის კინოფესტივალზე? როგორი უნდა იყოს სამყარო და როგორია იგი დღეს, გლობალიზაციის პირობებში?



საერთაშორისო ჟიურის თავმჯდომარის, ცნობილი კინორეჟისორის ლანა ღოღობერიძის თქმით, „უწინარესად, კიდევ უფრო შეიმჩნევა თვითმყოფადობა, დაინტერესება კონკრეტული, პატარა პრობლემებით, მაგალითად ოჯახით, მშობლებით, ნათესაური ურთიერთობებით. გაადვილდა სიკვდილი, მკვლელობებისადმი და ზოგადად ქაოტური მოვლენებისადმი დამოკიდებულება. შეინიშნება, რომ ეს დღეს უმტკივნეულოდ და შეუმჩნევლად ხდება. გამოიკვეთა აგრეთვე ჩვენთვის აქტუალური ნაციონალიზმის პრობლემა, ასე აუცილებელი და საჭირო, რაც შენებას ემსახურება და რა საშიში ხდება მაშინ, როცა იგი ექსტრემიზმში გადადის. მან შენების ნაცვლად შეიძლება ნგრევა გამოიწვიოს.

ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ბრიტანელი ჯო რაითი, ფლორენციის საერთაშორისო კინოფესტივალის დირექტორი მექელე პანელე, გერმანელი პროდიუსერი რობერტ სმაიგერტი და კანის ფესტივალის პროგრამის ხელმძღვანელი სერჟ სობჟინსკი, კარგად იმუშავა, ჩვენს შორის ჰარმონია სუფევდა, ვიმსჯელეთ, ვიკამათეთ და საბოლოოდ ვფიქრობ ობიექტური გადაწყვეტილება მივიღეთ“.

„ოქროს პრომეთე“ საუკეთესო ფილმისთვის წილად ხვდა სერბი რეჟისორის სტეფან არსენიევიჩის ნამუშევარს „სიყვარული და სხვა დანაშაულობები“, „ვერცხლის პრომეთე“ საუკეთესო რეჟისურისათვის გადაეცა თურქ რეჟისორს ოზჯან ალპერს ფილმისათვის „შემოდგომა“.

ჟიურის სპეციალური პრიზი ერგო იტალიურ ფილმს „მლაშე ჰაერი“ (რეჟისორი ალესანდრო ანჯელინიძ.

მეცხრე კინოფესტივალი დაიხურა პრემიერით – რუსეთში მოღვაწე ქართველი რეჟისორის მიხეილ კალატოზიშვილის ფილმით „ველური ველი“, რომელიც წლევანდელი კინოსამყაროს ფავორიტ ფილმად ითვლება. კინოჩვენებას დაესწრო თავად რეჟისორი და მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი ოლეგ დოლინი. მაყურებლებმა აპლოდისმენტები შეაგებეს მათ და ამით გააცილეს მეცხრე კინოფესტივალი.

**რუსუდან მუხიგულაშვილი,**

**სურათზე: ოლეგ დოლინი და მიხეილ კალატოზიშვილი კინოფესტივალის დახურვაზე.**

მხარე

## საზღვრისპირა რაიონის დღეგრძელები კონსერვატორიაში

**კონსერვატორიის დიდ დარბაზში დედოფლისწყაროს რაიონის დღეგრძელობის სიგელებით დაჯილდოვებულთა ერთი ნაწილი პოლიკარპე ხუბულავას შემოქმედებით საღამოს დაესწრო.**

პოლიკარპე ხუბულავა 85 წლის წინათ ჯიხაშკარში დაიბადა. იგი ბავშვობიდანვე ეზიარა ქართულ სიმღერას და დღემდე ამ შესაშურ საქმეს ემსახურება. ამჟამად იგი ზუგდიდის ანსამბლ „ოდოიას“ სამხატვრო ხელმძღვანელია. მათ რეპერტუარში ძირითადად, მეგრული სიმღერებია. მოვლილი აქვთ თითქმის მთელი მსოფლიო.

თითოეულ სიმღერას და განსაკუთრებით კი „ჯანსულოს“ მაყურებლის დიდი მოწონება ხვდა წილად.

კონცერტის დასასრულს ბატონ პოლიკარპეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელით ტელევიზორი და დივიდი გადასცეს, ხოლო ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორმა გიორგი უშიკაშვილმა საჩუქრად – 1000 ლარი. მანვე ამცნო დარბაზს, რომ მათ კონცერტს ესწრებოდნენ დღეგრძელი დედოფლისწყაროელები, რომლებიც ამ საღამოსთვის სპეციალურად კონსერვატორიის რექტორმა, პროფესორმა მანანა დოიჯაშვილმა მოიწვია.

დაჯილდოებულთა სახელით საზღვრისპირა რაიონის მკვიდრმა სონია თანდულაშვილმა მადლობა გადაუხადა ამ ღონისძიების ორგანიზატორებს.

## დედოფლისწყაროელები „დაისით“ მოიხიბლნენ

**სოფლის მეურნეობის, მსუბუქი, კვების და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის დედოფლისწყაროს რაიონულმა საბჭომ თავისი პროფკავშირის წევრები ლამაზ საღამოს აზიარა: თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ზაქარია ფალიაშვილის უკვდავ ოპერა „დაისზე“ ბილეთები შეუძინა.** ოპერა „დაისმა“ ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭა დედოფლისწყაროელებს.

ბიზნესმენმა მზია სეხნიაშვილმა მადლობა გადაუხადა პროფკავშირის მესვეურთ ლამაზი საღამოსათვის.

**ნანა ჭიჭინაძე**

„სრ“ საკ. კორ.


## განცხადება

2008 წლის 30 დეკემბერს 14 საათზე წყალტუბოში, სოფ. გეგუთში, შპს „გეგუთი 96“ ტერიტორიაზე ტარდება აუქციონი, რომელზეც გასაყიდად გამოდის შპს „გეგუთი 96“ უძრავ-მოძრავი ქონება. მიწის ნაკვეთი 2084 კვ.მ, ტექნოლოგიური ხაზი კომპრესორი 24/9, ორი ტრანსფორმატორი 400 კვტ და 600 კვტ. სამტვრეველი, ელევატორი 3 ც, ბუნკერი 4 ც, ბურთულებიანი წისქვილი, დეზინტეგრატორი, ტივიოსი, ფილტრი, 50-ტონიანი სასილოსე ბუნკერი, მაღალი ძაბვის საჰაერო ხაზი 800 მ, არტეზიული ჭა, საყარაულო ჯიხური.

პირველ აუქციონზე გასაყიდი სამეურვეო ქონების საწყისი ფასი განისაზღვროს 252000 (ორას ორმოცდათორმეტი ათასიძ ლარის ოდენობით.

განცხადებები მიიღება 2008 წლის 30 დეკემბრის 13 საათამდე.

მონაწილეობის მიღების საერთო თანხაა ქონების საერთო ღირებულების 2 პროცენტი.

**შპს „გეგუთი 96“-ის გაკოტრების მმართველი ეკატერინე ჯავახაძე**

**ტელ: 899-54-43-03.**


გამოიცა

# აჩრდილის ხორცშესხმა

**ამ იშვიათ ნაშრომს სამი ავტორი ჰყავს – აკადემიკოსი გივი ცინცაძე, აკადემიური დოქტორები ნესტან მგელაძე, რაულ ჩაგუნავა. წიგნი უნიკალური იმიტომაა, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ძნელად თუ შეხვდებით მსგავსს – სადაც მონოგრაფიის სახით ასე გამოწვლილვით, საფუძვლიანად და თუ გნებავთ, ასეთი სითბოთი იყოს საუბარი ავად მოსაგონარ 1930-იან წლებში ულმობლად რეპრესირებულ რომელიმე სწავლულზე.**

წიგნს **„შალვა ცინცაძის მეცნიერული მემკვიდრეობა“** ჰქვია. დიახ, ის ეძღვნება ჩვენს გამოჩენილ ქიმიკოსს შალვა ცინცაძეს, რომელმაც ხანმოკლე, 37-წლიანი სიცოცხლის (მკვლევარისთვის მით უფრო ხანმოკლეძ მანძილზეც კვლევითი საქმიანობით მოასწრო სამშობლოს სახელის შორს გატანა. ამ „სიგრძიდან“ ასეთ საქმიანობაზე მხოლოდ ერთი ათწლეული მოდის და პირდაპირ გასაკვირია, თუ რამდენი „ქიმიური“ საიდუმლოს ამოცნობა, ჭეშმარიტების დადგენა და როგორი მეცნიერული პროდუქციის დატოვება შეძლო! ეს პროდუქცია კი 36 შრომას მოითვლის, საქართველოში, რუსეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისსა და აშშ-ში გამოქვეყნებულს – ამავე ქვეყნებში შესრულებული ინტენსიური კვლევის შედეგებს (რუსეთში მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა 1924-1927 წლებში, „უფრო“ საზღვარგარეთის ქვყნებში – 1927-1935 წლებშიძ.

შალვა ცინცაძის რუსეთულ და ევროპულ-ამერიკულ პუბლიკაციებს თავიდანვე ქუდბედიანობა დაჰყვა და არ დაკლებია უცხოეთის მეცნიერთა ყურადღება და ინტერესი, რაც არც შემდგომ განელებულა. მაშინ გაჩნდა ისეთი სახელდებული ცნებები, როგორიცაა „ცინცაძის ნარევია“ ან „ცინცაძის რეაქტივი“ და ეს, რა თქმა უნდა, უკვე იყო მისი უკვდავება.

განსაკუთრებით დღეგრძელი აღმოჩნდა „ცინცაძის რეაქტივი“, მით უფრო 1964 წლის შემდეგ – მას აქეთ, რაც ორმა საზღვარგარეთელმა სპეციალისტმა (დიტმერი, ლესტერიძ თხელფენოვან ქრომატოგრაფიაში ის მარჯვედ გამოიყენა. „ცინცაძის რეაქტივი“ მართლაც რომ რეაქტიული სისწრაფით გავრცელდა მსოფლიოში და შესაბამისმა მეთოდმა, ავტორთან ერთად, საყოველთაო აღიარება ჰპოვა. სადღეისოდ, ქიმიურ რეაქტივებს ყველა ცნობილი ფირმა ამზადებს „ცინცაძის რეაქტივს“, რომელსაც ფართოდ იყენებენ არა მხოლოდ ქიმიის, არამედ მედიცინის, ბიოლოგიის, ფიზიოლოგიისა თუ საინჟინრო დარგებში სრულიად პრაქტიკული თვალსაზრისით.

რუსეთს რაც შეეხება, იქ ქართველი ქიმიკოსის შრომები, მისი შემუშავებული „ცინცაძის ნარევიცა“ და „ცინცაძის რეაქტივიც“ იქაურ სპეციალისტთა წრეებში კარგად იყო ცნობილი და დაფასებულიც, ოღონდ... 1937 წლამდე. ხალხის მტრად შალვა ცინცაძის შერაცხვის შემდეგ კი მისი სახელის ხსენება კარგა ხნით აიკრძალა. ერთი გასაოცარი რამ მაინც ხდებოდა – მოსკოვის რეაქტივების ქარხანა, დაწყებული 1930 წლიდან, უწყვეტად ამზადებდა და ამზადებს სახელგანთქმულ „ცინცაძის რეაქტივს“...

1957 წელს, ქართველი ქიმიკოსის სიკვდილისშემდგომი რეაბილიტაციის მერე, საბჭოთა კავშირში თანდათან დაიწყო უსამართლოდ და უმართებულოდ შელახული მისი სახელის რეაბილიტაცია, რასაკვირველია, რუსეთსა და საქართველოშიც. საგულისხმო ფაქტი: 1962 წლის მაისში მოსკოვში, „დიდი აკადემიის“ მეცნიერთა სახლში წამყვან საბჭოთა სპეციალისტთა (ქიმიკოსთა, აგრონომთა, ნიადაგმცოდნეთაძ დიდმა ჯგუფმა მოაწყო მასშტაბური სხდომა, მიძღვნილი შალვა ცინცაძისადმი.

1960-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოში გამოჩნდა ქართველი ქიმიკოსისადმი მიძღვნილი არაერთი პუბლიკაცია და ქვეყნის სულიერებისათვის ძვირფასი სახელის დაბრუნების ეს პროცესი დაწყებული აპოლონ ავალიანის წიგნიდან „შალვა ცინცაძე მეცნიერი და მკვლევარი“ ერთგვარად „შეაჯამა“ 1986 წელს თბილისში რუსულ ენაზე დასტამბულმა შალვა ცინცაძის რჩეული ნაშრომების კრებულმა (ოთარ ონიანისა და გურამ სუპატაშვილის რედაქციითძ.

სამ ავტორს ჭეშმარიტად დიდი ჯაფა გაუწევია გამოჩენილი მკვლევარი ქიმიკოსის ცხოვრების, ტრაგიკული ბედისა და მდიდარი მეცნიერული შემოქმედების სრულად და მაღალი პროფესიულობით გადმოსაცემად. ეს გაკეთებულია სამ თავში – „შალვა ცინცაძის ბიოგრაფია“, „შალვა ცინცაძის მეცნიერული მემკვიდრეობა“ (რაც წიგნის სათაურადაც „წავიდა“ძ და „შალვა ცინცაძე – გამოჩენილი ქართველი ქიმიკოსი“.

ბიოგრაფიაში, ბევრ საგულისყურო მომენტთან ერთად, ყურადღებას იპყრობს სტუდენტი შალვას ურთიერთობა დაუვიწყარ პეტრე მელიქიშვილთან – მასწავლებელთან, რომელმაც უტყუარი პედაგოგიური ალღოთი შეიცნო მოწაფეში მომავალი დიდი მკვლევარი; ახალგაზრდა ქართველი ქიმიკოსის მოღვაწეობა სახელგანთქმული აკადემიკოსების ნიკოლოზ ზელინსკისა და დიმიტრი პრიანიშნიკოვის ლაბორატორიებში (რუსეთი, 1924-1927ძ; თანამშრომლობა თვალსაჩინო ევროპელ და ამერიკელ ქიმიკოსებთან (1927-1935ძ; ურთიერთობა ასევე დაუვიწყარ ანდრია რაზმაძესთან – საქართველოში მათემატიკური მეცნიერებისა და უმაღლესი მათემატიკური განათლების ერთ-ერთი მესაძირკვლესთან (ანდრიას უმცროსი და მარიამი შალვას მეუღლე გახლდათ).

რაოდენ ფართო და მრავალფეროვანი იყო შალვა ცინცაძის მეცნიერული ინტერესების სპექტრი – ეს მეორე თავის პარაგრაფების ჩამონათვალიდანაც ჩანს: სამუშაოები ანალიზურ ქიმიაში; ქართულ ღვინოებში ტანინის განსაზღვრის შესახებ; „ცინცაძის „ახალი ნარევი“, „ცინცაძის რეაქტივი“, „ცინცაძის ნარევი“; სამუშაოები აგროქიმიისა და პრეპარატული ქიმიის სფეროებში; ცხიმების განსაზღვრის რაოდენობრივი მეთოდები და სხვა.




ახლა ვნახოთ, რა საგულისხმო პუნქტებთანაა ილუსტრირებული ქართველი ქიმიკოსის გამოჩენილობა – მნიშვნელოვნება: შალვა ცინცაძის მეცნიერული აღმოჩენები და მიგნებები; შალვა ცინცაძის ნაშრომთა ციტირება სამეცნიერო ლიტერატურაში; შალვა ცინცაძის ნაშრომთა ციტირება ქიმიურ ლიტერატურაში; შალვა ცინცაძის ნაშრომთა ციტირება სამედიცინო და საბუნებისმეტყველო ლიტერატურაში.

ლიტერატურის ჩამონათვალში ციტირების ვრცელი არეალი 103 ერთეულს (თვით შალვა ცინცაძის შრომების გამოკლებითძ მოიცავს! შთამბეჭდილება რჩება, რომ „ჩაკირკიტებულ“ ავტორებს არ გამორჩენიათ არც ერთი ქართული, რუსული ან „მთლად“ უცხოური წყარო, სადაც კი დიდი ქართველი ქიმიკოსია მოხსენიებული და ეს მათს გულმოდგინებასა და მხურვალე მონადინებაზე მეტყველებს, რასაც, რასაკვირველია, წიგნის გმირის ანდამატი და მიმზიდველობაც განაპირობებდა.

...დახურავ სამი ავტორის წიგნს და გიჩნდება ფიქრი – ვინ იცის, კიდევ რამდენი პირველხარისხოვანი გამოკვლევით გაამდიდრებდა უნიჭიერესი ქართველი ქიმიკოსი-მკვლევარი საყვარელი მეცნიერების დარგს, თუ არა აგრე ულმობლად მოსხეპილი სიცოცხლე, თუ არა ავბედით 1937-ში ყოვლად გაუმართლებელი, დაუმსახურებელი დახვრეტა... მართლა ვინ იცის...

ავტორები ყოველმხრივი დახმარებისათვის მადლობას უხდიან შალვა ცინცაძის ვაჟს იოსებს (სოსოსძ, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე ფხიზლად დარაჯობს დიდი მამის წმინდა სახელსა და ხსოვნას. სასარგებლო რჩევებისათვის ემადლიერებიან ჩვენთვის უკვე ნაცნობ რედაქტორებს, პროფესორებს გურამ სუპატაშვილსა და ოთარ ონიანს, თანადგომისათვის – „პოლიგრაფ-თბილისის“ თანამშრომლებს.

გივი ცინცაძის, ნესტან მგელაძისა და რაულ ჩაგუნავას მონოგრაფია აღიქმება, როგორც შალვა ცინცაძის დიდებული აჩრდილის შთამბეჭდავი ხორცშესხმა. „ჩვენი გამოჩენილი მეცნიერიო“, ვთქვით წერილის დასაწყისში შალვა ცინცაძეზე. ეჭვს გარეშეა, ის კიდევ მეტი ქართველი მკითხველისათვის გახდება ჩვენიცა და გამოჩენილიც სამი ავტორის ამ ნაშრომის გამოსვლით...

**თამაზ ეზანოიძე**

სიახლე

# „მოხეტიალე ცირკმა“ ბინა ზოოპარკის ტერიტორიაზე დაიდო



**თბილისის ზოოპარკის ტერიტორიაზე „ბინა დაიდო“ საქართველოში ერთადერთმა „მოგზაურმა ცირკმა“ შოუ ბიზნეს ცენტრ „ჯანოკომპანიის“ შაპიტომ. ამ ცირკის სულისჩამდგმელი და დამაარსებელია „ჯანოკომპანიის“ დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ჯანსუღ ჯიმშელეიშვილი.** ბატონ ჯანსუღს, რომელიც სპეციალობით მუსიკოსია, 34-წლიანი კავშირი აქვს ცირკთან. იგი თავდაპირველად ბათუმში მუშაობდა, ოცნებობდა შეექმნა ქართული შაპიტო, ოცნების ასრულებაში მისი მეგობარი, ბათუმელი ბიზნესმენი თენგიზ ბაკურიძე დაეხმარა. ქართული შაპიტო ქართველი და უკრაინელი მსახიობებისგან დაკომპლექტდა. შეიძინეს ინვენტარი, დაამუშავეს ნომრები. კარავი ხუთასამდე მაყურებელს იტევს. რეპერტუარს ახალისებენ ჯამბაზები, აკრობატები, ილუზიონისტები, ცხოველებიდან – ძაღლები, მაიმუნები და სახედარი.



ქართულ შაპიტოს წარმატებული გასტროლები ჰქონდა თურქეთის რამდენიმე ქალაქში, ექვსი თვის მანძილზე „თურქული ვოიაჟი“ სრული ანშლაგით მიმდინარეობდა. თბილისს შაპიტო რუსთავიდან ეწვია. მსახიობები სპეციალურ მანქანებში ცხოვრობენ, სადაც მოწყობილია სააბაზანო, დასასვენებელი ოთახები, სამზარეულო და საძინებლები. მოკლედ „მოხეტიალე“ ცირკს „ბორბლებზე უწევს ცხოვრება“.

თბილისის ზოოპარკში შაპიტო, ოთხშაბათისა და სამშაბათის გარდა, ყოველდღიურად ეპატიჟება სტუმრებს. ბილეთის ფასი 4 ლარია, ბავშვთა სახლების ბინადართათვის კი დასწრება უფასოა. ქართული შაპიტო თბილისელებს ახალი წლის დღეებშიც უმასპინძლებს, შემდეგ კი კვლავ ექვსი თვით თურქეთს ესტუმრებიან.

**ელგუჯა ნადარეიშვილი,**
**ავტორის ფოტო.**

ჯანმრთელობა

## კომპიუტერული თამაშები გულს ვნებს?



**როგორც შვედი მეცნიერები ამტკიცებენ, პოპულარული კომპიუტერული თამაშები ძალადობის სცენებით იწვევს ძილის დროს გულის რიტმის დარღვევას ბავშვებსა და მოზარდებში. მკვლევარებმა უპალის უნივერსიტეტისა და კაროლინის ინსტიტუტიდან მოაწყვეს ექსპერიმენტი 12-დან 15 წლამდე მოსწავლეების მონაწილეობით. ისინი საღამოობით რეგულარულად თამაშობდნენ კომპიუტერზე ან დივიდიზე. იმის შედეგად, „სათამაშო“ შეიცავდა თუ არა მკაცრ ცემა-ტყეპას, მკვლელობებს, დევნასა და სროლებს, გამოსაცდელებს ღამის ძილის დროს ჰქონდათ არათანასწორი გულისცემა. თუმცა თავად ბავშვები არ ამბობდნენ, რომ ცუდად ეძინათ ასეთი გართობის შემდეგ.**

სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ ბავშვის ნერვული სისტემა განიცდის ემოციურ დაძაბულობას ნახული სისხლიანი ბატალიების გამო, რაც იწვევს მთელ რიგ ფიზიოლოგიურ რეაქციას, გულის მუშაობის ცვლილებათა ჩათვლით, წარმოადგენს შეუგნებელ პროცესს, თუმცა, შეუძლია მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება მოზარდის გულისთვის, აჩქარებს გულის შეკუმშვებს და პულსს, – მიიჩნევენ სპეციალისტები.

დავამატებთ, რომ სტატისტიკის თანახმად, თინეიჯერების თითქმის 90 პროცენტი რეგულარულად თამაშობს ვიდეო-კომპიუტერულ თამაშებს (მათ შორის, ძალადობის სცენებს რომ მოიცავენძ, დაახლოებით 20 პროცენტი კი შეიძლება მათზე დამოკიდებულად ჩავთვალოთ.

## ყავა – ნალექიანი თუ უნალექო?

**უფრო სწორედ – დაფქვილი თუ ხსნადი. ხშირად დავობენ იმაზე, რომელში უფრო მეტი კოფეინიაო. ბევრი ამტკიცებს, თითქოს ხსნად ყავაში გაცილებით ნაკლები კოფეინია, ვიდრე დაფქვილშიო. ზოგი კი – პირიქით. სინამდვილეში განსხვავება არც თუ მნიშვნელოვანია. ახლადდაფქვილი ყავის საშუალო ფინჯანი შეიცავს კოფეინის დაახლოებით 80 მილიგრამს. ხსნადი ყავის ისეთივე ფინჯანი კი – 60 მგ-ს.**



თუ გსურთ, შეამციროთ კოფეინის რაოდენობა თქვენს სასმელში, შეგიძლიათ, ასე მოიქცეთ: დაასხით მდუღარე წყალი, შემდეგ მხოლოდ ერთხელ გააცხელეთ ადუღებამდე და მაშინვე ჩაასხით ფინჯანში. ასეთი პროცედურის შემდეგ ყავა ინარჩუნებს არომატს, კოფეინი კი მთლიანად არ დარჩება სასმელში.

**უცხოური პრესის მიხედვით**

მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: 16 დღეში მიწევს დეკრეტულ შვებულებაში გასვლა. მაქვს მხოლოდ ორი თვის შრომის სტაჟი. მომეცემა თუ არა ფასიანი და უხელფასო დეკრეტული შვებულება და როგორი წესით მოხდება მისი გამოანგარიშება?**

**თეონა იმნაძე**

**პასუხი:** შვებულება, ორსულობისა და მშობიარობისა, ასევე ბავშვის მოვლის გამო 477 კალენდარული დღის ხანგრძლივობით მოგეცემათ, მიუხედავად შრომის სტაჟის ხანგრძლივობისა. რაც შეეხება საშვებულებო ანაზღაურებას, იგი გამოანგარიშებული უნდა იქნეს ფაქტობრივად ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან, ხოლო თუ ყოველთვიურად ფიქსირებულ ხელფასს იღებთ – ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით.



* * *

**კითხვა: როცა მუშაობა დავიწყე (ამჟამად 2 წლის და 6 თვის სტაჟი მაქვს) დამსაქმებელს შრომის შინაგანაწესი არ გაუცვნია. ამჟამად კი ისეთ შეზღუდვებს მიწესებს, რაც შრომის ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული და მეუბნება, ეს შინაგანაწესით გვქონდა გათვალისწინებული და შენთვის მისი შესრულება სავალდებულოაო. აქვს ამის უფლება?**

**ლარისა ომიაძე**

**პასუხი:** კანონის თანახმად, შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს, რომ შრომის შინაგანაწესი ხელშეკრულების ნაწილია. ამ შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია, პირს შრომის ხელშეკრულების დადებამდე გააცნოს შრომის შინაგანაწესი, ხოლო შემდგომში – მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება. თუ თქვენი სამუშაოზე მიღების დროს, ზემოაღნიშნული პირობები არ ყოფილა დაცული, ამჟამად დამსაქმებლის მოქმედება კანონსაწინააღმდეგოა.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

**ჟანა, იური სალიებიი, ნონა ბაქრაძე, ირა, თემურ ბრელიძეები, რუსუდან, მიშა ხუჭუები, ქეთინო, ნესტორ ჩიხლაძეები, ნინო, ვალოდია ბრელიძეები, მარინა კანდელაკი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**
**ზურაბ (ზურიკოძ შენგელია**
**და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს.**

---

**ჟანა, იური სალიებიი, ნონა ბაქრაძე, ირა, თემური ბრელიძეები, რუსუდან, მიშა ხუჭუები, ქეთინო, ნესტორ ჩიხლაძეები, ნინო, ვალოდია ბრელიძეები, მარინა კანდელაკი სამძიმარს უცხადებენ ლუბა ბრელიძეს დისშვილის**
**ზურაბ (ზურიკოძ შენგელიას**
**გარდაცვალების გამო.**

---

**გივი გადელია, გურამ გაბუნია, გივი ანჩაბაძე, ჯემალ მიქელაძე, ნიკოლოზ ნეფედოვი, ბორის სარალიძე, ავთანდილ საყვარელიძე, ირაკლი ჟორდანია, ოთარ ქვილითაია, ბუჭუ ბერიძე, კახი კავსაძე, თამაზ ცინცაძე, თამაზ შილაკაძე, ომარ მხეიძე, ჯუმბერ გონაშვილი, ნუკრი მანჯგალაძე თანაუგრძნობენ დამირ და ქეთინო მანჯგალაძეებს დედის, უძვირფასესი ქალბატონის**
**გოგუცა მანჯგალაძის**
**გარდაცვალების გამო.**

---

**მეუღლე ჟუჟუნა თურმანიძე, შვილები მარინა, მურად თურმანიძეები, რძალი ეკა გონგაძე, შვილიშვილები მალხაზ, გიორგი თურმანიძეები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**
**ლუტუ სიკოს ძე თურმანიძე**
**პანაშვიდი 16, 17 XII, 16 სთ. დაკრძალვა 18 XII, 14 სთ. მისამართი: ქ. ზესტაფონი, ფიროსმანის ქ. №38.**

---

**საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური იუწყება, რომ სამსახურის უფროსის მოადგილეს, გენერალ-მაიორ მურად თურმანიძეს გარდაეცვალა მამა**
**ლუტუ თურმანიძე**
**და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს და ახლობლებს.**

---

**მეუღლე თენგიზ ადამაშვილი, შვილები გურამი, ნუგზარი, რძალი ია შანიძე, შვილიშვილები ქეთევან, გიორგი, თენგიზ ადამაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**
**მერი პლატონის ასული ადამაშვილი**
**პანაშვიდი 16, 17 XII, 17 სთ. მისამართი. კეკელიძის ქ. №10. გამოსვენება 18 XII, 14 სთ. ლურჯი მონასტრიდან.**

---



**მეუღლე დელმა, შვილი მამუკა, რძალი ეკა, შვილიშვილები სალომე, მარიამი, ანასტასია, მძახალი სულიკო გალდავაძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**
**ჯემალ ფაღავა**
**პანაშვიდი 16, 17 XII, 16 სთ. გამოსვენება 18 XII, 14 სთ. ვერის სასაფლაოზე, პანტელეიმონის ტაძრიდან.**

---

**მეუღლე ეთერი, შვილები ემზარი, ნატო, და ჟუჟუნა, დისწულები თემურ, ლევან ჭავჭანიძეები, რძალი თამელა ტუფურია, სიძეები ლუდა აბსანძე, ირაკლი კორაშვილი, ზურაბ გოგუა, შვილიშვილები ელისო ლიპარტია, დენოლა, დემური, შვილთაშვილი ბექა კორაშვილი და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**
**ვლადიმერ ივლიანეს ძე მამასახლისი**
**პანაშვიდი 16, 17 XII, 16 სთ. გამოსვენება 18 XII, 15 სთ. მისამართი: ქ. თბილისი, ქავთარაძის ქუჩა №4.**

## განცხადება

საქართველოს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის მოქმედებაში შესვლასთან დაკავშირებით და ამავე კანონის 29-ე მუხლით გათვალისწინებული „კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმების“ და მე-40 მუხლით გათვალისწინებული „კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობის“ დადგენის მიზნით, 2008 წლის 18 დეკემბერს 16 საათზე დანიშნულია კავშირი (ასოციაციაძ „საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის“ (სესბძ კრედიტორთა საერთო კრება მისამართზე:. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6, სხდომის დარბაზი №23.

**სესბ-ის გაკოტრების მმართველი ნ. ბაკაშვილი**

## განცხადება

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „როლაკო“ აცხადებს ნებაყოფლობით ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: მცხეთა, ნატახტარი. ტელეფონი – 899 580330, 890999936.**

**ლიკვიდატორი**
**რობერტ იანტბელიძე**

**ცხადდება შპს „ევრობილდინგის“ (ს/ნ №204523532ძდა შპს „ევროპა+ბილდინგის“ (ს/ნ №200155438ძ შერწყმა, რომლის შედეგადაც, შპს „ევროპა+ბილდინგი“ წყვეტს არსებობას, „ევრობილდინგი“ კი განაგრძობს ფუნქციონირებას და იგი ხდება შპს „ევროპა+ბილდინგის“ უფლებამონაცვლე.**

## მილოცვა

# ავთო ავთანდილად იქცა



*გაღიდან რომ მოჰყავდათ, რედაქციაში შემობაჯბაჯდებოდა მამასთან და რიხიანად მოგვესალმებოდა, თან ავთო ვაშაკიძე ვარო, დაამატებდა. სკოლაშიც გამომცემლობა „სამშობლოს“ გვერდით, ორმოცდამეთერთმეტე სკოლაში შეიყვანეს. ლამის ყოველდღე გვსტუმრობდა. ხან სიმეჯითით გვაოცებდა, უფრო ხშირად – ცელქობით. რა სწრაფად გაიფრინა დრომ, ყურებს არ დავუჯერეთ, მამამისმა რომ გვითხრა, ჩემმა ავთომ ცოლი მოიყვანაო. დღეს ავთო, უფრო სწორედ ავთანდილ ვაშაკიძე ოცი წლისა შესრულდა. ვულოცავთ გაბედნიერებასა და დაბადების დღეს. ღმერთმა ჯანმრთელი გამყოფოს და ბედნიერად გაცხოვროს შენს ლიზისთან ერთად!*

მამას მეგობრები „საქართველოს რესპუბლიკიდან

## ინფორმაცია

### თოვლმა შეაფერხა

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 140-150 კმ-ზე, ანუ ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთზე, თოვლის გამო, მისაბმელიანი და ნახევრად მისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან იტყობინებიან, აღნიშნულ მონაკვეთზე სხვა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

### ხვალიდან ყინვები მოიმატებს

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 17 დეკემბრიდან ყინვები მოიმატებს.

როგორც გარემოს დაცვის სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრიდან იტყობინებიან, ამ დროისთვის, ძირითადად, თოვს აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთში კი წვიმს.

ინტენსიურად თოვს გორში, რიკოთის უღელტეხილსა და დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან რაიონებში.

ინტენსიურად თოვდა თბილისში, ახალციხეში, ბაკურიანსა და ახალქალაქში.

მეტეოროლოგები აცხადებენ, რომ 17 დეკემბრიდან თოვა განახლდება და მოსალოდნელია ყინვებიც.

ინტერპრესნიუსი

## ძვირფასო მკითხველო!

# ჩვენს გაზეთზე ხელმოწერა გაიაფდა!



### თქვენი თანადგომისა გვჯერა

ფინანსური და ზნეობრივი პრობლემებით სავსე საქართველოში გაზეთმა **„საქართველოს რესპუბლიკამ“** შეინარჩუნა თავისი აკადემიური ტონი, პრინციპულობა და მიუკერძოებლობა, სითამამე და სიმართლე. ჩვენთვის არ არსებობს ყალბი ავტორიტეტები, ტაბუდადებული თემები, აკრძალული პრობლემები.

მკითხველთა აღიარებით **„საქართველოს რესპუბლიკა“** ყველაზე სანდო, დახვეწილი, კარგი ქართულით გამორჩეული, ტრადიციული, ჭეშმარიტად ეროვნული გაზეთია.

**წლეულს, გაგანია ომის წინა დღეებში, „საქართველოს რესპუბლიკას“** 90 (ოთხმოცდაათიძ წელი შეუსრულდა!

რედაქციამ გადახედა თავის ფინანსურ შესაძლებლობებს და მოსახლეობის შეჭირვებული ყოფა-ცხოვრების გათვალისწინებით, გაძვირების ნაცვლად 2009 წლის იანვრიდან აიაფებს გაზეთზე ხელმოწერის ფასს. ამიერიდან „საქართველოს რესპუბლიკა“ ერთი თვით მხოლოდ 10 ლარი ეღირება!

**ჩვენო ერთგულო მკითხველო! – შეატყობინეთ ყველას გაზეთის გაიაფების ამბავი და გამოიწერეთ ყოველდღიური, ყველაზე გაწონასწორებული, ყველაზე სანდო, ყველაზე ეროვნული „საქართველოს რესპუბლიკა“!**

შეგახსენებთ იმ ორგანიზაციებს, სადაც გაზეთზე ხელმოწერა შეგიძლიათ: მაცნე – 37.47.49; 25.33.88; საქპრესა – 93.30.40; ექსპრესი – 93.66.78; უწყებანი – 93.64.72; ინფოსერვისი – 95.48.82; რუბიკონი – 96.45.69.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ აგრეთვე უშუალოდ რედაქციაში – კოსტავას ქ. №12. დაგვიკავშირდით ტელეფონებზე – 98.65.87, 899 79.76.79; 899 56.81.86.

**ბიზნესმენებს და რეკლამის ორგანიზატორებს შევახსენებთ, რომ ჩვენთან რეკლამა ყველაზე იაფი და მომგებიანია!**

გაიაფების შემდეგ გაზეთზე ხელმოწერა სამი თვით ღირს 30 ლარი, ექვსი თვით – 60 ლარი, ერთი წლით – 120 ლარი.

ჩვენი ინდექსია – 66434

**თქვენი თანადგომა ჩვენი გაზეთის აღორძინების ერთადერთი გზაა.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ, გაზეთი, რომელსაც ჩვენი სამშობლოს სახელი ჰქვია!**

## შემთხვევა

### „იაზონი“ ჩაძირვას გადაარჩინეს

მესაზღვრეებმა თევზსაჭერი სეინერი „იაზონი“ ჩაძირვას გადაარჩინეს. სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ფოთის ბაზაში ინფორმაცია შუაღამისას შევიდა, რომ თევზსაჭერი სეინერი მეჩეჩზე შეჯდა, მას წინა ნაწილი დაუზიანდა და სეინერი ზღვის წყლით ივსებოდა.

სეინერის დასახმარებლად სანაპირო დაცვის საპატრულო კატარღა ზ-201 გავიდა. სამსაათიანი სამაშველო ოპერაციის შედეგად სეინერი ჩაძირვას გადაურჩა. „იაზონი“ სანაპირო დაცვის კატარღამ ფოთის პორტში შემოიყვანა.

ჯი-ეიჩ-ენი

**რეკლამა** *კოსტავას 12*
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**98-65-87; 899 32-85-76.**

## კადრი



## ანეკდოტები

გამოკითხვა: ხართ პრეზიდენტისთვის ვადის გაგრძელების მომხრე?

პასუხის ვარიანტები:

1. დიახ.
2. არა.
3. მაგას ვინ ჩასვამს?

* * *

– ვლადიმირ ვლადიმიროვიჩის ადგილზე რომ ვიყო, თას მოვიკლავდი, – კატეგორიულია ივანიჩი.



– იგი ასეც მოიქცა.

– ეს როგორ? – თქვენ ვინ გყავთ მხედველობაში?

– მაიაკოვსკი. თქვენ კი ვის გულისხმობდით?

* * *

– ასეთი ვირუსი ჯერ არ მქონია! – თქვა სიძემ, როდესაც კომპიუტერთან სიდედრი დალანდა.

* * *

ვიგინდარავ! ნაძირალავ! გარყვნილო!..

დამიბრუნდი!!!

* * *

– მარტო ნუ დარჩები, აუცილებლად დაქორწინდი, – ეუბნება მომაკვდავი სარა ქმარს. – ერთი თვე მიგლოვე, მერე მოძებნე ქალი და აუცილებლად დაქორწინდი.

– რაც გინდა მთხოვე, სარა, რაც გინდა, ოღონდ ეს არა. შენზე უკეთესს მაინც ვერა ვნახავ, ხოლო ისეთი, როგორიც შენ ხარ, რა ჭირად მინდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.